ასლან კუაზო

ხევსურის ცეკვა

რუსულიდან თარგმნა
ლელა გაბურმა

2020

რედაქტორი: ამირან არაბული

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა
გამომცემლობა „კალმოსანში“
კონტაქტი:
ელ. ფოსტა: *kalmosani@yahoo.com*
ტელ: 571 19 19 39; 2 665 965

978-9941-492-12-9

პოემები

პოემას საფუძვლად დაედო ფაქტი, რომელიც გასულ საუკუნეებში არხოტივნებსა (ხევსურეთი, საქართველო) და ღილღოელ ქისტებს (მთიანი ინგუშეთი) შორის რეალურად მოხდა. არხოტელმა ხევსურებმა ერთერთი ყაჩაღური თავდასხმის დროს ტყვედ აიყვანეს ქისტი, რომელიც ციხეების შენების ოსტატი აღმოჩნდა.

ხევსურებმა უარი თქვეს სისხლიან შურისძიებაზე და ციხის აგების სანაცვლოდ მას თავისუფლებას შეჰპირდნენ. ქისტური ციხის ასაგებად საჭირო იყო ერთი კალენდარული წელი (ასე ხდებოდა ინგუშეთშიც), მაგრამ ოსტატმა საქმე ოთხ წლამდე გააჯანჯლა, იმის გამო რომ არ ენდობოდა არხოტივნების მიერ მიცემულ პირობას.

საბოლოოდ, როცა ციხე მაინც დასრულდა, ხევსურებმა სიტყვა შეასრულეს - ქისტს სიცოცხლე აჩუქეს და ღილღოში უვნებელად გაუშვეს.

ეს ,,მშრალი“ ისტორიული ფაქტი პოემის სიუჟეტის საფუძველი გახდა, დანარჩენი კი, პერსონაჟების სახელებისა და განვითარებული მოვლენების ჩათვლით, ავტორის მხატვრული წარმოსახვის ნაყოფია.

ა. კუაზო

ხევსურის ტყვე

პროლოგი

თაკარა მზე დასდგომია
ქისტეთის მთებს და მწვერვალებს,
მთიელნი ხეთა ჩრდილიდან
გამოსვლას ვეღარ ბედავენ.
ზოგი ჭადრის ქვეშ შემძვრალა
მოგრილოვებულ მწვანეზე,
ზოგი კი, დასასვენებლად
კლდეების ეხებს დაეძებს.
ვიღაცა გასაგრილებლად
ტყის წიაღისკენ იჩქარის,
სულის მოთქმასაც ვერ ასწრებს,
უმალ შეაკრთობს ხის ჩქამი...
ადგება, შორს გაეცლება
იმ ალაგს, რადგან საშიში
არის იქ დიდხანს დარჩენა,
მტერი მოგისწრებს ნაბიჯით.
ფრთხილობენ, რათა არ გახდნენ
ბრმა ტყვიისათვის სამიზნე,
თუმცა კი ცხელა და გული
მდინარისაკენ მიუწევთ,
მტერი მსხვერპლს გაშლილ მინდორზე
უფრო იოლად შეამჩნევს,
დაგღუპავს თუ არ გაფრთხილდი,
ვეღარ მოასწრებ ვერაფერს.
ქისტებს არ უნდა ანაზდად
ეშმაკის ხელში ჩავარდნა,
ყველგან დაძრწიან ხევსურნი,
არვის აგდებენ ჩალადა.

ნაწილი პირველი

I

სიცხით გათანგულ ნაბიჯით
ჩაღალეს მთათა ფერდები,
არხოტის ვიწრო კარიბჭით
ღილღოს მიდიან მხედრები.

იმათ ცხენებს და ხმალ-აბჯარს
მზეზე ლაპლაპი გაუდის,
ვაჟკაცობა და სიქველე,
სუყველას გვარით მაუდის.

გაუჭირდება მოსისხლეს,
თუნდ დევი იყოს ჩაუქი.
მტრის რისხვად შემართულებმა
გადაიარეს ჭაუხი.

სიკვდილთან შეყრა სწადიათ,
(დაგასწრო?! -მიწას დახოკავ!),
მიეჩქარებათ ჯიგიტებს ,
მტრის სისხლით ხანჯლის დაპოხა.

ფრთხილად გასცქერენ მთის წვერებს
და ფრიალოებს ეხისას,
ეჭვით ზვერავენ გარემოს,
ჩიტის ფრენას თუ მხეცის ხმას.

ვინ იცის, მზირი სადა ზის,
სად აფრინდება არწივი,
იციან, ქისტის ხირიმმა
დიდხანს ლოდინი არ იცის!

შეაკრთობს ჩამოვარდნილი
კენჭი, თვალს -ელდანაჩვევსა,
(ნასხლეტი ჯიხვის ანადგომს
ანდა არწივის კლანჭებსა).

მხედრებს ფეხდაფეხ მიჰყვება
ასა -მდინარე მქუხარი,
ხევსურთ სალაშქროდ მიდენა
იმასაც მეტად უხარის.

მიდიან...ნადავლს ეძებენ,
სწყურიათ სისხლიც, სახელიც,
იქნებ ცხვრის ფარა დალანდონ
ან გამორეკონ ნახირი.

წინამძღოლად ჰყავთ ხევსურებს -
გაგა- განთქმული ვაჟკაცი,
აღვსილი ძალით, სიქველით,
მრავალ ომგადანაყარი.

სალაშქროდ გამგზავრებამდე
წესად აქვს მისვლა მოძღვართან,
ბერმა ონოფრემ ისტუმრა,
ჯვრის მადლით დიდხანს ლოცავდა.

სხვა დროსაც ღმერთის შეწევნით
სიკვდილს მრავალჯერ გადარჩა,
ბევრჯერ დაიჭრა ბრძოლაში,
ბევრჯერ მტრის მოხვდა დამბაჩა.

ბევრჯერ ცრემლებიც უღვრია
მეგობრის ჭირის წყენისას,
მაგრამ ჯვრის იმედს არ ჰკარგავს,
იმისი მადლი შველისა.

ხარობენ სახევსურეთოს,
რომ არ ჰყავთ გაგა ლაჩარი,
ცუდ საქმე ის არ დაუშვებს
და იცის, ცუდი რაც არი.

იცის სოფელმა, მის სახლში
ბევრია ნაალაფარი,
ქისტის მარჯვენა მრავალი
ჰკიდია გაგას ქავისკარს.

იცნობენ მშობელ მხარეში,
გმირმა სახელი გაითქვა,
კარისთავ დაკრულ მტრის ხელებს,
მწარე ტკივილის ხვედრი აქვთ,
წყევლით და მდურვით სავსენი
ჩრდილში მწუხარედ ხმებიან.

სადმე, ულმობელ ბრძოლაში
(როცა მტრის ჯავრი ბალღამობს),
შეიყრებიან ღილღველნი,
შურს იძიებენ მათ გამო.

ხევსურისთვისაც დადგება
ჟამი - რო ჰკვნეტდეს მიწასა,
სისხლს მოჰკითხავენ და ტყვია
შეამტვრევს გულის ფიცარსა.

ჯერ კი ჩქარობენ ვაჟები,
ქისტს დაეძებენ ჩაუქად,
მტრის რისხვად შემართულებმა
გადაიარეს ჭაუხი...

II

სავსე მზის სხივით ზაფხულის,
მთების კალთებში ჩაფლული
და სილამაზით განთქმული -
შემოეგებათ ქისტეთი.

საუკუნეთა მხრებიდან,
გზა სასწაული შვენით და
იმზირებიან მთებიდან
მტრის რისხვად - ქავციხეები.

თუ გინდა შორით უმზირე,
შურით უმზირე თუ გინდა,
როგორც მთიელი ქალწული-
მდინარის პირას თუნგითა,
ციხეთა ტანი მოქნილი
შეგყრის საგმირო სურვილთა.

აქ ბინადრობენ ღილღველნი,
ადათით - საჭირლხინოთი,
ბრძოლებში შეუდრეკელნი,
ბავშვივით გულუბრყვილონი.

ბრძენი, მამაცი მთიელნი,
წესს არა სტეხენ მთისასა,
მახვილით ხელში იცავენ
თავის წინაპართ მიწასა.

ღილღველებს ჰგვანან აქ მთებიც,
მათში სულია ნართების,
კამათობს, ეხმიანება
მთის კალთებს ასას ტალღები.

თუმც ხასიათით მდინარე
მთებზე მკაცრია ხანდახან,
ბევრ მხედარს ზურგზე მოევლო,
თავის წიაღში დამარხა.
ასა მეგობრობს ქარაფთან,
სალამს უძღვნიან კლდის სულნი,
იციან მასში ბობოქრობს -
ტალღები ხევსურეთული.

ღრიალებს, როგორც ძუ ვეფხვი,
შიშით მიდამოს აძრწოლებს,
ვნებიან ლამაზმანივით
ვაჟკაცის სავალს აბრკოლებს.
ძოღანაც ეგრე გაგიჟდა,
აჩქეფდა მთელი ძალითა,
ეცა და თან ჩაიხვია
ღილღველი - მდგარი ნაპირთან.

წამს თვალი ჰკიდა თავს ზემოთ,
არწივის ფრთების თამთამსა,
ამოახველა ტალღები -
ამოყეფდა და გამტკნარდა.
იცის, არწივი ამ მთების
მეუფეა და პატრონი,
უბრალო ჩიტი როდია,
მხოლოდ სიმღერის გამგონი.
ცაში ნავარდობს, ლაჟვარდებს
უხმობს ამ მთათა მცველებად,
თვითონაც მათი მცველია -
მწვერვალებს თავზე ევლება.

მაგრამ ასეა ოდითგან,
ამ ხეობათა ცხოვრება,
შემოიჭრება მტერი და
მოუწევთ თვალის სწორება.

ცხენდაცხენ მოქრის ხევსური -
ბოროტი, გულჯავრიანი,
სურს, რომ აიკლოს ქისტეთი,
დაბრუნდეს - ალაფიანი.
ვერვინ მიხვდება, განგება
ზოგჯერ როგორ იქმს სიკეთეს,
მტერი კი მხოლოდ მსხვერპლს ეძებს,
თუ შეხვდა - ლახვარს აგემებს.

აგერ, გამოჩნდა სოფელი,
ღილღო -მშვიდი და ამაყი,
სალოცავშია სუყველა,
უნდა ადიდონ ალაჰი.
შუადღის ლოცვად შემდგარან,
დიდი რწმენა აქვთ ღმერთისა,
შესთხოვენ, რომ ააცილოს
დაცინვა მზაკვარ ბედისა.
დაიცვას მათი სულები,
ბოროტებისგან, ცოდვისგან,
მაგრამ ვაი, რომ მათ თავზე
უბედურება მოვიდა...

ლოცვამაც ვეღარ უშველა
მათ კარზე მომდგარ რისხვასა,
აულთან მწყემსი მოიჭრა,
ცუდი რამ ხდება მის თავსა.

მეგობრის ქოხის კარებთან,
შეჩერდა - შეშინებული,
იქ დახვდა ორი ვაჟკაცი,
გულადი, თემში ქებული.

ტრაპეზად დასხდნენ სამივე
(მათ ყველა იცნობს მეგობრად),
მწყემსმა უამბო, რაც მოხდა,
თუ რა გასაჭირს შეჰყროდა.
უთხრა, რომ მთების კალთაზე,
მტერი დაესხა მის ფარას,
ცხვარი წაართვა და სიკვდილს
ძლივს გადაურჩა ის თავად.
გულს კაეშანი მოაწვათ,
თვალიდან რისხვა აკვესეს,
ხევსურთან შესაბრძოლებლად
მყისვე დაეშვნენ თავქვეზე.

,,დაე, ნუ შობენ ნურასდროს,
ღილღოში ვაჟებს დედანი,
თუ იქნებიან ლაჩრები,
შინ მოსულ მტერის მხედავნი!“ –
რისხვით აენთო ჟანმირზა,
თოფს მისწვდა ლომი - ლომგული,
ბიხომ კი ხმალი იშიშვლა,
ქისტურ სევადით მორთული.
ქურდის კვალს გაჰყვნენ ფეხმარდნი,
ღილღოს დატოვეს სახლ-კარი,
უნდა წაართვან ცხვრის ფარა,
ანანებინონ ნაქნარი.
მწყემსმა სოფელი შეყარა,
ყველას მოუხმო საშველად,
მალე ქისტეთით მდევარმა,

მთაზე მტრის კვალი დაზვერა:
,,როგორ გაბედე, უგნურო!
განზრახვა ავი საქმისა,
იქნება ქისტებს არ იცნობ,
იქნებ მტერი ხარ თავისა?!“-
დაიღრიალა ჟანმირზამ,
გაცოფებულმა რისხვითა,
ტყვიამაც არ დაახანა,
ბექი შეღება სისხლითა.
ბიხო დაეცა კლდის ქიმზე,
გადმოვარდნილი ცხენიდან,
საშველად მიდის ჟანმირზა,
ფიქრობს, გაიყვანს ხევიდან.
მაგრამ წაუხდა ქადილი,
გატეხა ძმობის უღელმა,
დასწყევლა თავის გაჩენა,
როცა სიკვდილმა უყელა.
მკერდი გაუპო ნასროლმა
ტყვიამ და დასცა ის ერთი,
თალხი მოისხეს ქედებმა,
გლოვით აივსო ქისტეთი.

მხოლოდ გაგაა, რომ ხარობს,
(სხვა ვინ იქნება შემდეგი),
ბავშვივით ბედნიერია -
სასტიკი ბრძოლის შედეგით.
მკვდარ ქისტს მოაჭრა მარჯვენა
და შეასრულა პირობა,
სახელად მიაქვს არხოტში,
დაუჯერებენ გმირობას.
მუხლს იყრის ქისტის ცხედართან,
ლოცულობს, როგორც მსახური,

წუხს, დაეხოცნენ მებრძოლნი,
დარდით სავსე აქვს მას გული.

ფარა გარეკეს და უმალ,
იქვე მოქუჩდნენ გრილოზე,
ილოცეს მოკლულებისთვის,
ცოცხლებისთვისაც ილოცეს.
დიდია სევდა ხევსურთა
და გასავლელი მანძილი,
გარდაცვლილი ჰყავთ ორი ძმა,
ორიც დაუჭრეს ყმაწვილი.
გვერდში უდგანან ერთმანეთს,
გადაიხვიეს იარა,
იმედი აქვთ, რომ შეძლებენ,
არხოტის მთამდე სიარულს.

მძიმედ დაჭრილი მათ შორის
ბიხოა მხოლოდ - ღილღველი,
ამ ,,გიაურთან“ შეხვედრას
ბევრი მოსისხლე მიელის.
სწორედ მან მოკლა ნუგზარი,
ხევსური -მთაში ნარჩევი,
ჩქარობენ, ემზადებიან,
შიში აქვთ გზაში დარჩენის.

მალმალ გახედავს ძმადნაფიცს,
ჟანმირზას ცხედარს - ლომისფერს,
ეგებ ერჩივნა ბიხოსაც,
ახლა მის გვერდით რომ იწვეს.
ეგებ სიკვდილი ერჩივნა,
კერძად რგებოდა არწივთა,
იცის, არხოტი ნუგოსთვის
შურს იძიებს და გაწირავს.

მივლენ, გადაწყვეტს სოფელი
სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანს,
მზე ჩაესვენა მთებს იქით
და საფლავებთან გაჩერდა.

,,გასაკვირია, თუმცა კი,
მთაზე ჩანს მხოლოდ ნისლები,
რად აგვიანებს მდევარი,
რად არ გამოჩნდნენ ქისტები?!“
ვინ იცის, სადმე ჩასაფრდნენ,
ახალ სიკვდილის მაცნენი,
სიჩქარე მართებთ ხევსურებს,
თორემ იციან, რაც ელით.
უნაგირებზე დააკრეს -
დაჭრილები და ცხედრები,
ფეხმარდ ცხენებით დაადგნენ,
ხევსურეთის გზას მხედრები.
მაგრამ სხვაგვარად შებრუნდა,
უცებ სასწორი განგების,
ხმები გაისმა შორიდან,
ჩანს, კვალს გამოჰყვნენ კაცები.
არ შეარჩენენ ქისტები,
საქმეს - მზაკვარს და მრუდესა,
არ დაუთმობენ ცხვრის ფარას,
არც დაინდობენ ქურდებსა.
გაგა მიხვდა ,რომ ნადავლით
ტყუილად გაუხარია,
ვერსად ვერ შეეფარება,
ირგვლივ ქისტეთის მხარეა.
აქ ვერც მტერს გაუმკლავდება
და ცხვარსაც ვერსად დამალავს,
ამიტომ გადაიფიქრა,

ფარის არხოტში გალალვა.
უბრძანა თავის ჯიგიტებს:
,,დაე, აქ დარჩეს ალაფი,
სჯობს , თავი გადავირჩინოთ,
გადავიაროთ ქარაფი!“

მძიმე ფიქრი სწვავს დღეს გაგას,
გულს კაეშანი ედება,
არ გამოვიდა ლაშქრობა,
ზარალი ნახეს მხედრებმა.
,,მაგრამ რას ვიზამთ, თუ ზოგჯერ
თავს წერა აგვაღებინებს,
ახლა კი დროა ,გავქუსლოთ,
მშობლიურ სანახებისკენ“.
ეს თქვა გაგამ და ერთხელაც
ტყვიით გასერა ხეები,
თოფის ხმამ ფარა დააფრთხო
და ყალყზე შედგნენ ცხენები...

დამშვიდდნენ ღილღოელები,
ცხვარი რომ ნახეს უკლებლივ,
ჩამოქვეითდნენ მდელოზე,
წამით გაშალეს მუხლები.
ჯერ არ იციან, რომ მტრებმა,
ტყვედ წაიყვანეს ქისტები,
ხუმრობენ: ,,რად არ დავთოფეთ,
კი იქნებოდნენ ღირსები!“
შინ მისვლის მერე გაიგეს
ჟანმირზას, ბიხოს ამბავი,
ინანეს, მტერს რომ არ მიჰყვნენ,
არ გაუთხარეს საფლავი!
ამ დროს კი არხოტივნები,

მიაგელვებდნენ ფეხმალებს,
გულს ჯავრი ედოთ ნისლივით,
ასაც მისდევდათ მყეფარი.
ელავდა მზე ჩამავალი,
ოქროსფერ წვერებს გაჩრილი,
მაგრამ ვერაფერს ხედავდა,
ტყვე ბიხო - მძიმედ დაჭრილი!.

ნაწილი მეორე

I

შავნაბადმოფარებული
თვლემს ხევსურეთი ჯერხანსა,
ცაზე ვარსკვლავთა ბორჟილნი
ელიან ცისპირტეხასა.
ხანდახან არღვევს სიჩუმეს
ასას ტალღების ჩხრიალი,
ხან კი შეაკრთობს გარემოს
გარეულ ჩიტის წრიალი.
სახლის ერთგული ნაგაზი
ყეფით აფხიზლებს პატრონსა,
ოღონდ კი შველა დასჭირდეს,
მზად არის, ამას ნატრობსა.
სძინავთ ნაჯაფარ მთიელებს,
ცუდს არ მოელის არავინ,
სიმშვიდე სუფევს სახლებში,
ან რა აქვთ მოსაპარავი?
გორის ფხას მომდგარ ხევსურებს
მაღლიდან მთვარე დაჰყურებს,
თავჩაქინდრულნი გასცქერენ,
ჯიგიტნი თავის მამულებს.
აქვეა მათი სოფელი,
მაგრამ შინ მისვლა ძნელია,
დგანან კაეშნით სავსენი
და გათენებას ელიან.
ძნელია უბედურების -
სიკვდილის მაცნედ შინ მისვლა,
სჯობს უთხრან მამა ონოფრეს
და მადლს მიენდონ იმისას.

მართლაც, გაგზავნა მოძღვართან
გაგამ შიკრიკი მთებიდან
და სთხოვა გათენებისას
ტაძართან შეყრა თემისა.
დაე, გათენდეს და მერე,
გაიგოს ყველამ, რაც მოხდა,
მკვდრები იტირონ დიაცთა,
შავი ჩაიცვას არხოტმა.
დე, გადაწყვიტოს სოფელმა
ტყვე ქისტის - ბიხოს ბედიცა,
ახია მისი სიკვდილი,
ვისაც სისხლ ღმართებს ბევრისა.
მდუმარედ უმზერს ქისტის შვილს,
ბრაზი ერევა გაგასა,
,,ნეტავ არ მეწყალებოდე,
ერთ წამში გკრავდი ტყვიასა.
შენ მომიკალი ნუგზარი,
მე მეგობარი სიყრმისა,
ხვალ თემს გადაგცემ, ქოფაკო!
განაჩენს - თემი იტყვისა!“
ანდა რა ვუთხრა ნუგოს ცოლს,
სად ვნახო ძალა ამდენი,
რომ ის ქვრივია დღეიდან,
რომ ჩაქრა მისი სანთელი.
ან მზიას რა უნდა ვუთხრა,
ისრაც დარდ ჰქონდა უთქმელი,
ერთ შვილ მკვდარ როგორ მივღგვარა -
ცხოვრება ხელმოუყრელი.
ქორძო ობლობით გაზარდა,
მამაც მოუკლეს, ბიძებიც,
ყველა დაჩრდილა სიქველით,
ვაჟკაცი დადგა ისეთი.

გაგას ჯავრი ჰკლავს სამძიმო,
დარდი აქვს ხალხში გასვლისა,
თითქოს მომხდარში მის გარდა,
ბრალი არ ჰქონდეს არცვისა.
უჩუმრად კვნესის ტყვე ქისტი,
ჭრილობაც ეწვის და სულიც,
ემშვიდობება სიცოცხლეს
და აგონდება წარსული.
იცის, რომ მალე მოკლავენ,
დრო ცოტა დარჩა დილამდე,
ვეღარც სამშობლოს იხილავს,
ვეღარც ბუნების სიამეს.
წასულა ყველა ვაჟკაცი
თავთავის საფიქრალშია,
თანდათან შემორიჟრაჟდა,
მზის სხივი გაკრთა ცაშია...

II

მოქუჩდა ხალხი არხოტის
ტაძართან, აულის მიღმა,
მამა ონოფრეც აქ არის,
დაიწყო ფსალმუნის კითხვა.
შეძრწუნებულა სოფელი,
სასწაულს არვინ არ ელის,
სასოწარკვეთით აღვსილთა
ახსენეს ღმერთის სახელი.
სუმბატა შედგა მაღლობზე
(მთა მოჩანს, ვით ამბიონი),
სიტყვით მიმართავს შეკრებილთ
მხცოვანი არხოტიონი.

გვერდით კი, მოფარებულად,
ტირის ლამაზი ასული,

იგი ნუგზარის ქვრივია,
შავ-ბნელ ფიქრებში წასული.
თავს ჩამოექცა იმედის
ციხე - ლამაზად ნაგები,
ქმრის სულისათვის ლოცულობს,
საწუთროს ბალღამნაგემი.
მოხუცი მზიას დარდი კი,
არვისგან აიწონება,
გაშეშდა შვილის ცხედართან
და დაუბნელდა გონება.
ნეტავ შეეძლოს ქორძოსთან,
საფლავი ჰქონდეს თავისი,
გაქრა ზეციდან მისი მზე,
მისი სიცოცხლის ხალისი.
თალხი ჩაიცვეს - მოკლულებს
ხმით დასტირიან ქალები,
ანუგეშებენ ერთმანეთს,
ამოღამებულ თვალებით.
კითხულობს გარდაცვლილთათვის,
მამა ონოფრე ფსალმუნს და
მლოცველთა ხმები ედება,
ჭირისუფლის გულს სალბუნად.
გაგაც მათ შორის ჩამდგარა,
ჯავრიანი და მწუხარე,
ელის განაჩენს თემისა,
გულს არაფერი უხარებს.
და ჯიგიტები მის გვერდით
დგანან, როგორც კლდის ნატეხნი,
ისინიც ლოცვით წამლობენ,
განსაცდელს - თავზე დატეხილს.

მზეც სადღაც გადაიკარგა,
არა ჩანს მისი სხივები,
ღრუბლები დაწვნენ ქედებზე,
აისხეს ცრემლის მძივები.
თითქოს განგების განაჩენს
ელიან ხმადაზაფრულნი,
შავად გათენდა არხოტში,
ეს ლამაზი დღე ზაფხულის.

III

,,აი, რას გეტყვით, ხევსურნო,-
რიხით დაიწყო სუმბატამ,
სასჯელი მოდის ზეციდან,
კაცმა თუ ცოდვას უმატა.

იმას ვაკეთებთ, რაც გვინდა,
არაფრად ვაგდებთ ღვთის ნებას,
ეს არის სწორედ მიზეზი,
უბედურების - რაც ხდება.
მაინც არ გვწირავს გამჩენი,
გვპატიობს ამდენ ზიანსა,
გვაძლევს პურს ჩვენი არსობის,
სიცოცხლეს, დილას მზიანსა...“
წამით გაჩუმდა მოხუცი,
თავი დახარა კაეშნით,
ჩანს , რომ უმძიმებს გონებას
სევდიან ფიქრთა თარეში.
შეჩვეულია სუმბატა
ცხოვრების მწარე გამოცდას,
ბევრჯერ მოუხდა აქედან
თანამოძმეთა დამოძღვრა:
,,დიდია უბედურება,
ჩვენს თავზე, თემო, სოფელო!

რაც გინდა ბევრი ვიუბნათ,
ვერ შევცვლით ბეწვისოდენად,
ჩვენ ახლა საქმე გვჭირდება,
ჭირის გონივრად გაძღოლა,
არაფერს გვარგებს სიცოფე,
წამიერ რისხვას აყოლა.

ეგებ არც მოგწონთ ზოგიერთს,
სულს გიბობოქრებთ ჯავრია,
მაგრამ დღეს სიბრძნე გვჭირდება,
ვამბობ და მოწმე ჯვარია!
მე თქვენზე ზრუნვით დავბერდი,
იცით და ხედავთ თავადა,
არ გვარგებს საქმის გადაჭრა
სიჩქარით, უმეცარადა.
დღეს ჩვენ გვჭირდება ღირსება,
ნაცვლად ზიზღის და ეჭვების,
განსაცდელის ჟამს კაცის გულს
სხვა ვერაფერი ვერ შველის.
მაშ, მოვერიოთ სიძულვილს,
ნუ გავხდით გულის საოხად,
მოვუხმოთ გაგას, მოვიდეს,
თვითონ გვიამბოს, რა მოხდა.“-

ეს თქვა მოხუცმა სუმბატამ
და დაასრულა სათქმელი,
მერე მიბრუნდა გაგასკენ,
ხელში ჯვრითა და სანთელით:
,,მტერ-მოყვარეც და უფალიც
ახლა სუყველა აქ არი,
ამ წმინდა ჯვარის წინაშე,
მოდი და გვითხარ მართალი!“

მაღლობზე შედგა ჭაბუკი,
შემკრთალი, დამწუხრებული,
მშვიდად ისახავს პირჯვარსა,
შეჰყურებს ხალხის კრებული.
ჯვარს მიეახლა კრძალვით და
გულში იმედმა იმატა,
მოძღვარს კურთხევა შესთხოვა
და თემს ამ სიტყვით მიმართა:

,,მოძმენო, ვფიცავ ჯვარს და ღმერთს,
შემთხვევით გავხდით მკვლელები,
წყეულიმც ვიყო თუ ერთიც
სიტყვა ვთქვა შეუფერები.
მეტად ძნელია, მერწმუნეთ,
დღეს ჩემთვის დგომა თქვენს წინა,
მეც ვწოლილიყავ მკვდარ ძმებთან,
ეგ ბევრად უფრო მერჩივნა.
გიამბობთ დაუფარავად,
იმ დღეს ჩვენს გადანაყარსა,
ვინაც სიმართლეს დამალავს,
მზეს ნუღარ დაინახავსა.

თქვენ იცით, ჩემო ხევსურნო,
სალაშქროდ ბევრჯერ გვივლია,
მუდამ გვწყალობდა ყისმათი,
არასდროს დაგვიჩივლია.
ქისტეთში ნაალაფარით,
ძროხა იყო თუ ცხვარია,
ბევრ შიმშილს გადავარჩინეთ,
თავისები თუ სხვანია!
იმ დღესაც გავემართენით
ქისტეთისაკენ ხუთნია,
მოგცელავს თუ დაგეწია,
ბედუკუღმართი წუთია.

სოფლიდან მოშორებულად
კაცის თვალს გორი ფარავსა,
მოულოდნელად წავაწყდით
მდინარის პირას ფარასა.
პატარა მწყემსი ბიჭუნა
იქ თამაშობდა ბატკანთან,
ჩვენს დანახვაზე შიშისგან
წამოხტა, ტყისკენ გაქანდა.
გავლაღდით, ცხვარი ჩვენ დაგვრჩა,
აღარ უნდოდა მტკიცება,
აღარ გვახსოვდა შორ გზაზე
როგორ დაგვღალა სიცხემა.
საჩქაროდ გამოვემართეთ,
უკან, არხოტის მხარესა,
წინ დავიყენეთ ცხვრის ფარა,
არ ვაშორებდით თვალებსა.
როცა გვეგონა, მშვიდობით
გამოვიარეთ გვერდალი,
ფეხდაფეხ წამოგვეწია
ღილღოდან ორი მხედარი.
ხელი წავიღეთ თოფისკენ,
გვისწრო ხირიმის გრიალმა,
გონს მოსვლა ვერ მოვასწარით,
ქორძო ძირს დასცა ტყვიამა.
რომ დავინახე, რაც მოხდა,
არც მე ვაყოვნე დიდხანსა,
ვესროლე - მკვლელი მოვკალი,
გადმოეკიდა კლდის ფხასა.
მეორე ქისტი იმავ წამს
ხანჯლით მოვიდა ჩვენზედა,
აქაც არ ვიცი, რა მოხდა,
სამნი ვიყავით ერთზედა,

მაინც მოგვიკლა ნუგზარი,
სხვა დანარჩენებს არ ვჩივი,
გოჩა და კობა ორივე
მსუბუქად არის დაჭრილი.
ჩვენ არ მოვკალით ეს ქისტი,
(მე საკარგყმოსაც მივცემდი...),
არც შიში, არც სიყვარული,
არ იყო ამის მიზეზი.
ის არის გმირი, ვაჟკაცი,
ვერ მოვაცვლიეთ ფეხია,
დაჭრილი ისე გვებრძოდა,
როგორც სალი კლდის ვეფხვია.
ახლა აქ არის, აულთან
და ტყვეს ელგუჯა დარაჯობს,
თქვენ გადაწყვიტეთ ეს საქმე
და მოიქეცით, როგორც ჯობს.
ღრმად არის ხანჯლით დაჭრილი,
მძიმეა მისი წყლულია,
თუ გინდათ, სისხლი აიღეთ,
გააფრთხობინეთ სულია.
მაგას თან ჰყავდა მეორე,
ისიც მამაცი ქისტია,
მოვკალი, მკლავი მოვკვეთე,
მარჯვენა თან მაქვს მისია.“-
ეს თქვა და აბგა მოიხსნა,
მან მხრიდან სისხლით მოსვრილი
და ამოიღო მტრის ხელი,
ქორძოს მკვლელისთვის მოჭრილი.
ამოიგმინეს ხევსურთა,
მთას დაიყივლა არწივმა,
ეტყობა ყველას არ მოსწონს
ვაჟკაცის ასე გაწირვა.

,,ცხვრის ფარაზედაც გიამბობთ,
მას როგორ დავედევნენით,
რომ ხვალ სოფელში არ იყოს
მითქმა-მოთქმა და ენები.
ფიცხელი ბრძოლა დამთავრდა,
ლაჩარს მოვგავდით არავინ,
ცხედრები ცხენებს ავკიდეთ,
დავთვალეთ მსხვერპლი, ზარალი.
ეს ქისტიც ჭირად გაგვიხდა,
ვეღარ დავტოვეთ დაჭრილი,
შუღლში ჩვენსკე ისრ იწევდა,
როგორც სალი კლდის ნადირი.
ზედმეტ ბარგ რაად გვინდოდა,
ჩვენიც თავს გადაგვდიოდა,
მაგრამ კაი ყმა -ვაჟკაცი,
შაგვნანდა სასიკვდილოდა.
გამოვემართეთ შინისკე,
შავ ღამე განათევარნი,
ვფიქრობდი , გასაკვირია,
აქადე არ სჩანს მდევარი.
ვშიშობდი, გზას შეგვიკრავდნენ,
სადმე კლდეების ვიწრობში,
მეაც ამიტომ ავჩქარდი,
მტრის გუნებას რო ვიცნობდი.
ის იყო ტყეში შევედით,
შუქი აკრიფა დაისმა,
ცხენების ფლოქვის თქარუნი
მეხის ხმასავით გაისმა.
ცხვრის ფარის დასაბრუნებლად
ყველა ხიფათზე წამსვლელნი
უკან მოგვდევდნენ ქისტები,
პირქუშნი -რისხვით სავსენი.

მაშინ კი მივხვდი, მტრის ხაფანგს,
ვერ გავაღწევდი იოლად,
ვიფიქრე: ძმებს გადავარჩენ,
ცხვრის ფარას ვინღა ჩიოდა.
ვუბრძანე: ცხვარი დატოვეთ
და თავს ვუშველოთ საჩქაროდ,
რიცხვით ბევრია მდევარი,
აქ არ ღირს - თოფი ვაჩქამოთ!
შავსძახე ჩემ სალოცავებს,
ჯვრის და იესოს ძალასა,
ჩამაგვეშველე, მაღალო!
შენს იქით - იმედ არ ასა!
ქისტებმა ფარა რო ნახეს,
უვნებელი და უკლები,
გაბრუნდნენ, თავ გაგვანებეს,
აღარ დაღალეს მუხლები.
ჩვენ ბედად მათ ვერ გაიგეს,
სიკვდილის მისვლა კარზედა,
თორემ მაშინ რომ სცოდნოდათ,
ცას დაგვხურავდნენ თავზედა.
აი, გითხარით სიმართლე,
როგორ გადავრჩით მტრის რისხვას,
გიამბეთ, თავს რა გადაგვხდა
და ყველაფერი იცით სხვა.
ახლა თქვენა თქვით, ხევსურნო,
თუმცა, სიკვდილმა დაგზაფრათ,
გვითხარით, როგორ მოვიქცეთ,
ვარ თქვენი სიბრძნის ანაბრად.“-
აქ დაასრულა სათქმელი
გაგამ და გადგა განზედა,
თითქოს უპოვა ნაპირი
ქარიშხალს, დამტყდარს თავზედა.

ხალხი აღელდა და ბჭობენ,
არავინ ნაქნარს არ უქებს,
მაგრამ მიზეზის ცოდნითა,
ვერც ამტყუვნებენ ჭაბუკებს.
სიტყვის სათქმელად წინ წადგა,
თემისგან გამოერჩია,
მაუმცდარ საქმით ნაქები,
ბრძენი მოხუცი -ბეჟია.
,,ყური დამიგდეთ, მოძმენო,
ჟამი დაგვიდგა ბნელია,
ძნელია დღეს აქ სიტყვის თქმა
და ართქმა უფრო ძნელია.

გულს ჭრილობები გვისერავს,
მესმის, რომ ხალხი დავკარგეთ,
მაგრამ ზედმეტი სიმკაცრე
და გულქვაობა არ გვარგებს.
დღეს თითქოს გლოვობს ბუნებაც,
ზამთარს ჩამოჰგავს ზაფხული,
შავ ღრუბლებს ჩამოუბურავს -
სოფელი გულდაზაფრული.
პირქუშად გარინდებულა,
სამყარო ჩვენზე მლოცველი,
დაკარგულ შვილებს დასტირის,
სიკვდილის ხელით მოცელილთ.
სუყველამ ვიცით, ცხოვრება
მთაში რარიგად ძნელია,
ქისტებთან მტრობა, ხევსურნო,
წადილ არ არი ჩვენია.
სალაშქროდ დენა არ არი,
არც საწადინო გართობა,
მეზობელს გაუჭირვებლად,
მთაში არავინ დათოფავს.

მაგრამ მოხდება ხანდახან
(რა ვუყოთ, ამით გავძელით),
ხან ჩვენ გვესხმიან, გვძარცვავენ,
ხან თვითონ ვხდებით მძარცველნი.
ორივემ ვიცით ვაჟკაცის,
მკლავის, სიმარჯვის შექება,
არც ქისტებს და არც ხევსურებს
აუგის თქმა არ ერგება.
კაცმაც და ქალმაც მთაშია
გამოვცადეთ და ვიწამეთ,
ტანჯვაა ბოლო სიკვდილის,
ქვრივთა, ობოლთა სიმწარე.
მე ვისურვებდი , სიცოცხლით,
მთაში მენახა მშვიდობა,
სტუმრად გვედინა ერცხვასთან,
ამის მეტ არა მინდოდა.
მე ერთსა ვხედავ მიზეზსა,
ჩემი ჭაღარა სიცოცხლით,
თავი რომ გადაგვერჩინა,
მხოლოდ ამიტომ ვიბრძოდით.
ამ სისხლისღვრაში დავკარგეთ
ახალგაზრდები -რამდენი,
უდროო სიკვდილს შავჰყარეთ -
ცოცხლად დავმარხეთ გამზრდელი.
მერწმუნეთ, თუ ეს გაგრძელდა,
იმედ არ გქონდეთ ხვალისა,
ხევსურეთს აღარ დარჩება
კაცი ამღები ხმალისა.
თუ გინდა მართალი იყოს,
მეზობელს ვებრძვით ყველანი,
ავის საქნელად მალნი ვართ,
საპატიებლად - ნელანი.

ჩვენი ბოროტი ზრახვებით
ნიადაგ ვაწყრობთ უფალსა,
ამიტომ გვრისხავს გამჩენი,
ჭირსა გვყრის გარდაუვალსა.
ახლა კი მინდა საქმეზე
გითხრათ მოხუცის აზრია,
ყველამ წააგო, ვისაც კი,
ენა ჭკუის წინ წასვლია.
აჯობებს, თუ არ იჩქარებთ
ქისტის სიკვდილით დასჯასა,
მაგის ქნა ძნელი არ არის,
არ ითხოვს ზედმეტ გარჯასა.
ჯობია, დავესაუბროთ
მშვიდი, კაცური ენითა,
გავიგოთ, რა სარგებელი
გამოვა მაგის ხელიდან.
გავიგოთ, ვკითხოთ, ვინ არი,
გავიცნოთ ავით, კარგითა,
თუ თემს სარგებელს მოუტანს,
მაგის სიკვდილი რად გვინდა.
ჩვენ ხომ საკუთარ მიწაზე,
ვერ მოგვერევა ვერავინ,
თუნდაც დაგვესხნენ ქისტები,
გადმოიარონ მწვერვალი.
ციხესიმაგრედ იქცევა,
ყველა სახლი და ყველა ქვა,
არხოტ სამტროდ ვინც მოვიდა,
თავის იმედი ვერ აქვა.
ამიტომა გთხოვთ, ხევსურნო,
უჭკუოდ ნურას იზამთა,
საქმე გადავჭრათ საჩვენოდ,
აუჩქარებლად, მშვიდადა.

ერთმანეთს ჭირი ვუწყინოთ,
მკვდარ მივაბარათ მიწასა,
ჯერ მივხპატრონდათ თავის მკვდარს,
მერე კი ცოცხალს - სხვისასა.
ვიგლოვოთ მთელმა ხეობამ
მთის წესზე ჩვენი ვაჟები,
მივხედოთ იმათ ოჯახებს,
ღვთის ანაბარა დარჩენილთ.
არხოტს სიკვდილი არ უკვირს,
არც წუთისოფლის სამსალა,
რამდენ კაი ყმას სიცოცხლე,
მტრის ტყვიამ არ დააცალა.
მაგრამ რაც მოხდა დღეს ჩვენთან,
არ იყო ამის ძალია,
დღეს ჩვენ ქისტი არ დაგვსხმია,
რაც მოხდა, ჩვენი ბრალია.
მე სხვისი ჯავრი არა მაქვს,
არცა მკლავს დარდი ქისტისა,
მე ხევსური ვარ ერთგული,
შვილი საკუთარ მიწისა.
ჰოდა, სუყველა გითხარით,
თქვენზე რა ფიქრიც მაწუხებს,
გთხოვთ, მშვიდ გონებით უწამლეთ
ჯავრიან გულის მარწუხებს...“
-ეს თქვა მოხუცმა ბეჟიამ,
დარდისგან ამოიგმინა,
თვალზე მომდგარი ცრემლები,
ბალღივით ამოიწმინდა.
ბეჟიას შემდეგ სუმბატა
კვლავ წარდგა თემის წინაშე,
გადაადუჟნა მწკლარტე პირს
მომდგარი ბოღმის სიმლაშე.

ხალხს თვალი ისე მოავლო,
თითქოს ტყვე იყო თვითონაც,
ყოველი მხრიდან მღელვარე
სოფლის ჩიფჩიფი ისმოდა.
,,ჩვენ მოვისმინეთ ბეჟიას,
ბრძნული, მართალი სიტყვები!“-
სუმბატა ხელჯოხს დაეყრდნო,
კვლავ ხალხს მიმართა სიმხნევით:
,,სირცხვილს სიკვდილი სჯობია,
თუ გული მტრობით ივსება,
ჩვენ ვიცით, კაცს უნდა ჰქონდეს
უპირველესად ღირსება.
სიბრძნე თანა გვდევს ოდითგან,
მართალს ამბობდა ბეჟია,
ჰოდა, გავიგოთ მოხუცის
ნათქვამი, როგორც წესია.
არ გვიჭირს ქისტის სიკვდილი,
არც არასოდეს გვიჭირდა,
მაგრამ სჯობს საქმე გადავჭრათ,
მეტი აზრით და ნიჭითა.
გავიცნოთ და გამოვცადოთ,
ჩვენს ხელთ ას ჩვენი მტერია,
ეგება მისი სიცოცხლით
უფრო მეტ სარგებელია.
სანამ სოფელში გლოვა გვაქვს,
სანამ დავმარხავთ ჩვენ მკვდრებსა,
ვიდრე იმათი სულები,
სამუდმო სამყოფს ეძებსა,
ჩვენს ტყვესაც უნდა მივხედათ,
ჭრილობებს ვუმკურნალათა,
არ უნდა გავახეიბრათ,
არც პურ-წყალ დავუმადლათა.

სანამ მაგისთვის მოვიცლით,
რომ არა გვქონდეს ჯავრადა,
ქისტი გიგოლეს მივღგვარათ,
მის ოჯახს მივაბარათა.
მე ასე ვფიქრობ, თუ ვინმე
სხვას ფიქრობთ, მოდით, გვითხარით,
განზე გადადგა სუმბატა,
გამოისახა პირჯვარი.
ყველამ დასტურით მიიღო,
მოხუცის რჩევა გზიანი
და დაიშალა სოფელი,
სიკვდილით გულდარდიანი.

IV

სიჩუმე გამეფებულა,
არც ჩქამი, არც ხმა სიახლის,
ზოგჯერ შეაკრთობს ორღობეს
დამფრთხალი ქათმის კრიახი.
ხან დაიბღავლებს ნახირი,
შემოფენილი ბექობში,
ჩაიკარგება მისი ხმა
მქუხარე ტალღის ექოში.
მდინარეს მიაქვს ფიქრები
შორს და ასკდება ლოდებსა,
ხან ყმუის აქაფებული
 და ძუ მგელივით გოდებსა.
პირქუშად დგანან ხევსურნი,
გულს ჯავრი უღრღნით, უფატრავთ,
გუშინ დამარხეს მკვდრები და
ლოცვით გაუძღვნენ უფალთან.
ახლა კი ისევ მოვიდნენ,
შესანდობარის სათქმელად,

ბოლო ვალს გადაიხდიან ,
მოუწევთ დარდის დათმენა.
გიგოლეს სახლში კრებაა,
თემის ხანდაზმულ მოხუცთა,
ბალღებიც, ახალ-უხლებიც,
სუყველა ერთად მოქუჩდა.
სულთიც გამოჩნდა, ბრგე ვაჟი,
უქებენ მტკიცე ხასიათს,
დედა ქისტი ჰყავს და ამით
მის რჩევას დიდი ფასი აქვს.
ლომანი ერქვა მის დედას,
კარგი ვაჟკაცი გაზარდა,
თავის მგზნებარე სიყვარულს,
გულში მარხავდა მკაცრადა.
ის იყო დათვიას ცოლი,
არხოტელთ რძალი დღიანი,
მაგრამ თავისი მიწა-წყლის,
გულს ჯავრი ჰკლავდა, ტიალი.
თავისი ნებით გამოჰყვა,
ქმარს - სახელიან ვაჟკაცსა,
მაგრამ სულ მუდამ ნატრობდა,
თავის ქისტეთის ნახვასა.
გაზარდა არხოტივნები,
შვილები - თემში ნარჩევი,
დედულთა ენაც ასწავლა,
სისხლის ყივილის ამშლელი.
არც ხევსურთან და არც ქისტთან,
სულთი არ იყო უბრადა,
ამიტომ უხმეს მეენედ,
ქისტ ტყვესთან სასაუბროდა.
გიგოლეს ჰკითხეს ამბავი,
ღილღველის ჭრილობებისა,

,,რას სჩადის შენი სტუმარი,
ამდენ ხან რად ვერ რჩებისა?!“
პასუხად უთხრა გიგოლემ:
,,ტყვე ღამეს გომურში ათევს,
საჭმელი თავის დროზე აქვს
და მე არ ვაკლებ არაფერს.
ჯერ მთლად ჯანმრთელად ვერ არის,
მორჩება - თუა ღირსია,
მაგრამ თამამად მივიდეთ,
თუ გსურთ დაკითხვა მისია.“
თავკაცებს სურდათ, რომ საქმე
აღარ გასვლოდათ დიდხნადა,
ორი ხევსური გაგზავნეს,
ღილღველის დასაკითხადა.
სჯობს მშვიდად დაისაუბრონ
და ავი არა გადახდეთ,
ქისტთან ბეჟია წალალეს,
მეენედ სულთი აახლეს.

V

ბოსელი სუფთად მოვლილი
თუმც არის პირუტყვთ საბმელი,
აქ, როგორც სახლში, ისე წევს
ტყვე ქისტი - კლდისა საფერი.
გულგრილად ბრუნავს ჩალაზე,
ზის, როგორც ციხის ტუსაღი,
ძონძებში გამოხვეული,
არის კუშტი და უმძრახი.
ფერხთით უგდია დასვრილი,
ჩერქეზულ ჩოხის ტყლაპია,
თავს იჭერს ისევ ღირსებით,
თუმც ავადობა ატყვია.

მნახველებს უმზერს უნდობლად,
შუბლშეჭმუხვნილი, გოროზი,
მხეცივით უნდა ღრიალი,
ვინმეს თვალს მოჰკრავს, როგორც კი.
არავის ესაუბრება,
საღ აზრზე არის , თუმცაღა,
ფიქრობს, რომ მალე მოჰკლავენ,
სწვდება ხევსურთა ჩუმ ზრახვას.
ფიქრობს: ,,სიცოცხლის დღეები
მე დამრჩა თითზე სათვლელი,
შურს იძიებენ დღეს თუ ხვალ
და სამზეოდან გავქრები.
მოკლულის სისხლის ძიება,
ეს ხომ ხევსურთა ვალია,
ავაჰმე, რომ სამუდამოდ
გაქრება ჩემი კვალია.“
ამ დროს ბეჟია მოვიდა,
ქისტსაც გაუწყდა ფიქრები,
უთხრა: ,,სამტროდ არ მოვსულვარ,
გაცოცხლებთ, თუ ჭკვით იქნები.
სოფელს სურს შენი გაცნობა,
ვინა ხარ , ეგრე მამაცი,
მოჰგევხარ ლომის ნაშიერს,
ხმლის ქნევას არვის არ აცდი.
რა გქვია, სადაური ხარ,
ეგრ უცოდნელი შიშისა,
სუყველა უნდა გვიამბო,
ხარ რა გვარის და ჯიშისა.“
გაფითრდა, ფერი ეცვალა,
ბოროტად მზირალ ტყვე ქისტსა,
ყოველი სიტყვა გულს უკლავს
და თვალებს უმღვრევს წყენისგან.

,,რას მეკითხებით, ჩემ ამბავს
რა თავში იხლით ნეტავი,
დროზე მომკალით, მტრის წინა
არც თქვენ ხართ გაუბედავნი...“
სულთიმ განაგრძო ქისტურად
ურჩი ტყვეს დაშოშმინება,
უხსნიდა - სხვა გზა არა გაქვს,
დღეს ზეცამ ასე ინება.
შეაწყვეტინა ბეჟიამ:
,,არ გვინდა ბევრი სიტყვები,
ავი საქმისთვის არ გკითხავთ,
დაწყნარდი და მოგვიყევი!
უნდა ვიცოდეთ, თუ ვისთან
მოგვიხდა სისხლის აღება,
შენც მთიელი ხარ და იცი,
ღირსება რჩება სახელად.
ხომ უნდა შევატყობინოთ,
რაც მოხდა , ღილღოს - შენ გვარსა,
გადაგიხდიან ქელეხს და
თავს გავანებებთ ერცხვასა.“
მრისხანებისგან აენთო,
ბაგასთან მწოლი ღილღველი,
ფიქრობს: ,,ნეტავი თოფ მამცა,
თქვენ წახვიდოდით პირველი!“
ბოლოს კი თხრობა დაიწყო,
რომ მოიკრიბა მხნეობა:
,,მე ბიხო მქვია და ნიშნავს -
ჩემი სახელი ,,მეომარს“,
ჩულხოდანა ვარ მე ძირად,
განთქმული გვარის, სისხლისა,
ჩემ ჯიშთან მტრობა ძნელია,
ეს ღილღოს ბალღმაც იცისა.

მშენებელი ვარ - ცნობილი,
ვაგებდი კოშკებს, სახლებსა,
ჩემს აშენებულ ქვითკირებს,
მტერი ვერაფერს აკლებსა.
ზემო გერდაის შვილი ვარ,
ოსტატი იყო ისიცა,
ბევრა სახლ აუშენებავ,
ხევსურისა და ქისტისა.
ვინ იცის, სადაც ლოცულობთ,
მტკიცე და შეუდრეკელი,
იმისი ნახელავია
მაგ სალოცავის კედლებიც.“
უცებ შეწყვიტა მოყოლა,
ბიხომ და პირი იბრუნა,
ჭრილობა ეწვის, ტკივილი
არ შეიმჩნიოს- ის უნდა.
,,კი, ჩვენ ვიცნობდით მამაშენს,
მოგვწონდა მისი ქველობა,
მრავალჯერ დაგვჭირვებია
არხოტში მისი ხელობა.
ნუ მიწყენ, ეს ვერ გავიგე,
გკითხავ, ჩაგყვები ძირამდი,
ცორინელების გულისთვის,
თავს ასე რატომ სწირავდი?!
ხელთ გქონდა მარტო ხანჯალი,
არც თოფი და არც დამბაჩა,
ურცხვად გაგწირეს მოძმეთა,
ასეთ დროს სხვა ვინ გადარჩა?!
შენ კი ბრდღვინავდი ლომივით,
მათთვის რამ გაგაგულადა? ‘’-
ბეჟია კითხვებს უსვამდა,
სიფრთხილით, ეშმაკურადა.

,,იქ, მეგობართან ვიყავი
სტუმრად , ვისხედით ტაბლასთან,
როცა თავდასხმის შესახებ,
ხმა მათ სოფელში გავარდა.
ჰოდა, პირდაპირ სუფრიდან,
გამოვიქეცით მტრისაკენ,
ჟანმირზა ხირიმს გადასწვდა,
მე ხანჯლისაკენ ვიძალე.
მინდორში როცა გავედით,
სადაც გველოდა ხიფათი,
არ დაგვიწყია გარჩევა,
რა იყო ჩვენი, იმათი.
ვნახეთ, რომ მტერი მოსულა,
იქცევა უტიფარადა,
წინ წაუგდია ცხვრის ფარა,
კაცებს არ გვაგდებს ჩალადა.
მერე რაც მოხდა, თქვენც ნახეთ,
მომიკლეს მე ძმადნაფიცი,
მისებრ ღირსეულ ვაჟკაცი
მე მთელ ქისტეთში არ ვიცი.
ცორელთ შესახებ გქონიათ
აზრი მცდარი და მარტივი,
მარტო ჟანმირზას გულისთვის,
ეკუთვნით მაგათ პატივი.
აღარ მსურს მეტის მოსმენა,
არც საუბარი თქვენთანა“, -
ამოიოხრა ბიხომ და
მზერა დაუხშო სევდამა.
აღარცრა იმათა ჰკითხეს
(სიტყვა არ ჰქონდათ საძებნი),
უხმოდ ადგნენ და გავიდნენ
მასთან მისული კაცები.

VI

ბეჟიამ ქისტის ნათქვამი
სრულად უამბო სოფელსა,
მერე გაჩუმდა, შეჰყურებს
თემი ავ-კარგის მცოდნესა...
წყალი ითხოვა, მოართვეს,
ერთბაშად ყველა დადუმდა,
ფიქრს მისცემიან ხევსურნი,
მცდარად მოქცევა არ უნდათ.
გულში კი ჯავრი ბობოქრობს
და ეფლითებათ სხეული,
ითმენენ, სამართლიანად
განსჯას არიან ჩვეული.
ბავშვები, ახალგაზრდები,
დგანან ანთებულ თვალებით,
სუყველა დიდი კაცივით,
ლოყაზე ნაიარევი...
ვიღაცა ამბობს: ,,კაცია,
გაგა - ვეფხვის აქვს იერი,
ის ჩემი ნათესავია,
შეიპყრო გადამთიელი“.
ყოყმანმა დიდხანს გასტანა,
იმედი არ აქვთ სიკეთის:
,,ღმერთმა ეს ჭირი გვარგუნა,
მგლოვიარედ რომ ვიქეცით,
საჩვენო საქმე ვეძებოთ,
ღმერთს შველა ვთხოვოთ ჩოქვითა,
მაშინ მგონია, ეს ჭირი
წარმატებასაც მოგვიტანს.
გთხოვთ, მომისმინეთ, რას ვფიქრობ,
გეტყვით, ჭკვა რასაც მკარნახობს,
ეგ ქისტი გამოგვადგება,

ჯობია, ხელი არ ვახლოთ!
ხომ გახსოვთ ახიელასთან,
ციხის ჩადგმა რომ გვეწადა,
რამდენი ხანი ვწვალობდით,
მთელი არხოტი ერთადა.
რომ შეგვძლებოდა ხეობას
მტრის თავდასხმების გაძლება,
ხალხის და განძის გახიზვნა,
რითაც მომხვდური არ ძღება.
სისხლიან შურისძიებას,
გვიჯობს, რომ ეს გზა მოვძებნოთ,
ამ ციხის მკვიდრად აგება,
ჩვენს ტყვეს მივანდოთ, მოძმენო!
ახლა ხომ ყველამ გავიგეთ
(ან ერთურთს რისთვის ვხოცავდით?),
რომ ქისტი ბიხო ყოფილა,
,,მხეცი“ კი არა , ოსტატი!
ჰოდა, ვაჩუქოთ სიცოცხლე,
სიძულვილს ნუღარ დავიმჩნევთ,
ავაგებინოთ მას ციხე,
არხოტის მტკიცე კარიბჭედ!“
ამ დროს ხალხის წინ გამოჩნდა,
ნაწყენი სახით ვეფხვია:
,,ხალხნო, არ მომწონს ეგ აზრი,
მტერი ჩვენ მუდამ გვეხვია,
ციხეც გვჭირდება უდავოდ,
ეს მიწა - განა სხვისია,
მაგრამ ჩვენ კაცი მოგვიკლეს
და სისხლი არ აგვიღია!
თუ დავივიწყებთ მკვლელობას,
რაღაა ჩვენი ფასია,
ღამე ძილ როგორ გვეძინას,

როგორღა გვერქვას კაცია.
არ გეთანხმებით, ხევსურნო,
არ მინდა ეგ სარგებელი,
მთებიც კი მის სისხლს ითხოვენ,
მე ეგ მაქვს სადარდებელი...“

,,მესმის ვეფხვიას გულისთქმა,“ -
სიტყვას წარმოთქვამს იმედა,
,,ტკივილი შესჭამს კაცის გულს,
სინდისს აწვება მძიმედა,
თუ ვალი აქვს მოუხდელი
ადათისა და სისხლისა,
დე, თემმა გვითხრას ერთობით
პასუხი ყველა კითხვისა.
თქვას, რას აირჩევს სოფელი,
ჩვენს სამომავლო მეგზურად,
რომ თავი ვიგრძნოთ კაცებმა
ვაჟკაცადა და ხევსურად.
თქვით და იქნება კანონი
(ამ მთებისათვის მზის სხივი),
ტკივილს კი გული დაითმენს,
არ ჭამოს ოღონდ სირცხვილი.“

სუმბატა შორით ყურს უგდებს,
ამ პაექრობას სიტყვიერს,
უსაზღვროდ დამწუხრებული
ამბობს: ,,მოძმენო, ვიტყვი ერთს:
ჩვენ კარგად ვუგებთ ორივეს,
ვეფხვიასა და ბეჟიას,
ხევსურის სისხლი არასდროს
არავის არ შერჩენია,
მაგრამ იმაზეც დავფიქრდეთ,
მთაში ცხოვრება ძნელია,

აქ თავის გადასარჩენად,
ტანჯვა და შრომა ბევრია.
არ ვართ ბავშვები, კაცური
გვჭირდება გონიერება,
როგორც ჩვენს თავზე ჭაღარას
და ასაკს შეეფერება.
ლაჩრები არ ვართ, იციან,
კარგად გვიცნობენ ქისტები
და თუ მათ ჩვენ სისხლს შევარჩენთ,
ჩანს, გვაქვს ამისთვის მიზეზი.
მაგრამ ეს ქისტი ტყვეობით,
დასუსტდა, გამოიფიტა,
უმწეო მონას ჩამოჰგავს
და ძლიერ დრტვინავს იმითა.
მან სისხლიც ბევრი დაკარგა,
დაჭრილმა ჩვენი ხელითა,
ქისტი მთიელის ღირსება
შევლახეთ ბევრი რამითა.
შურისძიება - ეს არის,
უფრო მწარე და ნამდვილი,
კაცი თუ სულით გატყდება,
ხორცის მოკვლაა ადვილი.
არაფერს ჩვენ არ წავაგებთ
ამ გონივრული დათმობით,
გამოვიყენოთ ჩვენი ტყვე
ბოლომდე - როგორც გამოგვდის!
მე გთხოვთ, მერწმუნეთ, ხევსურნო,
ავ საქმეს ხელს ნუ მოვკიდებთ,
ყველა ქისტს სიკვდილი უჯობს,
სხეულზე მონის ბორკილებს.
მე იმათ ვერ ვეთანხმები,
ვინც მარტო მოკვლა იციან,

ვინც ფიქრობს, შურისძიება
მარტო სისხლის წილ სისხლია!!“-
სუმბატამ დაასრულა და
სიტყვა გულობარს უბოძა:
,,მე ვფიქრობ ჩვენი ვალია -
რომ აქ მოვუხმოთ ნუგოს ძმას...
- ნოდარი, შვილო, გთხოვ, წადი
და მოიყვანე გოგია,
ის შენი თანატოლია
და შენი მეგობარია!
თანაც გაიგე, ბეჩავი
ასმათი როგორ არია,
კიდევ ტირის თუ ცოტათი
გულს გადიყარა ჯავრია.“
სუმბატამ უთხრა გულობარს:
,,მე სხვა აზრი მაქვს ამაზე,
იქ ბავშვებს ნუ გავაგზავნით,
სხვა რჩევას შემოგთავაზებთ.
ნოდართან ერთად ხომ არ სჯობს,
სოფელში სულთი გავგზავნოთ,
ნუგოს ძმა - ჯერ ყმაწვილია
და სჯობს, ეს საქმე სხვას ვანდოთ!
ასმათსაც შევატყობინოთ,
წინასწარ ჩვენი გეგმები,
რომ არ სტანჯავდეს იმის გულს,
ქმრის სისხლი - აუღებელი“.

VII

ასმათი უხმოდ ისმენდა
თემისგან დანაბარებსა,
მკაცრია წუთისოფელი,
გულს დიდხანს არ ახარებსა.

სულთის ქალ ებრალებოდა,
ნუგეშით, თბილად ეტყოდა:
,,გამაგრდი, ჩემო ასმათო,
სხვაც ბევრ დაქვრივდა შენდროთა!
მარტო შენ არ ხარ მწუხარე,
მთელი სოფელი გლოვობსა,
ჩვენ რაც ვიფიქრეთ, გიამბე,
შენც რამე გვითხარ ბოლოსა.“
უეცრად წასკდა ასმათის
ცხარე ცრემლები თვალიდან,
ვით ელვა გაზაფხულობით,
ხმა გაკრთა და შორს გავიდა:
,,ვხედავ, რომ უკვე ჩვენს ნაცვლად
დაგიდგენიათ, რაც გინდათ,
აქ კი ტყუილად მოხვედით,
არაფერს განსჯით ახლიდან.
ამით გინდათ, რომ გაექცეთ
ჩვენგან წყევას და რისხვასა,
მე კი იგივეს ვიტყოდი,
რაც წინავ ბევრჯერ მითქვამსა,
ჩემ ქმრის სიკვდილი ურჯულოს
არ შევარჩინოთ, ის მინდა,
მოკლა და მოკვდეს მთის წესით,
ეგ არის ფასი სისხლისა.
მწუხარეს ვხედავ სიზმარში,
ნუგზარის აჩრდილს - გოლიათს,
გამეღვიძება, სხეული,
ცეცხლისგან მეწვის მგონია.
ქალი ვარ, მაგრამ ჩემს კერას,
ვერ დავუტოვებ საწუხარს,
რომ გაიზრდება, მამაზე
მუცლადმყოფ ჩემ შვილს რა ვუთხრა?!.

მეც ხევსური ვარ -თქვენ იცით,
ქვრივი ვაჟკაცი ხევსურის,
ნუ იტყვით, უჭკოდ იქცევა,
იმას ბჭობს, რაც არ ეკუთვნის.
შურს მე თვითონაც ვიძიებ,
ცალად სამზეოს დამრჩალი,
იმავე ფოლადისაა,
იცოდეთ ჩემი ხანჯალიც!
ნუგზარის დარჩა ერთი ძმა,
გთხოვთ ყველა ვიყოთ ფრთხილია,
ვერავის ვერ ვაპატიებ,
რომ წამოსტკივდეს ფრჩხილია“...
,,გვესმის ეგ შენი წუხილი,
ჩვენც გვკლავს იგივე დარდია,
არ ხარ მართალი, ასმათო,
ჩვენდ ნდობა დაგიკარგია.
სისხლის აღება არ გვიჭირს,
არც არავინ გვყავ ბადალი,
წამში მოჰკლავენ ტყვე ვაჟკაცს,
ამისთვის ყველა მზად არი.
მაგრამ თემს სხვა აქვს დღეს აზრი
და ჯიუტობა არ ღირსა,
აქაც იმიტომ მოვედით,
რომ ვცემთ შენ მანდილს პატივსა“.
სულთის მიაჩნდა ასმათი
თავის მოკეთედ, ახლობლად,
ცდილობდა მისგან მიეღო,
შერიგებაზე თანხმობა.
,,დაე, აგვიგოს მან ციხე,
დღეს ჩვენთვის ასე ჯობია
და მერე, როცა ვისურვებთ,
ტყვეს დავახალოთ თოფია“.

ასმათი წამით ჩაფიქრდა,
არცერთი სიტყვა აღარ თქვა,
დგას სახეგარინდებული,
აღარც ცოცხალს ჰგავს, აღარც მკვდარს.
მალევე გამოერკვია,
სულთის მიაპყრო თვალები
და უთხრა თავის სათქმელი,
სიმშვიდით, არაჩქარებით:
,,სოფელს უთხარი, რაც მითქვამს,
მართალი გულისნადები,
რაკი არ არის მეტი გზა,
მეც თქვენთან ერთად დავდგები.
თუმც კი ძლივს ვიჭერ სხეულში
წყურვილს, რომ შური ვიძიო,
მაგრამ თანხმობას გიცხადებთ,
რაც გადაწყვიტეთ, ის იყოს!“

VIII

,,მოძმენო, როგორც გადავწყვეტთ,
ეს საქმე ისე იქნება,
რაკი შევძელით თანხმობა
და ღმერთმაც ასე ინება.
ხომ არ თვლით დანაშაულად
იმას, რაცა გვაქვს მიზანი,
ყველამ თქვით თქვენი სათქმელი,
თემის ერთგული ვინც არი,“-
ასე მიმართა სოფლელებს,
სუმბატამ ისევ თავიდან,
უკმაყოფილო მოჩანდა
ვეფხვიას ნაუბარითა.
,,არასდროს, ჩემნო მოძმენო,
თემისგან მე არ გავდგები,

თქვენ ვერ გაიგეთ სწორადა
ეს ჩემი გულისნადები.
თუმც მკაცრი ვიყავ სიტყვაში,
ვგავდი თავკერძად მბჭობელსა,
მაინც მზადა ვარ დავუთმო,
მე ჩემს თემსა და სოფელსა.
არ ეკადრება არცერთ კაცს,
ღირსებით თუ არ იმარჯვებს,
სამარცხვინოა ურჩობა,
თემის და გვარის წინაშე!“-
ვეფხვიას ნათქვამს სუყველა
კვერს უკრავს მოწონებითა,
რაკი მთავარზე შევთანხმდით
და ერთ მიზანზე ვდგებითა,
მაშინ წავიდეთ ქისტ ტყვესთან,
რაც ვთქვით - იმანაც იცოდეს,
თუ აგვიშენებს ის ციხეს,
ფასად ვაჩუქოთ სიცოცხლე!“

ამ დროს კი ბიხო ნატანჯი
წევს ბნელ სადგომში მდუმარედ,
არც სიტყვას, აღარც სამდურავს,
ის სოფელს აღარ უბარებს.
ტანზე აწამებს ჭრილობა,
სულითაც არის ავადა,
ბევრად ერჩივნა შეეძლოს
კლდიდან უფსკრულში ჩავარდნა,
მაგრამ უეცრად მოთენთილს
ხმები მოესმა გარედან,
მის სამყოფს ვიღაც ესტუმრა,
ჩრდილი დალანდეს თვალებმა.
ჩამწკრივდნენ მის წინ ხევსურნი,
თემის ხნიერი თავკაცნი,

ბალთაზე ხანჯლებს აელვებს
იმათი მზერა მამაცი.
ბიხომ იფიქრა, აქ მორჩა,
მისი ცხოვრება ბინდივით,
აჰა, დასრულდა ლოდინი,
წამი მოვიდა სიკვდილის.
ფიქრობს, არ გატყდეს ვაჟკაცი,
გულში იმალავს სურვილსა:
მტერს შეანერწყვოს სახეში
ნიშნად უტეხი სულისა,
მაგრამ რაც მთიელს სისხლში აქვს,
ძნელია იმის ამოშლა,
უხუცესების წინაშე,
ბიხო ცალ მუხლზე ჩამოჯდა.
სიჩუმე სთხოვა მეგობრებს
სუმბატამ ხელის აწევით,
პატივისცემით, სიმკაცრით
უმზერენ ბიხოს კაცები.
,,ქისტო, რას სჩადი, როგორ ხარ?!“-
ღილღველს მიმართავს სუმბატა,
სიტყვა გვითხარი თამამად,
ნუ შემოგვხედავ ცუდადა.
ვიცი, ძნელია ლოდინი,
ასეთ დროს განაჩენისა,
როცა არსაით სიცოცხლის
სხივი აღარა რჩებისა.
არხოტში შენმა ტყვეობამ
და ტანჯვამ დიდხანს გასტანა,
დაცინვის, შეურაცხყოფის,
ვიცით, არ გინდა ატანა.“
ტყვე ქისტის გამჭოლ მზერაში,
მხოლოდ ზიზღი სჩანს პასუხად,

,,თუ იცით, რასაც განვიცდი
და ხვდებით ამ ჩემს საწუხარს,
რაღას აყოვნებთ, მომკალით,
გეყოფათ ჩემი გამოცდა,
ეშთარის სამფლობელოში,
წავალ თუ სული ამომხდა!“
გულჩათხრობილი მოსისხლე,
სწყევლის საკუთარ მწარე ხვედრს,
ჩანს, აღარ ელის სიცოცხლეს,
მტრებმა ის სულით გატეხეს.
,,მოკვლა არც ისე ძნელია,
ეს მუდამ ძალუძს კაცის ხელს,
ყველაფერს სწორი დრო უნდა,
თორემ ეს ღმერთს განარისხებს.
უფლის ნებაა ყოველი,
წასვლა და მოსვლა ამქვეყნად,
მაგრამ შენ არჩევანი გაქვს
და თან იღბალი დაგყვება.
დაფიქრდი და გადაწყვიტე,
მოკვდები თუ გადარჩები,
თემმა განსაჯა ამგვარად,
დროს გაძლევთ ამის არჩევის,“-
ესა თქვა მამა ონოფრემ,
წრფელი სიტყვები არჩია
და ტყვეს უამბო, სოფელმა
თუ რა თქვა, რა განაჩინა.
ქისტს ჩაეცინა პასუხად,
არ დაიჯერა ნათქვამი,
ენა მოისვა ტუჩებზე,
წყურვილით იყო მაშვრალი.
ტყვეს გაუმხილა სუმბატამ,
თემის სამართლის საწყაო:

,,თუ აგვიშენებ კარგ ციხეს,
სიცოცხლეს გჩუქნით საზღაოდ!
ამ საქმის მაცოდარი ხარ,
უკეთეს ოსტატს სად ვნახავთ,
ქისტის ნაგები ციხენი,
მტერმა ვერასდროს დალახა.
არხოტივნებსაც გვჭირდება,
ქავ-ციხე მკვიდრად ნაშენი,
გაჭირდას, გამასადეგი,
განთ მარტო თვალის სამშვენი.
ჰოდა, გთავაზობთ პირობას,
აგვიშენე და გპატიობთ,
შენზე შურს აღარ ვიძიებთ,
ცოცხალს გაგიშვებთ სახლშიო.“
ბიხო გაოცდა ძალიან,
იცის მთიელთა წესია,
სად გაგონილა, რომ მკვლელზე,
ხევსურს შური არ ეძია.
არ დაიჯერა სუმბატას
წრფელად ნათქვამი სიტყვები,
უთხრა: ,,მოხუცო, ჩემს ეჭვებს
არ ვმალავ, გამოგიტყდები.
ისე არ კვდება ხევსური,
მტერ წინ არ გაიძღოლოსა,
ვიცი, ციხეს რომ ავაგებ,
მაინც მომიღებთ ბოლოსა.
ბრიყვი ხომ არ ვარ, ტყუილად
რად მღლით და თავსაც იღლითა,
მომკალით, ნუღარ აყოვნებთ,
გაძეღით ჩემი სისხლითა!..
არ მჯერა თქვენი პირობის,
რომ შერიგებას მიცხადებთ,“-

ნათქვამს დაცინვად მიიჩნევს,
ბიხო ბობოქრობს მრისხანედ.
,,მისმინე, კვლავ ვიმეორებ,
შენაც კაცი ხარ მთიელი,
მტკიცეა ჩვენი პირობა,
სიტყვა -სანდო და ძლიერი!
მტრები ვართ, მაგრამ ორთავ გვაქვ,
დაუწერელი რჯულია,
მთის წესს არ გასტეხს ვაჟკაცი,
პირში თუ უდგას სულია.
ჩვენ ძლიერნი ვართ ამ წესით,
სხვასაც ვაფასებთ ღირსებით
და ისიც ვიცით, ოდითგან
ღირსებით ცხოვრობთ ქისტები.
მადლობას ვწირავთ განგებას,
აქ გავჩნდით - დარდს ვიჭივრებდით,
სიტყვას არ გავტეხთ არასდროს
ამაყი ხევსურთ შვილები!
გვერწმუნე, ბიხო, ჩვენს სიტყვას,
ახლავს სიმტკიცე სალი კლდის,
ბალღები არ ვართ, ვიცხოვრეთ,
თემის ღალატი არ ვიცით.
დღეს ამიტომაც შევძელით
სიკვდილთან ზავის დადება,
ის გადავწყვიტეთ, რაც თემის
და სოფლის საქმეს არგებდა.
ახლა კი შენი ჯერია,
მომხდარი აწონ-დაწონე,
დროს გაძლევთ მოსაფიქრებლად,
პასუხი ხვალე გვაცნობე!“
,,ეგება მართლაც დავთანხმდე,
ეგებ ალაჰი მშველისა,

ვინ იცის იქნებ შემთხვევამ,
დამიხსნას განსაცდელისგან,“
ბიხო მთელ ღამეს ფიქრობდა,
იტანჯებოდა ძალზედა
და მხოლოდ გამთენიისას,
მოადგა რული თვალზედა.

IX

ზაფხულის დღეა თაკარა,
ზარის ხმა უხმობს სოფელსა,
აულის უკან ხალხი დგას,
მღვდელი აღავლენს ლოცვებსა.
ზოგი კურთხევას გამოსთხოვს,
რწმენით ისახავსა პირჯვარსა,
ზოგს ხელთ ლოცვანი უპყრია,
მუხლმოყრით მარტოდ მიმჯდარსა.
ღმერთს ღმრთისა ვინაც მიაგო
და დაასრულა ვინც ლოცვა,
სურს დაემალოს მწველ სიცხეს,
აულში ეძებს გრილოსა.
გიგოლეს კარ-მიდამოში
ხალხი წარსულ დროს იგონებს,
კმაყოფილება ატყვიათ
სახეზე არხოტიონებს.
აქ არის ვეფხოც, ბეჟიაც,
ნელ-ნელა ყველა მოქუჩდა,
სუმბატა უზის სათავეს,
ქვებზე ჩამომსხდარ მოხუცთა.
ლოცვას ამთავრებს მოძღვარი
და ისიც ხალხთან გამოდის,
იციან - რაც ღმერთს სწადია,
კვლავ ის იქნება კანონი.

ახარებთ ბიხოს პასუხი,
მოსწონთ, რომ არ თქვა უარი,
ზოგი სწუხს მის ჭრილობებზე:
,,ნეტავ, ჯანმრთელად თუ არი?“
ღვთისმსახურება დასრულდა,
ხალხთან გავიდა მოძღვარი,
კაფიაობენ, ხუმრობენ,
ბაგეზე ღიმილმომდგარი.
ერთი აქვთ მათ საზრუნავი,
ახლა ის არის მთავარი,
გადაწყდეს ბიხოს ამბავი,
სისხლი არ უნდა არავის.
სუყველა შეთანხმებულა,
ციხის აგება სწადიათ,
ოსტატის თანხმობა უნდათ,
ეს არის ფიქრი მათია.
სოფელს მიმართავს სუმბატა,
ბრძენკაცი -თემში ნარჩევი,
,,კარგია, რომ გვაქვს ერთობა,
ხელს მოგვიმართავს გამჩენი.
გამეორებაც აღარ ღირს,
რაც გადავწყვიტეთ, სწორია,
იქნებ კი ვინმეს გულში გაქვთ,
სხვა ეჭვი, სხვა საგონია,

მაგრამ მთავარი ის არის,
საზრუნავი გვაქვს უფრო სხვა,
რომ შევასრულოთ პირობა,
რაც თემმა ბიხოს უბოძა.
ჩვენ მას შევპირდით სიცოცხლეს,
ციხის აგების სანაცვლოდ,
რომ დავაბრუნებთ ქისტეთში
და აღარ ვუმტრობთ არასდროს.

,,არც ის მგონია პრობლემა,
ვიცი კი, არ გამიგონებთ“,-
თითქოს გრძნობს, ამბობს ურიგოს,
ეჭვით თავს აქნევს გიგოლე,
როდესაც ციხეს ააგებს,
აიმავ ციხის ზღურბლშია,
ჩავუსხათ მზირად ვაჟები
და ტყვია დავხკრათ შუბლშია!“

არ მოეწონა სუმბატას
გიგოლეს სიტყვისთავია,
გაკიცხა:,,მაგას რომ ამბობ,
მაშ, სირცხვილ აღარ არია?!
თუ გაქრა უხუცესების
სიმართლე თემის კართანა,
თუკი დაჰკარგავს ხევსური
ნდობას და კაცის გატანას,
მაშინ ჩვენც დავემსგავსებით
ღირსების ფეხქვეშ მთელავებს,
აუგის მოქმედ არაკაცთ
ვეღარ დავუშლით ვერაფერს.
ნათქვამი არის - მხეცსაც კი
ტყავს მარტო ერთხელ აძრობენ,
შენ მოგვიწოდებ, ის დავთმოთ,
რითაც ხევსურნი კაცობენ!
რად არა ჰფიქრობ სახელზე,
გონი რად არ გაქვს მაგთვენი,
ფიქრშიც კი არ გაივლებდა,
ეგრე მოქცევას ქართველი.
ხომ ნახეთ, ბიხოც არ გვენდო,
სიკვდილს ითხოვდა სასწრაფოდ,

აქამდე ტყვე შენ გებარა,
ახლა კი ვფიქრობ, სხვას ვანდო!
მცდარია შენი სიტყვები,
(რწმენის დაკარგვად არ ღირდა),
ქისტი სულთისთან გადავა
და ის მიხედავს ამ დღიდან!
გამოსავალი ეს არის,
(აზრი თუ არ გაიყოფა),
ხევსურთა ციხის აგება-
მშვიდად რომ შესძლოს ბიხომა.
ბოლოს კი, გეტყვით, მოძმენო,
რაცა მაქვს გულისნადები,
ყველა წავაგებთ ამ საქმით,
თუ ერთ აზრზე არ დავდგებით.
ვინც ჩვენს პირობას დაარღვევს,
იმისი ხვედრიც ითქვასა,
მოიკვეთება სოფლიდან,
მიიღებს წყევლა- რისხვასა!!
აბა, რას იტყვით, ხევსურნო,
თანახმა თუ ხართ, მობრძანდით,
ჯვარს მივემთხვიოთ დასტურად,
კურთხევას მოგვცემს მოძღვრი!“
ითქვა და ასეც გადაწყდა,
მერე გაგრძელდა ლხინია,
დიდხანს ისმოდა სოფლიდან
ხევსურთა შეძახილია.

ნაწილი მესამე

I

მთის ძირას, გაშლილ მინდორზე,
შეყრილა მთელი არხოტი,
ცეკვა-თამაშის ხმებითა
სავსეა მწვანე წალკოტი.
დილიდან მხიარულობენ
და სვამენ ჟიპიტაურსა,
ფანდურის სიმთა წკრიალი,
ერთვის მდინარის ხმაურსა.
მთები ბანს აძლევს შორიდან
სიმღერებს დაღვრილს ჩქერადა,
ცეკვავენ ახალუხლები,
სხვანი ქცეულან ცქერადა.
ჩამოიქროლებს ჯიგიტი,
არწივს მხარგანატოლები,
გვერდით მოჰყვება სწორფერი,
შურით უმზერენ ტოლები.
ცეცხლს აფრქვევს ხევსურთ თვალებში
ცეკვა - მზის სხივის მთოველი,
მხიარულია ბუნება,
ტყის ფრინველი და ცხოველი.
მთებში მღელვარე მდინარე,
მოჰქუხს, ახელებს ხეობას,
სიმღერით ეხმიანება,
არხოტიონთა დღეობას.
დღესასწაულობს სოფელი,
სუყველა - ბერი, ახალი,
ჭირშიაც, სიხარულშიაც,
ერთმანეთთან აქვთ მათ მხარი .
სოფლისთავ, შემაღლებულზე,

ამოირჩიეს ადგილი,
იქ უნდათ ციხის აგება,
ეს არის მათი წადილი.
ლხინიც იმიტომ გამართეს,
ემზადებიან ამითა,
მძიმე, დამქანცველ შრომაში,
ჩაბმა მოუწევთ ხვალიდან.
ციხის აგება იქნება
მათი მხარ-მკლავის დამღლელი,
ფიქრობენ, ისე ააგონ,
კვირობდას ყველა მნახველი.

II

აგება ციხე-კოშკისა
საქმე არ არის ადვილი,
რაც უნდა ღონე მოგდევდეს,
გქონდეს ნიჭი და წადილი.
ოსტატს იმას არ ეძახდნენ,
თუ ცოდნით დროს არ ასწრებდა,
რადგან ციხის ქვა-საძირკველს
უნდა დრო-ჟამის გაძლება.
ბიხოს არა აქვს ეს დარდი,
მან თავის საქმე იცისა,
ის ოსტატია განთქმული,
მკლავიც მოჰყვება, ნიჭიცა.
მას სხვა რამე აქვს წუხილად,
გულ შეუჭამეს ფიქრებმა,
ენდოს თუ არა ხევსურებს,
რაც უთხრეს, მართლა იქნება?!
უღირს თუ არა საერთოდ
მას ჭირად ციხის აგება?

მართლა სჩუქნიან სიცოცხლეს,
თუ კვლავ დასცინის განგება?!
იცის, ვერ შეცვლის ვერაფერს,
სხვა გზას ამაოდ მოელის,
რაც გადაწყვიტა სოფელმა,
უნდა შესრულდეს ყოველი.

III

უკვე აცივდა არხოტში,
შემოდგომაა კარზედა,
ციხის ოსტატი არ ჩქარობს,
ქვას არ ამატებს ქვაზედა.
ერთ დღეში გადაიქანცა,
სოფელი დაღლას ამჩნევსა,
საქმეზე მეტად ყოველდღე
ის ეძალება საჭმელსა.
თუმც კი არ იმჩნევს სისუსტეს,
ეტყობა, მაინც დარდობსა,
თავის სამშობლოს ნაღველი
გულზე აწვება მარტოსა.
მონობა უცხო მხარეში
სულს უღრღნის, სხეულს უფიტავს,
სწყევლის საკუთარ გაჩენას,
დღეებს აღამებს ურვითა.
დილით თენ-ბინდზე იღვიძებს,
გამოვა, გასცქერს მწვერვალებს,
სხივებჩამდგარი თვალები
ღილღოს ჭიუხებს ზვერავენ.
ბუნების წიაღს ესწრაფვის,
სულის საოხად ეული,
მოემატება ძალ-ღონე
და უმშვიდდება სხეული.

მდინარის ტალღებს გახედავს,
ჩაკარგულს მთების უბეში,
ქისტეთისაკენ ეწევა,
მას ფიქრი - როგორც ნუგეში.
ტანჯვა გონებას უბინდავს,
გულს უღრღნის - სევდით დაძალულს,
მამ-პაპის მხარე აქვეა,
მას კი შინ წასვლა არ ძალუძს.
მაღლობზე ჯდება და დიდხანს
ცას უმზერს, დარდი დანისლავს,
მერე კი გაუაზრებლად,
ემდურის, ლანძღავს თავის თავს.
ნაცნობ სიმღერას ქისტეთზე,
ხმადაბლა წაიღიღინებს,
მაგრამ ეს შვებას არ აძლევს,
გულზე აწვება სიმძიმე.
,,თქვენ საით მიჰქრით, ჩიტებო,
საითკენ მიგეჩქარებათ?!
იქით, იმ მთების გადაღმა,
ჩემი სამშობლო იწყება...
ჰეი, შენ, ჯიხვო, რქიანო,
ქარაფს რომ მისდევ მკვირცხლადო,
თავისუფლება გალაღებს
და თავმომწონე მით ხარო?!
მზეო, გარს უვლი ამ მიწას,
შენი სათქმელიც მითხარო,
წყვდიადს მოუცავს ეს გული,
ვერსადა ვხედავ სიხარულს.
ლაღო არწივო, ცის თაღზე,
ნავარდობ - სულის მკვლელია,
ჩემს ტყვე გულს შენი ფრთებისა
ყურება გასჭირვებია.

ასავ, მქუხარე ტალღებით
შენაც დასცინი ჩემ ბედსა,
უდარდელად რომ თამაშობ
უსულო რიყის ქვებზედა.
ქვები ღილღოშიც შეგხვდება,
ჩემს თვალებს დანატრულები,
უამბე ბიხოს შესახებ,
რომ ვერ მოჰბანე წყლულები.
არწივო, შენაც სამდურავს
გეტყვი, არ დაგერიდები,
ქისტეთის მთებს რომ გადუფრენ,
არ გახსოვს ჩემი სიტყვები?
არ გახსოვს, რომ მენატრება,
მე მათ კალთებზე ნავარდი?
თუ როგორ მტკივა სამშობლო,
რა მძიმე ხვედრში ჩავვარდი.“
შფოთავს , ბობოქრობს ოსტატი,
ვეღარ ერევა ეჭვებსა,
ვინ იცის, ალბათ მოჰკლავენ,
ციხეს რომ ააშენებსა.
უნდობელ ფიქრთა ჭია ხრავს,
გაიმეტებენ თუ როსა,
ცდილობს, რომ საქმე გაწელოს,
დროზე არ დაასრულოსა.
ხან დარს იგონებს მიზეზად,
ხან დარდს და მოუწყენია,
ცდილობს, რომ გაიხანგრძლივოს,
ამით სიცოცხლის დღენია!
ბიხო ტალანტით სავსეა,
იცის - შენებას რაც უნდა,
მაგრამ მოვიდა ზამთარი,
ციხე კი აღარ დასრულდა...

ნაწილი მეოთხე

I

ერთხელ საღამოს შორიდან
სუმბატას სტუმარ ეწვია,
მან სიხარულით მიიღო,
როგორც მთიელთა წესია.
დაღლილი ჩანდა სტუმარი,
ჩანს, გამოევლო შორი გზა,
სუმბატას იცნობს ყრმობიდან,
ძველ მეგობართან მოვიდა.
ერთურთის მოსაკითხავად
არ უნდათ დიდხნის დუმილი,
ეს ის დიშნელი ქისტია,
სახელგანთქმული უმინი.
თან ახლავს ორი მეგზური,
სამნი არიან მოსული,
გულღიად და ხელგაშლილად,
ქისტებს მასპინძლობს ხევსური.
ხარობს სუმბატა და სტუმრებს,
როგორც საკუთარ ძმას ხედავს,
მრავალჯერ ახსოვს ქისტეთში,
მას ღირსეული დახვედრა.
მთიელებს მოსდგამთ სიქველე,
ეს მათი მტკიცე ფიცია,
ხან მტრობენ, ზოგჯერ შუღლი აქვთ
და მეგობრობაც იციან.
სუფრა გაშალეს, ივახშმეს,
იამბეს მთისა, ბარისა,
მერე ეზოში გავიდნენ,
ჩამოსხდნენ შუქზე მთვარისა.

სუმბატამ უმინს უამბო,
ტყვე ბიხოს გასაჭირია,
ციხეს თუ არ დაასრულებს,
შეხვდება დიდი ჭირია.
სამი წელია დაიწყო,
შენება მან ამ ციხისა,
დღემდე არა ჩანს შედეგი,
სოფელს შვება არ ეღირსა.
ეს საქმე თუ არ დასრულდა,
ხალხი სავსეა რისხვითა,
ციხეს ერთ წელში აგებენ
ქისტები - ყველამ ვიცითა.“
ამ ნაამბობმა უმინი,
შეაშფოთა და იმ წუთას,
მასპინძელს სთხოვა გაყოლა
და ბიხოს ნახვა ისურვა.
პატივისცემა სტუმრისა
მთაში არავის უკვირსა,
ბიხოს სამყოფში სუმბატა
თვითონ შეუძღვა უმინსა.

II

ვაინახებმა ერთმანეთს
სალამი უძღვნეს მთის წესზე,
ჩამოსხდნენ სამასლაათოდ,
ჰკითხვენ სტუმრობის მიზეზებს.
შუაღამემდე გასტანა
ქისტურად მათმა ბაასმა,
ბიხომ უამბო, ტყვეობამ
მის სულს რა დაღი დაასვა.
უამბო ნათესავებზე
და ცხვრის ფარაზეც დასძინა,

სწყევლიდა იმ დღის დადგომას,
ბედმა რომ ასე გასწირა.
,,ფეხს ვითრევ, საქმეს ვაჯანჯლებ,
ხან რა მიზეზით, ხან რითა
და ვცდილობ, იქნებ როგორმე,
მეტ ხანს ვიცოცხლო ამითა...“
,,ბიხო, ერთნი ვართ ჩვენ სისხლით,
შენი ტყვეობა მაწუხებს,
მერწმუნე, მტკივა ეს გული,
მძევლად რომ ჰყევხარ ხევსურებს.
ღილღველებს დიშნელებისა
იმედი არ უცრუვდებათ,
თმის ღერიც რომ ჩამოგვარდეს,
ვერავის მივცემ უფლებას.
სამი წელია, რაც ტყვედ ხარ,
სხეულით ჩანხარ თუმც მხნედა,
სულიერ ტანჯვამ რაც გიყო,
დაუკვირვებლად მეც ვხედავ.
ეტყობა შენიანებსაც
ცოცხალი აღარ ეგულვი,
ფიქრობენ , მოგკლეს ხევსურთა
ვაჟკაცი ღილღოს ქებული.
მე გირჩევ, რომ დაასრულო,
ახიელ ციხის შენება,
სხვაგვარად ამ შენს სატანჯველს,
ლოდინით არ ეშველება.
შენებას რომ დაასრულებ,
გაქრება შენი ხუნდები,
მიიღებ თავისუფლებას,
სამშობლოს დაუბრუნდები!
შენს სიცოცხლეზე სუმბატამ,
რაც მითხრა, მენდე, სწორია,

ეგ არის სიტყვა კაცური,
ეჭვი არასდროს მქონია!
მისი სიტყვები ყოველთვის
მტკიცეა, როგორც ფოლადი,
ბრიყვულად თუ დაიღუპე,
ინანებ, რადგან სცოდავდი.

,,იცი, რას გეტყვი, დიშნელო,
ღილღველს მონობა არ შვენის,
მადლობა თანაგრძნობისთვის,
მადლიერი ვარ მე შენი.
ციურ ძალების ხომ გჯერა,
ჩემიც ირწმუნე, ამას გთხოვ,
აქ ნადირივით ყოფნასა
მიჯობს სიკვდილი ხვალ ვნახო.
მონად ყოფნაზე უარესს
ვერაფერს იგრძნობს ღილღველი,
მთელი სამყარო შემზიზღდა,
უკვე იქამდე მივედი.
შენს ნათქვამს როგორ არ ვენდო,
ვაინახი ხარ, ძმა ჩემი,
ხვალ შენ ქისტეთში წახვალ და
მე ისევ მონად აქ ვრჩები.
აქ უნდა დავრჩე მარტოსულ,
ტკივილებს ნაზიარები,
მონა - ბატონი არ არის,
ტყვეობით განაწამები.
შენი ცხოვრება სულ სხვაა,
ღირსეული და ამაყი,
დიდი ოჯახი მიგელის,
ნათესავები - მრავალი.
მე კი ვინ დამრჩა ამქვეყნად,
ვაჟი მყავს ერთი -ობოლი,

მას დედის სითბოც არ ახსოვს,
ტანჯვის ქარცეცხლში მოყოლილს.
ჯერ ჩვილი იყო ჩემი ძე,
ცოლი რომ გარდამეცვალა,
სიკვდილმა ჩვენი ცხოვრება,
ღრმა მწუხარებით შეცვალა.
ეშთარმა უხმო იმის სულს,
ჩაგვიქრო ყოფნის წადილი“,-
ბიხოს ნათქვამი სიტყვები
მთებს მოეფინა ქარივით.

,,მე მესმის შენი წუხილი,
არ გაქვს ცხოვრება სალაღო,
ამიტომ უნდა გადარჩე,
თავისუფლება კვლავ ნახო...
დღეიდან შენს ძმად მიგულე,
მე ვარ თავდები იმისა,
რომ გაგიშვებენ აქედან,
ვირწმუნე მათი ფიცისა!
შენი პირობაც მომეცი,
სიტყვა მთიელი კაცისა,
რომ დაასრულებ შენს საქმეს,
არ გამიმტყუვნებ ქადილსა.“
თქვეს და ერთმანეთს კაცურად,
მათ ჩამოართვეს ხელია,
ბიხოს თვალებში მზე ჩადგა,
აღარ სჩანს სევდა ძველია.
ამბობს: ,,მივიღებ შენს სიტყვას
და მეც გპირდები ძმობასა,
შევცვლი დღეიდან ცხოვრებას,
თავს არ დავუწყებ გმობასა.
სამშობლოს დარდი მაწუხებს,
ვერაფერს ვშველი ამ ფიქრსა,

მადლობას ვეტყვი განგებას,
თუ შინ წამოსვლა მაღირსა!
გავაორმაგებ ჩემს შრომას,
ციხეს ავაგებ ისეთსა,
კვირობდეს მთელი არხოტი,
მის კედელს და საძირკველსა!
სუმბატას მოეწონება,
სიმტკიცე ჩემი ხელობის,
ციხე დაიცავს ხეობას,
მტერი ვერა სძლევს ვეროდის.
მე უბადრუკი ვეჭვობდი
(მრცხვენია ამის გამხელა),
არ ვენდობოდი ხევსურებს,
სიტყვა გავტეხე თავხედმა.
ვფიქრობდი, არ დამინდობდნენ,
მაინც მომკლავდნენ, მეგონა,
დღეიდან აზრი შევცვალე,
რადგან მიგიღე მეგობრად,“-
ეს უთხრა ბიხომ მეგობარს,
სიხარულით და იმედით,
ხმაში გამოკრთა ხალისი,
რწმენის აჟღერდა სიმები.
ბედნიერია უმინიც,
ხარობს მეგობრის მხნეობით:
,,უნდობლობაა მიზეზი,
ამდენ ხანს შენი ტყვეობის,
კარგია, რომ დამიχერე,
მათ შენი მოკვლა არ სურდათ,
კიდევ მაქვს ერთი სათქმელი,
გთხოვ მომისმინო კაცურად.
შენ ხომ დიდი ხნის ქვრივი ხარ,
იტანχავ სულს და სხეულსა,

ურიგო არ იქნებოდა,
ცოლიც შეგერთო წლეულსა!
რა უჭირს, სუმბატას ვეტყვი,
ქვრივ ქალს მოძებნის თემშია,
შენაც და შენს ობოლ შვილსაც,
პატრონი გინდათ გვერდშია.
გაგილამაზებს ცხოვრებას,
ქალი -ღირსებით შემკული,
თავისუფლების მერე კი
გახდება შენი მეგზური!“
ბიხოს ეგონა მოესმა,
რომ დაარღვია დუმილი,
მერე კი მიხვდა ნათქვამით,
მას სულში ჩასწვდა უმინი.
,,გულწრფელად გეტყვი, რადგანაც
ძმა ხარ დღეიდან შენ ჩემი,
წამება არის ეს ჩემთვის,
მხეცივით ვცხოვრობ ხანდახან.
მეტად ძნელია კაცისთვის,
ამ ყველაფერის ატანა,
წილად მხვდა ბედი დუხჭირი,
სულ ომი თავის თავთანა.
χანმრთელი კაცი უქალოდ
რომ ვერ იქნება , ცხადია,
შენ მე კვლავ სული შთამბერე
და მადლობის თქმა მწადია!“
იმედის სხივი გაუჩნდა
ბიხოს - ნუგეშის უკმარსა,
ბავშვივით გახარებული
მხარზე ემთხია სტუმარსა.
ახლა კი კვლავ სუმბატასთან
დავბრუნდები და გავანდობ,

ყველა აქ ნათქვამ ჩვენს სიტყვას
და ის მიხედავს თავადო.
მხოლოდ ის მინდა ვიცოდე,
ხომ არვინ გაჩნავ კარგადა,
აქ ქისტ ქალს შენ ვერ მოიყვან,
ფუჭი იმედი არ ვარგა,
ამიტომ გირჩევ საცოლედ
ხევსური ქალის მოძებნას,
ერთად გადავჭრათ ეს საქმე,
სუმბატაც დამემოწმება.
ტყვეობაში ხარ, თუმცაღა,
მიენდე გულის მოძახილს,
ცოლი გჭირდება გვერდში და
გჭირდება შენი ოჯახი.“

უმინმა მშვიდად , მარტივად
მისცა რჩევები მეგობარს,
ბიხო ერწმუნა მის ნათქვამს,
კვლავ დაუბრუნდა მხნეობა.
,,როგორც არ უნდა მინდოდეს,
მე ქისტი ქალი ცოლადა,
ვიცი , აქ ის არ გამოვა,
რაც მიმაჩნია სწორადა.
გონების თვალით ვფიქრობ და
ხევსურ ქალებს ვთვლი ახლობლად,
მაგრამ მათ შორის შუქია,
მეთავისება რატომღაც.
მას ჩემთან მოაქვს საჭმელი,
ზოგჯერ მილაგებს ოთახსაც,
იოლად წარმოვიდგენდი,
ჩემს ცოლად იმის ყოფნასა.
ურთიერთობა კარგი გვაქვს,
არასდროს მეუხეშება,

თან მასში ქისტის სისხლია
და არაფერი ეშლება.
შუქია კარგად გამიგებს,
ღილღველი ჰყავდა მას დედა,
სხვა წინაპარიც ქისტი ჰყავს,
ეტყობა მამის გვარზედა.
ქისტაურია ის გვარად,
ძირად ღილღვური სისხლისა,
ღილღოდან გადმოხიზნულა
აქ წინაპარი იმისა.
დღემდე აქვთ შემონახული
მათ სიყვარული ჩვენია
და გულით დააქვთ შვილებსაც
წარსულის განაჩენია.
მამების სამშობლოსაკენ
მიუწევთ თვალი, გულია,
თაობებს მოაქვთ ამბავი
ანდრეზში შენახულია.
შუქიას მამა უთურგა
უკვე მოხუცი კაცია,
ხშირად შემოდის ჩემთანა,
ვამჩნევ ვაჟკაცურ ხასიათს.
სწუხს მთელი მათი ოჯახი
აქ ჩემი ტანჯვის შემყურე,
დღეს ხევსურეთში ვერ ვნახავ
ჩემდამი მათზე ერთგულებს.
ვატყობ, რომ გული მიუწევთ,
უწყინარ ღილღველებისკენ
და უხმობთ მიწა ქისტეთის,
ნახვას რომ ვეღარ ეღირსნენ.
სიზმრადღა დაელანდებათ,
მშვენიერება იმისი,

თანაც შუქია ქვრივია,
ქმარი დაკარგა დიდ ხნის წინ.
ვიცი, რომ გულის სიღრმეში,
მას ვებრალები ძალიან,
მგონია, უარს არ იტყვის,
ჩემს ცოლობაზე ქალია.
მან ვერ მოასწრო დატკბობა,
ცოლ-ქმრული სიყვარულითა,
სულ ახალგაზრდა დაქვრივდა
და სევდა დააქვს გულითა,

მონადირე და კაი ყმა,
განთქმული ჰყავდა მას ქმარი,
ყველას უკვირდა არხოტში
იმისი ნათქვამ-ნაქნარი,
მაგრამ დაიჭრა შუღლის დროს
და დაიღუპა უეცრად,
მას მერე მისი ოჯახი
ამ დიდ სატანჯველს უძლებსა.
ძმა ჰყავს შუქიას უჟმური,
არ ვიცი იმას რა ვუყო,
ისეთი ჭირვეულია,
ვეჭვობ, რომ მე მას გავუგო.
უცხო კაცი ვარ მე მისთვის,
მათ ოჯახში კი მონა ვარ,
მინდა, რომ სულთიმ ამაზე
იფიქროს, სანამ დრო გავა.
რომ დაიკარგოს არხოტში
ჩვენდამი ნდობა, არ მინდა,
ჭორი და ცილისწამება,
მსურს ავიცილო თავიდან.
არ გაჩნდეს ეჭვი რამეზე,

მთაში ვართ, განა ბარშია,
ბოროტი ენის ჩარევით,
არვინ გავხვიოთ შარშია.
,,მიგიხვდი, შენ რაც გაწუხებს“,
შეაწყვეტინა უმინმა,
,,მე არ დავუშვებ ეს საქმე,
ჩაშალოს ვინმე უბირმა,
ხევსურეთიდან არ წავალ,
ქალ არ მაგგვარა - ვინც გსურსა,
მერე ნადიმსაც გავმართავ,
ერთსაც ვიცეკვებ ქისტურსა!
მხოლოდ გთხოვ თემშიც, ოჯახშიც,
ყველასთან - ქალთან, კაცთანა,
ეგ ხასიათი ჯიუტი,
უნდა მოთოკო ასმაგად.
ახლა კი უნდა დაგტოვო,
გადავიღალე ძალიან,
 დავუბრუნდები მასპინძელს,
შინ მიცდის კარგა ხანია.
დანარჩენს თვითონ მივხედავ,
იმედი გქონდეს ჩემია,“-
თქვეს და გავიდნენ ბილიკზე,
პირზე ღიმილის მჩენნია.

III

დილაადრიან შეკაზმა
უმინმა თავის ფეხთეთრი,
მოუხმო ყველა მეგობარს
და გზას დაადგნენ ჭენებით.
საქმეებს მორჩა სუმბატა
და სადილს მართავს თავისთან,
მოწვეული ჰყავს სტუმრები
და ამაყია ამითა.

არხოტის უხუცესები,
კაცები - პატივდებული,
ბეჟია, მამა ონოფრე,
იმედა - ხალხში ქებული.
გულობარსა და გიგოლეს
(დამცველი რჯულის, ძირძველის),
ფიქრი აქვთ, რა ამბავს ეტყვის,
რად უხმობს მათ მასპინძელი.
როს შეიკრიბა სუყველა,
სოფლიდან მასთან მიმსვლელი,
სტუმრებს მიმართა სუმბატამ,
ამცნო შეკრების მიზეზი:
,,მოძმენო, ქისტმა ოსტატმა,
ბევრ ტანჯვა გამოიარა
და ცხოვრებაში ბოლომდე,
დაცალა სიმწრის ფიალა.
კაცის ამდენად გაწირვა,
არ მგონავ სწორი იყოსა,
მე ვფიქრობ, ცუდ არ იქნების,
დიაც მავღგვარათ ბიხოსა.
თანაგრძნობას გვთხოვს უფალი,
სამართალს თავის კარზედა,
კაცის ამდენად გატანჯვით,
წყევლას მოვიწევთ თავზედა.
სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი,
მჩვარივით ფეხქვეშ გავიგეთ,
გამოგიტყდებით ეს საქმე,
დიდიხანია მაფიქრებს.
ჩემს სათქმელს ვამბობ პირდაპირ,
თქვას თავის სიტყვა არხოტმა,
ეგ გადავწყვიტე, რაცა ვთქვი,
მჭირდება თქვენი თანხმობა.

თქვენგან არც იმას დავმალავ,
უმინი მყავდა მე სტუმრად,
იცით, რომ ის დიშნელია
და მეგობარი ხევსურთა.
დიდიხანია, რაც მე მას
ძმად გავეფიცე და დღემდე
ღირსებით მოგვაქვს ეს ძმობა,
არ შევრცხვენილვართ არცერთხელ.
და ჩემი თხოვნით ბიხოსთან
წუხელ მას ჰქონდა შეხვედრა,
დიდხანს იმსჯელეს, ეჭვების
გამოთქმა ვერც მან შეჰბედა.
თუმცა კი გვითვლის საყვედურს,
სწუხს მონურ მოპყრობის გამო,
საღვთო წესების დარღვევა
სიკეთეს არც ჩვენ გვიზამსო.
როგორც ვიქცევით, ეს წესი,
არც ღვთისაა და არც მთისა,
მონაა, მაგრამ წამების
უფლება არ გვაქვს არცვისა.
თემმა ხომ ეს განაჩინა,
ბიხო ააგებს ამ ციხეს,
ჰოდა, პირობის თანახმად
მას აღარ ჰქვია მოსისხლე.
თუ დავუბრუნებთ ღირსებას
და ცოლად ქალსაც გავატანთ,
საქმეს ხალისით მიჰყვება,
ციხეს ააგებს სწრაფადა.
მერე წავიდეს მშვიდობით,
ქისტეთში თუ მოინდომა,
აქ დარჩება თუ შინ წავა,
დე, გადაწყვიტოს თვითონა!

დღეს აქ იმიტომ შეგკრიბეთ,
გავიგო თქვენი აზრია,
თემი ძლიერი იქნება,
თუ ორპირობა დაძლია.“

პასუხად მოჰყვა ამ სიტყვებს
სიჩუმე - სამარისებრი,
ბუზის გაფრენას იგრძნობდით,
სიწყნარე იყო ისეთი.
წამოიქუფრნენ ხევსურნი,
ჯანღი დაედოთ სახესა,
ჯიქურ მზირალი თვალები
შეაშინებდა მნახველსა.
მათ შორისა დგას ცბიერი,
რისხვას ვერ ფარავს გიგოლე,
არ უნდა, რომ დაიჯეროს,
ყურებით რაც გაიგონა.
თითქოს შეირყა მთლიანად
და გული ბოღმით ევსება,
იმის სულმდაბალ ჩანაფიქრს,
ხედავს, რომ ხელი ეშლება.
გულობარს ფიქრი მოაწვა,
ხელი ასწია მაღლა და:
,,კი მაგრამ...როგორ...“ - ესღა თქვა
და მერე თავი დახარა.
ბეჟიამ ბრძენი თვალები
ირგვლივ მსხდომთ შემოატარა,
ჩვეული დინჯი სიფრთხილით
სიტყვა სუყველას აცადა:
,,ძმებო, იოლი არ არის,
ასეთი საქმის გადაჭრა,
ყველამ წააგო ვინაც კი,
ამგვარ საქმეში აჩქარდა.

ყველანი ვხედავთ, ჩვენი ტყვე
თავს გრძნობს გატანჯულ მონადა,
ის აღარ არის მოსისხლე
და ჩვენ ვაშავებთ ორმაგად.
სისხლს აღარ ვიღებთ ჩვენ მისგან,
მაგრამ არ ვფიქრობთ იმაზე,
რომ მისი ტანჯვა- წვალებით,
ცოდვა გვაქვს ღმერთის წინაშე.
ჩვენ მას წავართვით ცხოვრება,
კაცია - თითქოს არ ვიცით,
სჯობს პატივი ვცეთ, გავუგოთ
და დავუბრუნოთ ხალისი“.

,,ქისტს ცოლი როგორ მივღგვარათ,
ან ვის დავადოთ ხელია,
სათქმელად არი იოლი,
გასაკეთებლად - ძნელია!
ვინც სურვილს ყური არ უგდა,
სხვის ბედში ვინც ჩაერია,
ყველამ თავის თავ დასწყევლა,
არ მოემართა ხელია.
თუმცა, არა ვარ უარზე,
არც ამ ტყვეს არას ვერჩია,
ღმერთს შევთხოვ, მოგვცეს წყალობა,
რომ კაცს დავუდგეთ გვერდშია“.
,,ვინ რატომ უნდა დაგვწყევლოს,-
სუმბატა ითხოვს მოსმენას,
,,არც ეგრე ძნელი მგონია,
ეგ საქმე, ჩემო მოძმენო!“
აქა ვართ ყველა უფროსი
და ჩვენს ხელთაა უფლება,
გადავჭრათ ყველა კამათი,
რაც დიდხანს არა სრულდება.

ეს საქმეც ისე განვკარგოთ,
როგორც გვჩვევია აქამდი,
რომ ისარგებლოს სუყველამ,
წყენა არ დარჩეს არავის.
ქალის საკითხშიც მგონია,
არ გვაქვს საბჭობი ამდენი,
მე ვფიქრობ, შუქია არის
საცოლე ბიხოს საფერი.
ქისტის სისხლი აქვს ძარღვებში,
ქისტაურია გვარადა,
ღილღველი ქალის გაზრდილი
და ენაც იცის კარგადა.
მას დედამ კარგად გააცნო,
თავის ღილღვური ფესვები,
მზრუნველიც არის ბუნებით,
იცის მოქცევის წესები.
თვითონ ტყვე ბიხოც მათ ოჯახს
შეჩვეულია ბალღივით,
უკვე რამდენი წელია,
იქ ცხოვრობს თავის სახლივით.
შუქია უვლის, ვით ძიძა
და ყურადღებას არ აკლებს,
იცის სოფელმა, რომ ქალი
ცუდს არ იკადრებს არაფერს,
მაგრამ ხანდახან ბოროტი,
ხმები გამოდის აქიდან,
ამბობენ: ჩვენი მოსისხლე
ცოტა თავს ხომ არ გავიდა?
უღირს კაცს თვალი ისე აქვს,
მხოლოდ ცუდს ხედავს ყველგანა,
ის კი, ვინც ტყვეობაშია,
ამ წვრილმანს ამჩნევს ვეღარა!“

უცებ თორელი აენთო
და აელეწა მას სახე:
,,ბოროტი ენის ჩარევა,
ეგრე არ უნდა, მაცადეთ!
შუქიას ცილისწამება,
არის სიცრუე, სიბეცე,
ქისტაურები ამ ჭორებს,
არ მიაყურისძირებენ...
ვფიქრობ, ჯობია ამაზე,
ველაპარაკოთ სულთისაც,
ხალხი ჭრელია , ნამუსი,
როდის ჰქონია უღირს კაცს?
დავესაუბროთ შუქიას,
კაის მენდობე გულითა,
იქნება ბიხოს ცოლობას,
თანხმდება სიხარულითა?“
მას დაეთანხმა სუმბატა,
თვალით მოძებნა იქ ახლოს
და მზერა რწმენით, იმედით,
მამა ონოფრეს მიაპყრო:
,,მამაო, რად ხართ მდუმარედ,
რამე გვითხარით ბრძნულია,
რომ იყოს თქვენი სიტყვები
კამათის დასასრულია!“
მამა ონოფრემ ხმამაღლა
და ყველას გასაგონადა
ღმერთი მოიხმო მშველელად,
სიტყვა წარმოთქვა სწორადა:
,,ღმერთია მოწმე, რომ სათქმელს,
მე გულით ვამბობ თქვენს წინა,
ღმერთმა გვიჩვენა სწორი გზა,
როცა ცოდვებში გვეძინა,

მაგრამ ჩვენ ისევ შევცოდეთ
ბოროტი აზრის მიღებით,
ტყვე ვტანჯეთ, როგორც ცხოველი,
როგორც ყაჩაღი ციხეში.
მე თანახმა ვარ, მოვიქცეთ,
როგორაც ღმერთის ნებაა,
ჯერ თვითონ ვეზიარები
და მადლს გამოვთხოვ ზენაარს.
მერე კი ჯვარი დავწეროთ,
ცოლ-ქმრად ვაკურთხოთ ქალ-ვაჟი,
ვით ქრისტიანთა წესია
და ეჭვი არ გვაქვს ამაში.
ყველა დათანხმდა მის ნათქვამს
და დაიშალნენ ნელ-ნელა,
სულთისაც დაესაუბრნენ
და არც შუქიას ეძნელა
მათი პირობის მიღება,
ვით წამალს თავის წყლულისა,
ამ წუთებს ქვრივი, მდუმარი,
დიდხანს ელოდა გულითა.
რაც გადაწყვიტა ონოფრემ,
ყველამ მიიღო ის წესად,
ბიხომაც მისცა თანხმობა,
ეკლესიაში ჯვრისწერას.
წარმართი ქისტი იმდენად,
გაწამდა უბედურებით,
რომ რიტუალის გამართვა,
ჩანს, მისთვის იყო სულერთი.
და ერთ საღამოს ზედმეტი,
ამაო შფოთის გარეშე
დაქორწინდა და სიცოცხლის
სხივი ჩაუდგა თვალებში.

ცალკე დასახლდა ცოლ-ქმარი,
პატარა სახლში, აულთან,
შებრუნდა მათი ცხოვრება,
ორთავ ხალისი გაუჩნდა.
წინსვლა საქმესაც დაეტყო,
სოფელიც ხარობს ამითა,
იციან შვენობს , ფასდება
კაცის ცხოვრება ქალითა.
თითქოს ზემოდან ვიღაცა,
თავის უხილავ ხელითა,
მაღლა სწევს ციხის ქონგურებს
და შენებაში შველისა,
ისე მაღლდება დღითიდღე,
ხევსურთა ციხე - ნანატრი,
მისი აგების იმედი,
თუმც აღარ ჰქონდა არავის.
ხარობენ არხოტივნები,
ამ წარმატებით ძალზედა,
ქმარს გვერდში უდგას შუქია,
ზრუნვით ევლება თავზედა.
არც ბიხო აკლებს ცოლს ალერსს,
თვალს რომ აიცდენს ხალხისა,
ზოგჯერ კი მოსაჩვენებლად
მიმართავს მკაცრი სახითა.
მჩქეფარე გრძნობის ნაკადულს
გულში აკავებს მალულად,
მთიელს გრძნობების აყოლა
რომ შეამჩნიონ, არ უნდა!
არც საქმე აღარ აშინებს,
აღარც სიშორე გზისაო,
მიეფერება დიაცსა :
,,შუქიავ, შუქო მზისაო...“

შუქიაც გამოიცვალა,
ძნელადღა არის საცნობი,
ვარდს დაემსგავსა გაფურჩქვნილს,
დაღლა არ იცის არცროდის.
დიასახლისობს ოჯახში,
ქმრის ყველა სურვილს ასრულებს,
მშენებლებს არაფერს აკლებს,
რომ ციხე მალე დასრულდეს.
როგორც კი მოდის საღამო,
შინისკენ მიეჩქარება,
რომ სიყვარულით აავსონ
მონატრებულმა თვალებმა.
დილით ნაკადულს ეწვევა,
მდელოსკენ მიექანება
და ტალღებს მოაქვს სოფელში
მისი სიმღერის ჰანგები.
ამ დროს სოფელში სუყველა,
ახალგაზრდა თუ მოხუცი,
სიმღერას ჰყვება თავის ხმით,
მოგონებებში წასული.
ხარობენ ბედნიერებით,
რაც ტანჯვის ფასად ეღირსათ,
ბიხო კი ციხეს აშენებს,
კმაყოფილია ბედისა.

ნაწილი მეხუთე

I

დასრულდა ციხის შენება,
აი, კარს მოდგა ზაფხული,
მას შემდეგ, რაც ის დაიწყეს,
ოთხი წელია გასული.
ქავ-ციხის თავზე ვაჟები,
ბოლო ქვას დებენ გვირგვინად,
ისეთი მშვენიერია,
როგორც ქალწული წყლის პირას.
ამ წუთის აღსანიშნავად,
დღეობას მართავს არხოტი,
ჩონგურს უკრავენ, ხარობენ,
ხალხით სავსეა წალკოტი.
მდელოზე , როგორც ქორწილში,
თუხთუხებს სავსე ქვაბები,
ქალები ჭრელ- ჭრელ სამოსში
მოჰგვანან მინდვრის ყვავილებს.
აი, მოლალეს ხარები,
მსხვერპლს შესწირავენ ხატებსა,
შესთხოვენ დაცვას ავისგან,
ლოცვით გასჭრიან ქადებსა.
ჩრდილში დამსხდარან პატივით,
უხუცესები თემისა,
ახლები ცეკვით მიჰქრიან,
როგორც ნიავი მთებისა.
უფროსებთან ზის კაი ყმა,
ქისტი - ქისტურად მორთულა,
სუმბატას ძმადნაფიცია,
უმინი სტუმრად მოსულა.

მოვიდა. დღესასწაული
და სიხარული ხევსურთა,
გულით რომ გაიზიაროს,
ახლა მას მარტო ეს უნდა.
ყანწით სვამს ის სადღეგრძელოს,
რომ საქმეს თავი მოება,
ცდილობს სიდინჯით, სიქველით,
ხევსურთა გულის მოგებას.
ამის მერე კი, ვით ძერა,
მსხვერპლს რომ დალანდავს შორითა,
ისე გასხლტა და ცეკვის წრეს
ჩამოუარა როკვითა.
იმის ცეცხლოვან ცეკვაში,
სჭვივის მთიელის სილაღე,
ჭაღარაც შვენის იმგვარად,
საცქერლად მზერას იტაცებს.

II

შუადღე დადგა ნელნელა,
მზე ზენიტისკენ ამოხდა,
სუმბატამ ხალხის წინაშე,
მთავარი სიტყვა წარმოთქვა.
მას მოჰყვა მამა ონოფრი,
ლოცვამ კარგა ხანს გასტანა,
ნაკურთხი წყალი ასხურა,
ქვას - ციხის თავზე ასატანს.
აგერ, გამოჩნდა ოსტატიც,
სახე უბრწყინავს მთლიანად,
მარჯვედ მოექცა ციხის თავს,
წამიც არ დააგვიანა.
მოძრაობს, როგორც ფრინველი,
ვით მთის არწივი ისეა,

ვერავინ გაეჯიბრება,
მის ნაბიჯს - სხარტს და მყისიერს.
ქვემოთაც უკვე მოქუჩდა,
სუყველა ქვის დასადებად,
მტკიცეა ჯაჭვიც, სამაგრიც,
მოსწონთ, დასრულდა მზადება.
ქვა მაგრად შეკრეს და ისე
სწრაფად ასწიეს ურდულით,
თითქოს სიმძიმე კი არა,
ხელში ეჭირათ ბუმბული.
ბიხომ ის დადო ციხეზე,
ვით ნიში ზეცის მმოსავი,
შეერწყა მარადისობას,
როგორც გვირგვინი ოსტატის.
კვლავ შეიკრიბნენ ხევსურნი
და ღმერთს მადლობას სწირავენ,
დღეს განსასჯელი ორია,
მათ საქმეს განიხილავენ.
დღეს უნდა ითქვას საჯაროდ,
რა განუჩინეს იმ ორთა,
ვინც სოფელს ციხე აუგო
და შეასრულა პირობა.
როგორც ყოველთვის, სუმბატა
უხუცესებთან საუბრობს,
დინჯია, ფრთხილი ის ამ დროს,
 არის პირქუში, ხან უფრო,
მაგრამ დღეს იგი სულ სხვაა,
სხივი უბრწყინავს სახეზე,
ბიხოც მხნედ ელის განაჩენს,
გულში იმედებს აქეზებს.
შესავალ სიტყვას ამბობს და
აკეთებს მცირე პაუზას,

იცის, დღეს დიდი ხნის საქმეს,
წერტილი უნდა დაუსვას.
,,ღმერთის და ხალხის წინაშე,
ჩვენ შენ მოგეცით პირობა,
რომ შეთანხმების თანახმად
მშვიდობით წახვალ ღილღოსა.
არც მტრობით და არც წყევლითა,
არამედ დიდი ამაგით,
ხალხისგან პატივდებული,
პირნათელი და ამაყი!
თუმცა კი რაც ჩვენ არ მოგვწონს,
საქმე გაწელე დროშია,
პირობას მაინც ვასრულებთ,
დარწმუნდი შენ ამაშია.
ჩვენ შევამოწმეთ ციხე და
ნაკლი არა აქვს არსადა,
იმდენად უბადლო არის,
ვერც ვიფიქრებდით ამასა.
შენა ხარ თავისუფალი,
დღეიდან ასე იქნება,
მტრად მოხვედი და მოკეთედ
მიდიხარ, ღმერთმა ინება!
უცხოობაში თაფლიც კი,
მწარეა, უთქვამთ ძველებსა,
ჰოდა, დაბრუნდი ქისტეთში,
გულ გაუხარე შენებსა.
შენ ჩვენთვის მტერი აღარ ხარ,
ნათესავი ხარ აწ უკვე,
ამიტომ, ჭერიც მოგეცით
და ცალკე სახლიც გაჩუქეთ.
თუ მოისურვეთ დარჩით და
აქ გააგრძელეთ თქვენ გვარი,

თუ გინდათ, ღილღოს დაბრუნდით,
ჩვენგან უარი არ არი.
შენთვის მოცემულ პირობას,
დავიცავთ, როგორც ღირსებას,
უპირობა და ტყუილი
ჩვენგან არასდროს იქნება!
ახლა კი შენიც გვითხარი,
მზად ვართ, მოგისმენთ ხევსურნი,
ჩვენგან სხვაც თუ რამ გჭირდება,
ნუ დაგვიმალავ შენს სურვილს.“
მოხუცისაგან ბრძნულ ნათქვამს
ბიხო ისმენდა ქისტური
მორიდებით და დუმილით,
მიწამდე თავჩაქინდრული.
ცოტახანს დაჰყო ამგვარად,
მერე კი თავი ასწია,
მზერა მოავლო ხევსურებს
და თქვა პასუხად : ,,ასეა,
მე რასაც გეტყვით, ბრძენკაცნო,
დღემდე არ მითქვამს ამდენი,
პატივს ვცემ მე თქვენს ჭაღარას,
ხართ ჩემთვის - როგორც მამები!
თქვენზე ვლოცულობ და სულში,
ვინახავ მე თქვენს ქველობას,
თქვენ ხომ სიცოცხლე მაჩუქეთ,
როცა სიკვდილი მელოდა.
მადლიერი ვარ ამისთვის
და მაპატიეთ ერთიცა,
არ ვიქცეოდი მე სწორად,
როცა გიცქერდით ეჭვითა.
ეს უნდობლობა შემინდეთ,
გარწმუნებთ, ამიერიდან,

ნათესავად და ახლობლად,
გთვლით და ეჭვს აღარ შევიტან.
ოთხი წელია ეს მოხდა,
რაც მე არ მქონდა მიზნადა,
უცხო, შორეულ მთებიდან,
თქვენთან აღმოვჩნდი ხიზნადა.
გადაირბინა ჩემს თავში,
სასტიკმა დრომ და ფიქრებმა,
,,არ მაცოცხლებენ, მომკლავენ,“-
ეს აზრი არ მაძინებდა.
ბოლოს კი, როცა ცხოვრება
შუქიას დავუკავშირე,
გამიჩნდა ნდობა თქვენს მიმართ,
ეჭვი გამიქრა მაშინვე.
თქვენ ნუ იფიქრებთ, ხევსურნო,
ჯავრი მკლავს, ბედს ვემდურები,
ღირსება ნებას არ მაძლევს,
რომ გითხრათ საყვედურები.
რაც იყო, ღმერთმა განსაჯოს,
ჩვენ გავიხსენოთ აღარა,
ცუდი წარსულში დავტოვოთ,
ვსასოებ მაგ თქვენს ჭაღარას.
ყველა იმ სიკეთისათვის,
რაც გააკეთეთ აქ ჩემთვის,
ვფიცავ, ერთგული ვიქნები
და მუდამ ღვიძლ ძმად დაგრჩებით.
წასვლით კი ღილღოში წავალ
და არ დავრჩები მე არსად,
იქ მიხმობს სული ტანჯული
და იქ წავიყვან დიაცსაც.
საწყენად, გთხოვთ, ნუ მიიღებთ
და საყვედურსაც ნუ მეტყვით,

რაც გინდა ძღვენი დამპირდეთ,
ვერ გამაჩერებთ ვერაფრით.
ყველა ტყვე ძილშიც, ღვიძილშიც,
თავის მიწა-წყალს მიჰნატრის,
კაცს სადაცა აქვს სამშობლო,
ის ბედნიერიც იქ არის.
ნუ განმსჯით, მტკიცე აზრი მაქვს,
ჩემთვის ეს არის მთავარი,
სჯობს, რომ გამიშვათ მშვიდობით,
გზა დამილოცოთ სავალი!“
დამუნჯდა ყველა მოხუცი,
საგონებელში წავიდა,
ბრძნული თვალებით მზირალნი
დუმდნენ, ფიქრობდნენ თავისას.
ბოლოს სუმბატამ ხმამაღლა,
თქვა: ,,პატივსა ვცემთ არჩევანს,
რაკი შენ ეგ გადაწყვიტე,
ხელს არ შეგიშლით არც ჩვენა!
ადრეც შეგეძლო შინ წასვლა,
რომ არა შენი ეჭვები,
არ გვენდობოდი სიტყვაზე
და გაიგრძელე ეს წლები!
ახლა კი, ქისტო, ღილღოში,
მიდიხარ, მიგყავს შუქიაც,
მინდა გისურვოთ ორივეს
ბევრი ნათელი წუთია.
დაე, ქისტეთის მიწაზე
მან ჰპოვოს თბილი კერია,
ამით ახდება შუქიას
დედის ოცნებაც ძველია.
ბიხო, დღეიდან შენა ხარ,
სრულიად თავისუფალი,
ხვალ დილას გზას დაადექი,
დე, წინ გიძღოდეს უფალი!“

IV

მზე ამობრწყინდა ტატნობზე,
მთის წვერს მოჰფინა სხივები,
ყველა სულდგმული ერთმანეთს
შეჰყურებს ხვალის იმედით.
მთელი არხოტი მოსულა
შუქიასთან და ბიხოსთან,
მიაცილებენ ქისტეთში,
დღეს მათთვის ყველამ ილოცა.
ზოგს გული ამოსჯდომია
და თვალზე ცრემლს ვერ იკავებს,
ზოგიც ლოცულობს იმისთვის,
ხიფათს არ შეხვდნენ იქამდე.
ბარგიც საკმაოდ მოგროვდა,
ხალხისგან განაქჩერები,
ხურჯინებაკიდებულნი
მძიმედ დადიან ცხენები.
ვისაც რა ჰქონდა ოჯახში,
დღეს უხვად გამოიქჩერა,
ჩაუწყვეს ღვინო-არაყი,
სუყველამ გული იჯერა.
ცხენებს მოუხმო შუქიამ,
კვლავ შეამოწმა საგზალი,
ფიქრობს: არ დარჩეს რაიმე,
წინ შორი გზაა სავალი.

,,მივდივარ, არხოტივნებო,
გულს კი აქ ვსწირავ, თქვენთანა,
მიმელის უცხო ქვეყანა,
აღარ ვიქნებით ერთადა.
იმედი მაქვს, რომ ქისტებთან
ვნახავ საერთო ენასა,

გაიხსენებენ ლომანსა
და ჩემს ღილღოელ დედასა.
მე ხომ მაგათი სისხლიც მაქვს,
არა ვარ შორებელია,
მიმიხვდებიან, ჩემ ბედში
ყოფნა რარიგად ძნელია.
თქვენთვის კი, ჩემო სისხლხორცნო,
მხოლოდ უძღები შვილი ვარ,
შენდობას ვითხოვ, დამლოცეთ,
დრო მოვიდა და მივდივარ!“-
ეს თქვა შუქიამ, გახედა
არხოტს ერთ თვალის შევლებით,
ჩამოიმუხლა ხალხის წინ,
თვალზე მოადგა ცრემლები.
თემი მათ გაჰყვა საზღვრამდე,
უმზერდნენ, სანამ ხედავდნენ,
აქედან მიდის დაბლობი,
შორს, დაქანებულ ფერდამდე.
წინ ბიხო მიდის, არ ჩქარობს,
ცხენს ბევრი ბარგი ჰკიდია,
უკან შუქია მიჰყვება,
გზა ჯერ შინამდე დიდია.
უცებ გამოჩნდა ფრიალო
ქედები, მხრებით ცისაკენ,
თითქოს ეს გოლიათები,
მიწიდან ამოიზარდნენ.
მაღალი მთიდან ეშვება,
მდინარე ასას ტალღები,
მოფენილია ღრუბლებით,
როგორც მწყურვალი ბალღებით.
ფრიალო გადასასვლელზე
ხმები მოისმის შორიდან,

ბიხო მთლიანად ცახცახებს,
ის სამშობლოში მოვიდა.
დეზი ჰკრა ცხენს და შუქიას
უმზერს ანთებულ თვალებით,
გავიდა გაშლილ მინდორზე,
ჩქარობს ჩამოხდეს ცხენიდან.
გაფითრდა, თითქოს არც სუნთქავს
და არაფერი არ ესმის,
სახე ეცვლება, იფიქრებ,
დანას დაეგო ალესილს.
უცებ იჩოქებს მიწაზე,
უთრთის ხელები და მხრები,
ჰგავს მლოცველს სამყაროსათვის,
ყრმას - ახლად თვალებგახელილს.

,,მოვედი, მიწავ, მშობელო,
მონატრებული, ტანჯული!“-
ჩუმად ჩიფჩიფებს ქისტურად,
თავის ფიქრებში წასული.
შუქია უმზერს მეუღლეს,
ცხენიდან მკვირცხლად ჩამოდის,
ბიბინებს მთებზე ხავერდი,
ბალახის მწვანე სამოსი.
შორს კი, ფრიალოს გადაღმა,
ვით ცადაწვდილი ხელები,
უკვე გამოჩნდნენ კოშკები,
ქისტეთის მიწის მცველები.
ათვალიერებს მიდამოს
შუქია აღტაცებული:
,,აი, როგორი ყოფილხარ,
ღილღოვ, ძველთაგან ქებულო.

გადმოვაბიჯე შენს ზღურბლზე,
დედის დარდო და ოცნებავ,
იმქვეყნად მისი ცრემლები
ვიცი, დღეს წარიხოცება.
პატიებას გთხოვ, დედილო,
თუმცა სამშობლო გავცვალე,
მუდამ ვცდილობდი, რომ მევლო
იმ გზებით - შენ რომ მასწავლე.
დღეს ერთი გზა მაქვს ამისთვის,
რომ გაგახარო ქალობით,
ვიცხოვრო ახალ ოჯახში,
სიყვარულით და თანხმობით.
მიმიღე, ჩემო ქისტეთო,
ვით შვილი, ხვალის იმედი,
ყველა ჭირსა და განსაცდელს,
მე დავძლევ, ამას გპირდები.“
ლოცვები დაამთავრეს და
ბიხოც წამოდგა მღელვარედ,
ხელი მოხვია შუქიას,
უთხრა: ,,დღეიდან ერთმანეთს
უნდა დავუდგეთ საყრდენად,
ეს არის მხარე ღილღველთა
და ეს ფუძე და კერია,
გქონდეს მომავლის იმედად.
სიკეთის მფარველ ღვთაებებს,
შევთხოვ, მივენდე ბოლომდი,
რომ აგვაცდინოს ზარალი
და ბედისწერა ბოროტი.
ქალღმერთი სელა-სატაა*,
მფარველი ჩვენი კავშირის,
მას მსხვერპლს შევწირავ, როგორც კი
სახლში შეგიყვან, მაშინვე.

---

* სელა სატა - ძვ. ინგუშური წარმართული პანთეონის ქალღვთაება, ჭექა-ქუხილის ღვთაების სელას ქალიშვილი, რომელიც ითვლებოდა ხელსაქმის (ხელოვნების) და ახალდაქორწინებულთა მფარველად.

დე, ამ მხარეში დღეიდან,
გეპოვოს შენ სიყვარული
და დაგხვედროდეს აქ ციხე,
უჭკნობ ყვავილით მორთული.
ახლა რომ ვდგავართ, სწორე აქ
ტყვედ ამიყვანეს ხევსურთა,
ამ ალაგს მოკლეს ჟანმირზა,
მე კი გადავრჩი ბეწვზედა.
აი, აქ იყო, ამ ადგილს,
მე რომ იმისთვის ვილოცე,
ალბათ ინება განგებამ,
მე რომ აქამდე ვიცოცხლე.
ახლა კი, ჩემო დიაცო,
ფეხმარდად მომყევ, აჩქარდი,
დაბნელებამდე მოვასწროთ
სოფლის ნახვა და ვახშამი!“
,,მეც რაღაცა მაქვს სათქმელი,
მინდა გაგანდო ფიქრები,
მე უკვე ბავშვს ველოდები
და მალე დედა ვიქნები.
არ გაგიმხილე აქამდე,
გტანჯავდა სხვა საგონია,
იმასაც გეტყვი, რატომღაც
ვაჟი იქნება, მგონია!“
გაოცდა ბიხო ამ ამბით,
მღიმარი და ფრთებშესხმული,
გადაეხვია მეუღლეს
და მიულოცა ეს გულით.
მერე კი უთხრა ღიმილით:
,,სოფელს მოვიწვევ ამ წუხრას
და სამუდამოდ ჩემს სახლში
კარს დავუკეტავ საწუხარს.“

ეპილოგი

მას მერე იქ დგას ამაყი,
ტყვე-ციხე მთებით მოცული,
ბევრი მტრის დამმარცხებელი,
მწუხარე და მარტოსული.
დაბლა კი - ხეობის ძირას,
მდინარე ტალღებს აქუხებს,
არად დაგიდევს ის ციხის,
საფიქრალსა და საწუხარს.
დგას და ქცეულა გარდასულ
სევდა-ნაღველის სამყოფი,
წარმართულ კერპს ჰგავს დროისგან,
შემუსვრილსა და დამხობილს!
რამდენი ახსოვს დღეები,
მას - უკვდავების სადარი,
ტკივილი და სიხარული,
ღირსეულად რომ ატარა.
მხოლოდ მან იცის, რა ტანჯვა,
ელის - ყველასგან გაწირულს,
შემოხვევია ნისლები,
მდუმარებაში ჩაძირულს...

მუხო და ახალა

პოემა*

I

მთა შებურვილა ვერცხლისფრად,
ზოგან კი ბზინავს მძივივით,
მოისმის შორი ბორცვიდან
მხეცის გულრეჩხი კივილი.
გრძნობს, ვიღაც მოსდევს მალულად,
ის მონადირე იქნება,
ალბათ სურს, ტყვია ახალოს
და ვახშმად ხორცი იგემოს.
თეთრი ახურავს საბანი
და თითქოს ძილ-ბურანშია,
მიწა ფიფქს გადაუპენტავს
და შვენის თოვლის არშია.
შორს კი ტყე მოჩანს უღრანი,
ხმებიც მოისმის იქიდან,
ერთმანეთს შეხვდნენ შემთხვევით
იქ მეგობრები დიდხნისა.
 მუხომ კლდე-ღრეში იარა ,
ის აქ ღილღოდან მოვიდა
და მან შენიშნა უეცრად,
სხვა მონადირე შორიდან...
ჩაიჩურჩულა თავისთვის:
,,ოღონდაც მტერი არ იყოს,
ფეხი არ ჩადგას ცოდვაში“
 და უცნობს მოცდა დაუწყო.

* ნაწარმოებს საფუძვლად დაედო რეალური ისტორია, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოხდა

მთაში დიდია ის საფრთხე,
ხიფათს რომ გადაეყარო ,
შეიძლებ მტერი შემოგხვდეს
ხან კი ნადირის ტყვე ხარო.
მთიელს არ ჰქონდა ცხოვრება
იოლი- გარეთ, არც- შინა,
სულ მუდამ იმას ფიქრობდა,
თავი რით გადაერჩინა.
ანაზდად შეჩეხებული,
მტრის ხმალ-აბჯარიც ნახისა,
სულ მუდამ მოლოდინი აქვს,
შემომიბრუნებს მახვილსა.
ხან ბედსაც გაუღიმია,
 ღამე დღედ გასთენებია,
კაცი, მტერი რომ ეგონა,
არ გამომდგარა მტერია.
 მუხო გაჰყურებს უცნობ კაცს,
ეჭვი გადაჰკრავს სახეზე,
აშკარად ხევსური არის
და ისიც ნადირს დაეძებს .
ხედავს, რომ ორნი არიან,
ფეხდაფეხ მოჰყვნენ ერთმანეთს,
სალამი უძღვნეს მშვიდობით,
 ურიგოს არას ბედავენ.
მიიპატიჟეს თავისთან,
მეგობრულად და ძმურადა,
,,გაგინაწილებთ ჩვენს სარჩოს,
თუკი წამოხვალ სტუმრადა“.
უკვე ღამდება , ვარსკვლავი
მალე ინათებს ცაშია,
მუხო მიენდო ხევსურებს,
მათთან დარჩენა არჩია.

იმ კლდიდან, სადაც დაღლილი
მუხო მეგობრებს ელოდა,
თვალუწვდენელი უფსკრული
ილანდებოდა ქვემოთა.
 ჩუმად ლოცულობს ღილღველი,
ხიფათს ჰკიდია ბეწვითა,
რომ დაიფაროს გამჩენმა,
მტრის ტყვიისგან და მხეცისგან.
გაუგონია ძველთაგან,
რომ მთა გამოსცდის ვაჟკაცსა,
იქ გმართებს ჭკუით მოქცევა,
საფრთხილო გზაა სადაცა.
კლდე მაღალია ძალიან,
უცნობებს თვალს არ აშორებს,
სჯობს გაუფრთხილდეს სიცოცხლეს,
ამ საშიშ ადგილს გაშორდეს.

II

მთის ბოლოს მწვანე მდელოა,
იქ შეიყარნენ სამივე,
გადაეხვივნენ მუხოს და
მერე ამბავი სხვა ჰკითხეს.
ორი პირქუში ხევსური,
ძმები აღმოჩნდნენ ერთურთის,
გაუმასპინძლდნენ ღვინით და
გახდნენ ამ მთებში მეგზურნი.
მოშუშულ ტახის ხორცს ხსნიან
და სთავაზობენ ნახევარს,
შინ დაპატიჟეს თავისთან,
სტუმარი ღამის სათევად.

ღილღველი არ ჭამს ღორის ხორცს,
ისლამის რწმენას ატარებს,
სტუმრად კი ხალისით წავა,
მიპატიჟება ახარებს.
კმაყოფილია, რომ მუხომ
არ ინადირა მარტომა,
სახიფათოა ამ მთებში
ხეტიალი და გართობა.
თუმც მონადირეს ახარებს
 ზამთარის დადგომა ნამდვილად,
ნადირს იოლად შეამჩნევს,
სახლშიც წაიღებს ადვილად.
ოღონდაც ღამე ათიოს,
თავშესაფარი იშოვოს,
არ გახდეს კერძი მგლებისა,
სადმე არ გადაიჩეხოს.
შორია თავის სახლამდე,
ხევსურეთი კი ახლოა,
არც საგზალი აქვს საკმაო,
თქვა სტუმრობაზე თანხმობა.

III

მონადირეებს უჭირდათ
ჩქარა გადავლა თოვლისა,
ზამთრის მოკლე დღეც მინავლდა
ცა ბინდმა ლურჯად მონისლა .
აქვეა მიწა ხევსურთა,
სულში მოლოდინს აღვიძებს,
იქ მონადირე - ინგუში,
გულს გაუხარებს მასპინძლებს.
მაგრამ ყოველთვის ასეა,

მწარედ გვცდის ბედი - ცბიერი,
ისეთ განსაცდელს გადაგვყრის,
 კაცის გვიქრება იერი.
ის იყო, რომ მეგობრები,
კლდეს სულ ცოტათი დაცილდნენ,
მიწა შეირყა ერთბაშად,
თოვლის მთა დადგა მათ წინა.
ზვავი მოწყდა და ყველაფერს
გზადაგზა ექცა   სამარხად,
ორიდან ერთი ხევსურიც
თან წაიღო და ჩამარხა.
ცოტა ხნით გვერდზე გასულმა,
ლოცვაც კი ვერ თქვა უმცროსმა,
ფეხდაფეხ მიჰყვა სიკვდილი,
აღარ აცალა გონს მოსვლა.
მძიმეა უბედურება,
მეგობრებს რაც თავს დაატყდა,
მაგრამ ბოლომდე ბრძოლისთვის
უნდა იპოვონ ძალა და
უნდა მოძებნონ როგორმე
დაკარგული ძმის სხეული,
როგორც არ უნდა ეძნელოთ,
გათხარონ თოვლი წყეული.
ჩანს, მუხო ღონიერია,
ჩქარა მუშაობს ხელებით,
ისე ეძგერა სტიქიას,
თითქოს არვინ ჰყავს მშველელი.
გაბედულება ეტყობათ,
თუმც ჭირმა ორნივ შეზარა,
სიკვდილი ბევრი უნახავთ,
მაგრამ ასეთი ჯერ არა.
შემოსხდნენ ბედაურებზე,

 არხოტისაკენ გეზი აქვთ,
სურთ მკვდარს დროულად მიხედონ,
იგლოვონ, როგორც წესია.
მიაჭენებენ ცხენებს და
ერევათ მწარე ბალღამი,
ირჩევენ იოლ სავალებს,
საფრთხე არ შეხვდეთ ახალი.
მწუხარება აქვთ უსაზღვრო,
ხმამაღლა მოსთქვამს იქ ყველა,
როდესაც მიაცილებენ,
დაღუპულ მოძმეს იმ ქვეყნად.
ვაჟებს რომ შობენ დედანი,
ხარობენ - გვარს გავიგრძელებს ,
ფიქრობენ, კვალს დატოვებენ-
ქალები ქმრებს რომ ირჩევენ.
ახლა კი გლოვა ექნებათ,
სიკვდილი ბევრს დააშორებს,
დაიტირებენ დაღუპულს
დედა, და, მისი საცოლე.

IV

მდუმარედ შეხვდა მათ ღული,
ძველი სოფელი ხევსურთა,
დღეს ჭირი მიაქვთ მათ კარზე,
აქამდე ლხინის მეგზურთა.
აქ გაიზარდნენ ბალღები,
კეთილი ზნე-ხასიათით,
გამრავლდებოდა თაობა,
იმედი ჰქონდათ იმათი.
ეზოდან ,სადაც ხარობდა
უწინ სიცოცხლე ორი ძმის,

დღეს შემზარავი გოდება
და მწარე მოთქმა მოისმის.
კაცები დგანან მწუხარედ,
თითქოს მათ ჰქონდეთ ბრალია,
ქალები ხმით დასტირიან,
ეს არის მათი ვალია.
მეორე დღეც მიიწურა,
მზე ესვენება გორის ფხას,
ჭაბუკის მზე ჩაესვენა,
სუსტადღა ისმის გლოვის ხმა.
წევს სამუდამო სასვენში
სუფთა ჩოხაში ჩაცმული,
ჭიქას უქცევენ მეგობარს,
მრუმე ფიქრებში წასულნი-
ახალგაზრდები ღულელი,
ჟიპიტაურით ამბობენ,
მის სულის შესანდობარს და
სანთელს არც ღამით აქრობენ.
მაგრამ მათ შორის ერთერთი,
ძმის ახლო ნათესავია,
ბოღმა აწვება თვალებში,
სახე უხდება ავია.
ჩათვალა, რომ ამ საქმეში,
მას დამნაშავე სჭირდება,
სტუმარზე ფიქრობს, რომ იგი
ბოროტმოქმედი იქნება.
ავი განზრახვა ჩაიდო,
გულში ავყიამ, უნდა რომ
დილას ლოგინში დაესხას
და მოკლას კაცი უბრალო.
მუხოს კი ფიქრი არა აქვს,

არც საფრთხის, არც განსაცდელის,
გულწრფელად გლოვობს მეგობარს,
არ ეკიდება სასმელი.
არც ძილი არ ეკიდება,
უბედურებით შეძრულსა,
მან მეორე დღეს გაიგო,
გულში რა ედო ხევსურსა.
აქაც გამოჩნდა ახალა -
კაცი სიმართლით შემკული,
მან შეძლო თავის ღირსების
დარჩენილიყო ერთგული.

შუაღამისას შევიდა,
მუხოსთან მთლად დაზაფრული,
უთხრა ,რომ მისი მოკვლა აქვს
ერთ ღულელს აქ განზრახული.
არ სჯერა ღილღველს, რად მოჰკვლენ,
აქ მას არა ჰყავს მტერია,
ასეთ სიბრიყვეს ვერ იგებს
და ფიქრობს, ეხუმრებიან.
მაგრამ როდესაც ახალამ,
ფიცით უმტკიცა ნათქვამი,
დარწმუნდა - ეს სიმართლეა,
სიფრთხილე მართებს ამ ღამით.
მან გადაწყვიტა საჩქაროდ,
გასცილდეს სოფელს უჩუმრად,
ვიდრე დაღუპოს თავი და
ამათ ემსხვერპლოს უგნურად.
ახალამ გამოაპარა
ღამით ღილღველი სოფლიდან,
ქისტეთის გზაზე გაუძღვა,
დაემშვიდობა შორიდან.

ეპილოგის მაგიერ

ზოგჯერ ასე სჭრის ცხოვრება,
ხან კი, პირიქით მოხდება,
ახლო- ახლო აქვთ სამყოფი,
სიკეთეს და ბოროტებას.
ჩვენმა ხევსურმაც სიკეთეს,
მისცა გული და აზრია,
პატივისცემაც ეკუთვნის,
ვინც ბოროტება დაძლია.
ნახა, რომ მთვრალმა უგნურმა,
გონებით ეშმაკს მისდია,
გამოამჟღავნა სიშმაგე
და სისასტიკე თვისია.
წინ დააყენა ახალამ,
კეთილშობილი თვისება,
ყველას უჩვენა ნამდვილი
ხევსური კაცის ღირსება.
თავის სიცოცხლით გარისკა
და უერთგულა მეგობარს,
რადგანაც კაცი, მართალი,
მუდამ სიმართლეს ემხრობა.
ამ საქციელით ახალამ,
თავის გმირობით, სიქველით,
მითიურ ამირანივით
გაბედული და ძლიერი
იპოვა ქისტი ძმობილი,
გამორჩეული სწორებში
და შეიძინა ერთგული,
მან მეგობარი ცხოვრების.
მთაში კვლავ ცოცხლობს ანდრეზი
ამგვარ უებრო ძმობაზე,
ხევსურისა და ღილღველის
საოცარ მეგობრობაზე.

ბინდით მოცული დარიალი

(პოემა)

(1991 წელს, ქ. თბილისში, ერთერთი ღონისძიების შემდეგ, რომელსაც ინგუშეთის სახელით მეც ვესწრებოდი, რესტორანში მიგვიწვიეს. გულუხვ ქართულ სუფრასთან ჩემს ახლოს მჯდომმა ახალგაზრდა ქართველმა ,,პირადი საიდუმლო“ გამანდო - თუ როგორ უყვარდა ორმხრივი, ძლიერი სიყვარულით ინგუში გოგონა ს. ბალთიდან, სადაც ის ნათესავებთან ჩადიოდა და როგორ აუკრძალეს მათ ქორწინება რელიგიური მიზეზების გამო.
ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ისტორია არსებობს?!...)

პროლოგი

ღრუბლები ჩამოჰფენია,
ვიწრობში კლდეებს ფიქალოს
და ქარი მიერეკება
ხმაურით, როგორც ცხვრის ფარას.

საღამოვდება... ფრინველნი
ელტვიან კლდეთა სანახებს,
თავი რომ გადაირჩინონ
და ვინმეს მსხვერპლი არ გახდნენ.

კლდის ლოდებს მოფარებული,
კვნესის პატარა მთის ია ,
უნდა, რომ დატკბეს სიცოცხლით,
იგრძნოს მშვენება მისია.

წვიმა კი უხვი შხეფებით,
ფლეთს დაუნდობლად მის სხეულს,
დარდი ჰკლავს ყვავილს - განდეგილს,
 უიღბლო ყოფას მიჩვეულს.

თერგი ბობოქრობს და არ ღირს
მასთან გულჩვილი ბაასი,
გულცივმა თავის ტალღებში
უკვე დაღუპა ათასი.

 თითქოს ცხოვრების აზრად აქვს
და ცდილობს ყველას შეებას,
სწრაფად წაართვას სიცოცხლე,
 სევდა შეჰყაროს ვეება.

ჩამობინდულა მწუხრის ჟამს
პირქუში მთათა წვერები,
თუმც დარიალის ხეობა
მნახველს ატყვევებს მშვენებით.

მან შებრალება არ იცის,
სიმკაცრე მისი წესია,
შეყვარებულებს აქ ბევრჯერ,
მისგან სიმწარე ეწია.

I

მზემ სხივთა შუქი მოჰფინა
მთიელთა ამაყ, ძველ მხარეს,
შუადღის ხვატი ეხვევა
მთათა კალთებს და მწვერვალებს.

ტყეს ,რკალად მოხრილს, ალერსით
გარს ნიავ-ქარი არ უვლის,
არც ნაკადულის ხმა ისმის,
სიცხემ დააშრო ზაფხულის.

მხოლოდ არწივი ტრიალებს
ცაზე და წრეს კრავს ჩრდილებად,
ბალთის თავს ირგვლივ მოუვლის
და მერე შორს გაიჭრება.

ზოგჯერ გაისმის გორაკთან
ვიღაცის სუსტი ხმის ჩქამი,
ორღობეებში ფარა სჩანს,
წყლისკენ წყურვილით იჩქარის.

მთიელებს მეტი ჯაფისგან
გაძნელებიათ ცხოვრება,
დილაადრიან დგებიან,
ცდილობენ ბევრის მოსწრებას.

სურთ, საქმეს მორჩნენ მყისვე და
ჩამოისვენონ ერთადა,
მზის ჩასვლის ცქერით დატკბნენ და
გადაივიწყონ ეს დაღლა.

თუმც სიცხე- პაპანაქება
ზოგს არ აშინებს, იგრძნობა,
ფეხონში ახალგაზრდობა,
იწყებს ერთურთში ქიშპობას.

კამათი მეგობრებს შორის
ზაფხულის ხვატზე ცხელია,
განზე აგდებენ ,,მოკვეთილს“ ,
თუკი წამოჰკრეს ხელია.

აი, გამოჩნდა შარაზე
ბავშვების გუნდი ცოცხებით,
საწვიმარ ღრუბელს წყალობად
ღმერთს სთხოვენ ბალღურ ლოცვებით.

ვიღაცა მოჰყავთ ძონძებით,
თან მასხარას ჰგავს, თან წმინდანს,
ჯგროდ მოჰყვებიან უკან და
ნატრობენ მალე გაწვიმდეს*.

ფიცრული ჭიშკრის გადაღმა,
ისმის ქალწულის სიმღერა,
 ანგელოზური ბაგიდან
ღვთიური ჰანგი იღვრება.

მისი ლამაზი ოცნება
ჩანს, არ დაინდო იღბალმა,
მოსთქვამს მიამიტ სიტყვებით,
 მთლად ცრემლით გადაიბანა.

---

*ძველი ინგუშური ჩვეულების მიხედვით გვალვის დროს ბავშვები იკრიბებოდნენ ჯგუფებად, რიგრიგობით ჩამოიცვამდნენ ძველ ტომარას, დადიოდნენ ეზოებში და ხმამაღლა ასრულებდნენ დალასადმი (ღმერთისადმი) მიძღვნილ სასიმღერო ლოცვას. ამ ფორმით უზენაესს წვიმის მოსვლას და უხვ მოსავალს შესთხოვდნენ. როგორც წესი, მსგავსი რიტუალის ჩატარების შემდგომ ამინდი მართლაც იცვლებოდა.

ეს ესიტაა ეზოში,
ჩამჯდარა ყვავილთა შორის,
მოვლილი კარ-მიდამო აქვს,
გრძნეულ ხელებით ნაშრომი.

ბალთას* ლექსებად ეღვრება,
მისი ტკივილი, სურვილი,
რომ სიყვარულით ანთებულ
მიჯნურს მოუკლას წყურვილი.

ესიტას
პირველი სიმღერა:

,, იქ ჩემი შეყვარებული
ჩამალულია დილამდე.
მას ჩემთან შეხვედრა უნდა,
მე ის მთის ძირას დავლანდე.

მას უნდა, რომ წამიყვანოს
შორეულ მხარეს ერთხელაც,
ისეთ სიყვარულს მპირდება,
რომ დამავიწყებს ჩემს კერას.

ის ჩემთვის ლურჯი მტრედია
და სიყვარულის ფრინველი,
 ყოველთვის ჩემთან მოფრინავს
და გატაცებით მიმღერის.

---

*ბალთა (ინგუშ.-ბალთე)- ძველი ინგუშური სოფელი ვლადიკავკაზის გარეუბანში, მდებარეობს ,,დარიალის კარიბჭეში“ ანუ დარიალის ხეობის შესასვლელში

მისი სიმღერა ფრთებს მასხამს,
მიხმობს, ლაჟვარდში მაქროლებს,
გულს და გონებას ატყვევებს,
 სულს კი სინაზით ათრთოლებს.

დედა, ძვირფასო, ამას გთხოვ
არ გამიჯავრდე, ნუ მიწყენ,
მამასაც ვთხოვ , ნუ დამწყევლის,
ამ ამბით თუ განვარისხე.

სჯობს ,რომ გამიშვათ მე წყალზე,
ნახვა მწყურია იმ ერთის,
იქ მოფარებულ ადგილას,
მე ჩემი მტრედი მიმელის...“

II

,,ოჰ! რა ცოტაა შინ წყალი,
წყურვილის მოკვლად არ კმარა,
დაღლილ ძმებს, შინ დაბრუნებულთ,
ხომ უნდა ხელის დაბანა?“.

ათრთოლდა უცებ ქალწული,
წყაროზე წასვლა ისურვა,
ძმებს რომ აამოს სიკეთით,
 იქნება მარტო ის უნდა.

ლამაზი კაბა ჩაიცვა,
გაბრწყინდა, როგორ ცისკარი,
თითქოს წყაროზე კი არა,
დღესასწაულზე იჩქარის...

,,არ დაიღალოს ლოდინით”,
გული ამ აზრმა გაისრა,
კეკლუცად სარკეს გახედა
და მყის წყაროსკენ გაიქცა.

ესიტას დედა სიცხეში,
ჭადრის ჩრდილს შეფარებულა,
ისმენს მეზობლის ბალღების,
ცელქობასა და საუბარს.

დედა:

,,წყალი გვაქვს, რად დაეჩვიე
ხშირად სიარულს წყროზე?
იცოდე, მამა გაგიგებს
და დაგსჯის, როგორც არ ოდეს...“

დედა მას უნდოდ შესცქერის,
ჩანს, რომ სავსეა ეჭვითა ,
ხვდება ქალური გუმანით,
რომ ვიღაც უყვარს ესიტას.

ესიტა:

,,რას ამბობ, დედი, ცოტაა,
წყალი არ არის საკმარი,
უცებ ჩავირბენ წყაროზე
და დავრუნდები აქ მალე“...

ერთი სწადია მთის ირემს,
უეცრად გასხლტეს აქედან,
მისთვის სალანძღავ სიტყვების
რომ ვერ მოასწროს თქმა დედამ.

III

აულის იქით, კლდის ძირში,
სადაც მთავრდება სოფელი,
პირუტყვისაგან დაცულად
წყარო აქვთ შემოღობილი.

წყურვილს სუყველა აქ მოჰყავს,
ტყის ნადირი და ხალხიო,
 სათავე კარგად შეღობეს,
რომ არვინ არ აამღვრიოს.

ცოტა ქვემოთ კი მოაწყვეს
დასარწყულები ადგილი,
რომ ჩრდილში ყველას შეეძლოს
წყურვლის მოკვლა ადვილად.

აქ, ამ ადგილას მწყურვალი,
ხშირად ქუჩდება ცხვრის ფარაც,
ფერმას ჩამოჰგავს შორიდან,
წყალზე რომ თავს შეიფარებს.

ზოგჯერ კი შუადღის ხვატში
ისმის ხმაური ბალღების,
იკრიბებიან წყაროსთან,
ბანაობენ და ლაღობენ.

ხანაც კი ვინმე ჯიგიტი
დიდი ზრუნვით და ხალისით,
ზაფხულის საძოვარიდან
მოიყვანს წყალზე თავის კვიცს.

და თუ ბედი გაუღიმებს
და ამ კამკამა წყაროსთან
მასაც შეხვდება, ვის ხილვას
დიდხანს ელოდა, ხარობდა.

ჩიტები ლაღი ჭიკჭიკით,
მიმოდაფრენენ ცეკვითა,
ტყის ნადირნი კი მდუმარედ
ტკბებიან მათი ცქერითა.

იქნებ ამიტომ, ამ ადგილს
წმინდად თვლის ყველა აულში,
უფრთხილდებიან, იცავენ,
სწამთ მისი, ვით სასწაულის.

უფალს შესთხოვენ ყველანი,
მუსლიმიც და ქრისტიანიც,
დაიცვას მათი საუნჯე -
წყაროს არ მისცეს ზიანი.

IV

წყაროსკენ მიჰქრის ესიტა,
ველ-მინდორს ხედავს ედემად,
მიჰქრის და მღელვარებისგან
ღაწვებზე ცეცხლი ედება.

თითქოს მიწას არ აბიჯებს
და ვერც ცას ხედავს სიჩქარით,
გული ერთ რამეს გაჰკივის:
,,იქ არის? ნეტავ იქ არის?!“

,,ო, ღმერთო, ნეტავ რა ხდება?!
ნუთუ დაფრთხა და შეშინდა?
სჯობს მოვკვდე, თუ მომატყუა,''-
ფიქრობს ესიტა ეჭვითა.

შიშმა შეიპყრო, დათრგუნა,
სული აუვსო კაეშნით,
ცეცხლად გადასწვდა გონებას
ბნელი ფიქრების თარეში.

,,ნეტავ რამე თუ შეემთხვა?!
თუ იგვიანებს წამებით?!
ნუთუ სწორად არ გადმომცეს,
მე მისი დანაბარები?!

გოგი პატარა ბიჭია,
შუამავალობის რა იცის,
ისე ჩქარ-ჩქარა ჰყვებოდა,
ჩანს, შიში ჰკლავდა თავისი.“

უცებ მოისმა ახლოდან
ნაბიჯების ხმა ვიღაცის,
კაცს ცხენი მოჰყავს აღვირით,
,,მოვიდა?
ნუთუ ის არის?!...“

შალვა:

,,დღე მშვიდობისა, ესიტა,
რა გჭირს, რადა ხარ გამწყრალი?
გულს ეჭვის ჭია შემიჩნდა,
თავს არ ვეკუთვნი საწყალი.

საძრახი რამე ხომ არ ჰქენ
და დამაქციე თავზე ცა,
მითხარი, თვალი და გული
იქნება სხვისკენ გაგექცა?!

ესიტა:

,, შალვა, ძვირფასო! რას ამბობ,
ეგ ფიქრი რა საკადრია,
შენს სიყვარულზე ძვირფასი,
ამქვეყნად რა მაბადია.

შენთვის ყველაფერს ავიტან,
ხიფათს, თუკი რამ მოხდება,
მაგრამ არასდროს შევლახავ,
ღირსებას, პატიოსნებას.

სჯობს, მოვკვდე და ცივ სამარეს,
მითბობდეს ეს მზე ზაფხულის,
მამის ჭაღარის შერცხვენა
თუ მქონდეს მე განზრახული.

შალვა:

,,ჩემო ესიტა, ვერ შევძლებ
ამის მოსმენას გულგრილად,
თუკი გიყვარვარ გულწრფელად,
ჩემი ცოლობა თუ გინდა.

თუ ამბობ, რომ ამ გრძნობისთვის
ტანჯვის ატანას გაბედავ,
ღირსებას რატომ ახსენებ,
არ მესმის, სწუხხარ რაზედა,

რით ავხსნა შენი ნათქვამი,
ვერ მოვიფიქრე სხვა ვერა,
ნუთუ არა მთვლი, როგორც კაცს
შენი ღირსების საფერად.

ჩვენ ხომ ერთად ვართ გაზრდილნი,
ერთმანეთს ვიცნობთ ყრმობიდან,
ერთი ვარსკვლავი გვმფარველობს,
სიკეთის შუქს გვფენს შორიდან.

ადრე ხომ მეუბნებოდი:
შენ გიძღვნი ტრფობის სიმღერას,
ახლა რა ხდება, მითხარი,
ან გაიხუმრე იქნება?!“

ესიტა:

,,ადრე - ეს იყო ბავშვობა,
ზღაპარს უფრო ჰგავს ის ხანა,
არ მოგატყუებ და გეტყვი ,
სიყვარულს დღემდე ვინახავ.

ეს მართალია -გულში მაქვს,
შენდამი გრძნობა -ძლიერი,
მაგრამ არ მინდა, რომ ცილი
დაგვწამოს ვინმე ცბიერმა.

შენ ქართველი ხარ, მე - ქისტი,
თუმცა ერთნი ვართ ჩვენ სისხლით,
სხვადასხვა რელიგია გვაქვს
და ხელს შეგვიშლის ეს, იცი.

დიდი ხანია სოფელში,
ვცხოვრობთ ჩვენ ყველა ერთადა
და ქართველებთან საერთო
ბევრი გვაქვს, იცი, ეს კარგად,

მაგრამ გვაბრკოლებს, რომ ღმერთის
მსახურება გვაქვს სხვაგვარი,
ეს არის, რაც გულს მიტანჯავს,
მთავარი ზღუდე აქ არის.

უსიტყვოდ გამოგყვებოდი,
ქვეყნის კიდემდე, იცოდე,
მაგრამ ასეთი ტვირთისთვის,
როგორ გავწირო სიცოცხლე.

ვპოვებდი ბედნიერებას,
შენთან ცოლ-ქმრული კავშირით,
ნათესავების, ოჯახის,
დაკარგვა ძლიერ მაშინებს.

შალვა:

,,ნუ ფიქრობ, არ გაპატიონ,
განა მათ არ ეცოდები,
რამდენი წყვილი არსებობს,
სხვადასხვა რწმენით მცხოვრები.

ბატალს - მამაშენს, მეც ვიცნობ ,
მკაცრი ზნეობის მცველია,
მაგრამ მის სულში შეღწევა,
ვფიქრობ, არც ისე ძნელია.

არა მგონია მას შენი
დასჯა ჰქცეოდეს ზრუნვადა,
მკაცრია, მაგრამ მამაა,
განა ქვა უდევს გულადა.

გადაულახავ სიძნელეს,
ვერაფერს ვხედავ ამაში,
მე დავარწმუნებ შენ ოჯახს,
რომ ეს არ არის თამაში.

შიშის და რიდის გარეშე
გამოვუტყდები მამაშენს,
თუ ცუდად შემხვდა , მაშინ კი,
თვითონ გადავწყვეტ დანარჩენს.

მე შენზე უარს არ ვიტყვი,
არ დავთმობ ბედნიერებას,
შენს სურვილს მაშინ დავკარგავ,
სიკვდილი თუ მომერევა.

ესიტა:

,,რას ამბობ, ხომ არ შეშლილხარ,
გიჯობს მოუხმო გონებას,
სიკვდილი ბევრად სჯობია,
მთაში სირცხვილით ცხოვრებას.

გთხოვ, დაივიწყე ეგ აზრი,
ბედთან ჭიდილი გეყოფა,
სულ გააფუჭებ ყველაფერს,
საკუთარ თავსაც დაღუპავ.“

შალვა:

,,არა, ესიტა, როგორღაც
უნდა გადაწყდეს ეს საქმე,
ვერ დავთმობ მე შენს სიყვარულს,
როგორც არ უნდა ვეწამო.

მე ხომ აქ ხევის მთებიდან
შენს სანახავად დავდივარ,
ნათესავების მოკითხვა
მიზეზი არის ამისა.

ცხენს ჩავაბარებ პატრონს და
შინისკენ გავეშურები,
ჩვენ საქმის გადასაწყვეტად
მალევე გამოვბრუნდები.

ჩამოსვლას გოგი გაცნობებს,
 ეგ იყოს ჩვენი მეგზური,
მე აქ სხვა არავინა მყავს
უფრო სანდო და ერთგული.

ოჰ, დამავიწყდა კინაღამ,
ამრია მთლად სიყვარულმა,
დღეს კიდევ სულ დამაბნია
შენმა უაზრო პასუხმა.

გაიღიმა და ოცნებით
ლამაზ ფიქრებში წასულმა,
გამოაძვრინა ჩოხიდან,
ყვავილი- ტრფობის დასტურად:

,,აი, ყვავილი მოგართვი,
დავკრიფე შენს მოლოდინში,
ამ მკერდის სიმხურვალეთი
სულ დაიფუფქა, ბოდიში...“

ესიტა:

,,ეს მთის იაა, სიმბოლო
ამ ჩვენი სიყვარულისა,
მეწყინა მისი დაჭკნობა,
ნიშანი არის ცუდისა.“

დუმილის ნისლი ებურა,
ქალ-ვაჟს ფიქრებში დარჩენილს,
თითქოს ყვავილის სიკვდილმა
მათ მოუტანა სასჯელი.

ხმა შემოესმა ესიტას,
იქით მიაპყრო თვალები
და უმალ იცნო გამვლელნი -
მეზობლის ქვრივი ქალები.

ესიტა:

,, ოჰ, დამავიწყდა სრულიად,
ამდენ ხანს სად და რისთვის ვარ,
დედა შინ მელის, მარტოა,
ვერ გადავრჩები მის რისხვას.

ჯობდა, რომ წავსულიყავი,
რა ჩემდა ჭირად მოვიდნენ,
მიეცათ მითქმა-მოთქმისთვის,
მიზეზი - სოფლის ჭორიკნებს.“

V

გზას დაუქანცავს ბატალი,
თუმც ვაჟკაცია ძლიერი,
,,თავის სახლს არაფერი სჯობს,“
ფიქრობს თავისთვის მთიელი.

წამოწვა - თვალს მოატყუებს,
მცირე ხანს ჩათვლემს მიმწუხრზე,
ოღონდ კი არ ჩაეძინოს,
სხვა არაფერი აწუხებს.

მალე იქნება ლოცვის დრო,
მზე გორისაკენ წავიდა,
ის მუსლიმია - მორწმუნე
და არ ივიწყებს თავის ვალს.

ღმერთის წინაშე პირმართალს
სულ მუდამ ახსოვს მთავარი,
ლოცვას არ დააგვიანებს,
თუნდ საქმე ჰქონდეს მრავალი.

ღმერთი რომ ცოდვებს გვპატიობს,
ამას თქმა უნდა აღარა,
მაგრამ ვინ იცის, მოწყალე,
რას შეგვინდობს და რას არა.

ალაჰის მსახურთ სხვადასხვა -
აქვთ წესები და სიმკაცრე,
სიცოცხლეს სჯობსო სიკვდილი,
ზოგი კამათობს იმაზეც.

ბატალი იცავს ღვთის წესებს,
როგორც იწამა და სჯერა,
არ განიკითხავს არავის,
არ არის სხვათა დამსჯელი.

მაგრამ საკუთარ ოჯახში,
ის მეტად მკაცრად იქცევა,
არავის მისცემს უფლებას,
ვინმემ შელახოს ღირსება.

მას მოსწონს თავის ვაჟები,
ცუდის არ არი გამგონი,
სჯერა იმათი მოქცევის,
სიმამაცის და ჭკვა-გონის.

დენალბექს, გინდა ინალუქს
ნართი გმირების სახე აქვთ,
მათ შიში ვერსად დაჯაბნის,
სიწმინდე მოსდგამთ სახელად.

გოგო კი ერთადერთი ჰყავს,
ნებიერს თავზე ევლება
და იმედი აქვს, საფერი
საქმრო გამოჩნდეს ეგება.

ჯიშიან - სახელიანი,
მოყვარე მისი ასულის ,
სიძედაც გამოსადეგი,
ღირსეულ გვარის , წარსულის.

VI

დღე მიიწურა, ვით უფლის
სიკეთე და საჩუქარი,
მალე გამოვა მოლა და
აზანს დასძახებს მქუხარედ.

,,ალაჰს დიდება!“ - ამ სიტყვით,
ყველა მოისმენს გალობას,
წმინდა წერილის სმენისას
ციდან მოელის წყალობას.

ვინც ძლიერია რწმენაში,
მუხლს ის მოიყრის ღვთის წინა,
ვინც მკაცრად მიჰყვა მის მცნებებს,
რწმენაში ვინც ჩაიძირა.

ცოტა ჩათვლიმა ბატალმა
და მოიკრიბა ძალები,
მერე კუმგანი აავსო,
ეზოს მოავლო თვალები.

არა ჩანს ძე-ხორციელი,
სუყველა სადღაც წასულა,
სწრაფად გავიდა, გახედა,
მოზვერის სადგომს ფარდულთან:

ეზოს გადაღმა ცხვრის ფარა,
დგას მშვიდად მოქუჩებული,
ეხახუნება ხის ღობეს,
მთელი დღის შეწუხებული.

,,სადა ხართ, სად დაიკარგეთ?!“
ხმამაღლა უხმო მეუღლეს,
ეზოს გადაღმა ცხვრის ფარა,
დგას მშვიდად მოქუჩებული,
ეხახუნება ხის ღობეს,
მთელი დღის შეწუხებული.

უცებ მოესმა ზურგსუკან
ფრუტუნი და ხმა ჭენების,
მიხვდა, რომ მისმა ვაჟებმა
შემოიყვანეს ცხენები.

მათ სამი ცხენი საძოვრად
კარგახნით თერგზე გალალეს,
რომ ებანავათ მორევში
და ენავარდათ ჭალაზე.

ორი - ვაჟების ულაყი,
ერთიც- ფაშატი თავისი
ერთად გარეკა ბატალმა,
დაბრუნებულმა შორი გზით.

ეს ხშირად ხდება ოჯახში,
შორ გზაზე უწევს მას წასვლა,
თან მიჰყვებიან ვაჟები,
ეხმარებიან მამასა.

ამიტომ კმაყოფილია
მოხუცი თავის შვილებით,
ოცნებობს, რძლები მოჰგვარონ,
მოესწრონ შვილიშვილები.

ამ ცოტა ხნის წინ ვახშამზე
ოჯახს გაანდო ეს გეგმა,
ფიქრობს, რომ მალე დაიწყოს,
მან მაჭანკლობაც ეგება.

ჯერ უფროსს დააქორწინებს,
თავის იმედს და საუნჯეს,
მერე კი, საფერ საცოლეს
მეორე ვაჟსაც აურჩევს.

თუმცა კი ახალგაზრდაა,
მაინც აქვს მისი იმედი,
შესძლებს ოჯახის გაძღოლას,
აქვს ვაჟკაცობა იმდენი.

შემდეგ კი, როგორც ჭაბუკი,
ცეკვის წრეს ჩაჰყვა ხალისით
და ლაღად გამოიცეკვა,
მღიმარი ცოლი თავისი.

ისიც გადმოჰყვა გედივით,
ქმარს ანთებული თვალებით
და გამოიხმო ცეკვაში
მზისფერი ქისტის ქალები.

,,შეხედეთ, როგორ აცეკვდა,
არც ავადობა არ ახსოვს,
ირემს ჰგავს ჩემი დიაცი,
მოხუცს ვუწოდებ არასდროს!“

ცოლს ეხუმრება ლამაზად,
ღიმილი მისი შველაა,
კმაყოფილია თავისით,
ბებერი, მკვირცხლი მელაა.

ქალიშვილი კი მუსიკის,
ჰანგებით ავსებს საღამოს,
ოღონდაც მოხუც დედ-მამას,
გარმონის დაკვრით აამოს.

და ამ სურვილთა ახდენა,
რა წამსაც ფიქრში ისურვა,
ბატალმა ლოცვა წარმოთქვა,
რომ შეუსრულდეს, ის უნდა.

მამას სალამი უთხრეს და
თვალს მიეფარნენ ფარდულში,
ჩამოიბანეს ბიჭებმა,
ტანიდან ქვიშა და ჭუჭყი.

თერგის წყალი ხომ მთებიდან,
მოდის და შლამით ივსება,
თითქოს უწყრება დარიალს,
რომ გამოაგდო იქედან.

ცხენები დააბინავეს,
საკვები მისცეს სამივეს
და მერე საქმით დაღლილნი,
ძმები სახლისკენ წავიდნენ.

საყვარელ ფაშატს ბატალი,
მიეალერსა ფაფარზე,
ცხენმა კი კუდი შემოჰკრა,
თითქოს პასუხად სალამზე.

სულ არ გაჯავრდა მოხუცი,
ცხენი დატუქსა ალერსით,
როგორც შვილს, თავის გამოზრდილს,
ისე შეჰყურებს თვალებში.

ცოტა ხანს იდგა ბოსელში,
ხმა შემოესმა აზანის*
და გაახსენდა განწმენდის,
წმინდა ლოცვების დრო არის.

ჟამია მწუხრის ნამაზის*,
ეს წუთი ახსოვს აქ ყველას,
ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებას
ეს ხმა აცხადებს ამქვეყნად.

აწუხებს ქცევა ასულის,
დალის ადათზე მოფიქრალს,
სახლში ორივე დაბრუნდნენ,
თითქოსდა, წყალზე ყოფილან.

მთის წესით მარტოდ გოგონას,
არსად უშვებენ მშობლები,
რომ სადმე სირცხვილს არ შეხვდეს,
არ დაამცირონ ჭორებით.

დედა ჩანს უკმაყოფილო,
იგი ქალიშვილს ეჩხუბა,
ვინ მისცა იმის უფლება,
მოიქცეს ის თავხედურად.

,,ისე გავარდა სახლიდან,
არ მომეწონა მაშინვე,
თითქოს ავსულმა შეიპყრო,
აღარაფერი აშინებს “,

---

*აზანი (არაბ.) - მუსულმანთათვის მინარეთიდან ხმამაღალი მოწოდება ხუთჯერადი სავალდებულო ნამაზის(ლოცვის) აღსრულებისათვის

*ნამაზი (ინგუშ.) - ლოცვა

თავისთვის მოსთქვამს და გოდებს,
დალის ბრაზს ბოლო არ უჩანს,
თითქოს ესიტამ უღირსად,
ლაფი დაასხა მათ ოჯახს.

მაშ ასე, ჩემო მკითხველო,
ქალს დალი ერქვა სახელად,
იმას, ვისთანაც ბატალმა,
ცხოვრება განვლო ამხელა.

VII

ამ დროს სოფელში ჭორები
მაინც გავრცელდა აუგად,
თითქოს ესიტა მალულად
იმ კლდესთან ქართველს დაუვა.

რომ გარყვნილია, მეძავი
და სულ დაჰკარგა ნამუსი,
არც იმის აღარ რცხვენია,
სულში ეშმაკი რომ უზის.

ასე აუხდა ესიტას,
რა ეჭვებითაც იწვოდა,
ის ჭორიკანა ქალები
არ დაინდობდნენ, იცოდა.

იცოდა, რომ ჩირქს მოსცხებდნენ,
ბოროტად ცილს დასწამებდნენ ,
დააბრალებდნენ ცუდ რამეს,
ტყუილს და მართალს არევდნენ.

ქვრივი ქალების სიანჩხლე
და რისხვა არვის არგია,
სულ იმას მტრობენ, ვინც სხვაზე
ბედნიერი და კარგია.

თვითონ რომ არ გაუმართლათ,
სიკეთის აღარ იწამეს,
ქალური ბედნიერება
დაკარგეს დიდი სიმწარით.

უსიყვარულოდ ცხოვრება,
აჭკნობს სხეულსაც და სულსაც,
ქვრივობის ხვედრი ტანჯვაა,
სევდა და ომი წარსულთან.

მაგრამ თუ მაინც სამყაროს
ბნელ ავ-კარგს ჩავუკვირვებით,
მივხვდებით, ენით ჩვენც ვსცოდავთ
და არა მარტო ქვრივები.

და მიაღწია ჭორებმა,
ბოლოს ქალწულის სახლამდე,
ოჯახს პატივი აჰყარა,
ღირსებით ქებულს მანამდე.

დენალბექს - უფროსს ძმათაგან,
სხეულს ლახვარი უსერავს,
ორივეს დახოცვა უნდა,
ჯავრი აწვება გულზედა.

არც ბატალია კარგ დღეში,
უნდა სიმართლის გაგება,
არა სჩვევია ჭორების
აყოლით თავის წაგება.

ქმარ-შვილმა დალი გაკიცხა,
შენა ხარ მისი გამზრდელი,
რად ჰქონდა თავისუფლება
ამ ძუკნა გოგოს ამდენი.

დედა ფიცულობს ღვთის ძალას,
რომ ტყუილია ეს ჭორი,
რომ ბევრი ნაძირალაა
და გაიძვერა ხალხს შორის.

მათ მხოლოდ ერთი რამ უნდათ
რომ დაამცირონ ის გოგო,
სხვაგვარად ვერ გვიბედავენ,
რომ მისი ხელი ითხოვონ.

თანაც წყაროზე მას მარტოს,
მე არასოდეს არ ვუშვებ,
სოფელშიც ერთად დავდივართ,
სიტყვას ვინ ჰკადრებს მას უშვერს.

ახლაც ორივე ვიყავით
წყალზე და ერთად დავბრუნდით,
არ დაგვიკარგავს წუთიც კი,
არც რამ გვაქვს ჩვენ დამალული.

ვნახეთ იქ ერთი მხედარი,
ეთერს რომ სტუმრობს ქართველი,
ჩვენთვის არც შემოუხედავს,
წყაროზე დადის რამდენი.

რომც გაებედა უცხოსთან,
ჩემს შვილს მოქცევა თამამად,
საკადრის პასუხს გავცემდი,
ხომ იცი, მორცხვი არა ვარ!

კაცები ცოტა დამშვიდდნენ
და დაიოკეს მათ რისხვა,
ირწმუნეს დალის ნათქვამი,
რომ აქ მიზეზი არის სხვა.

უსარგებლოა სიცრუე,
იცის ეს გულმა დედისა,
მაგრამ ვერ ნახა მეტი გზა
დასამშვიდებლად ძმებისა.

მას ქალიშვილის თვალთვალი,
აზრადაც არა ჰქონია,
მეზობლის ქალთან სტუმრობდა,
წყაროზეც არ გაჰყოლია.

ახლა კი იგი ესიტას
ისეთი ხმით უწყრებოდა,
რომ დახმარების სურვილი
არავის გაუჩნდებოდა:

,,შე უსინდისოვ, შენს გამო,
დღეს მე ვიცრუე ყველასთან ,
კახპავ, ოჯახის სირცხვილო,
ნეტავ მზე სულ არ გენახა.

რად მერგო , ნეტავ, ეს ტანჯვა,
მიწის კარამდე სამყოფო,
როგორ ვიცხოვრებ დღეიდან,
ხალხში თავს როგორ გამოვყოფ!

მუცელშიმც გამწყალებოდი,
რად სიკვდილის კარს არ გირწევ,
მაშინ ხომ დაივიწყებდნენ,
რაც შენა ჰქენი, სამიწევ!

აღარ ელოდო დღეიდან,
რამეში ჩვენგან დანდობას,
ვერ შეიშნოვე, უჭკუოვ,
თავისუფლება და ნდობა!

ღირსეულ გათხოვებისა
აღარც კი გქონდეს იმედი,
თავმომწონე და კარგ ოჯახს,
აღარაფერში ვჭირდებით.

ვინმე ქვრივი ან მოხუცი,
მეტი არავინ ისურვებს
მოყვრობას, ნათესავობას
ჩვენთან დღეიდან, იცოდე.

ახალგაზრდა კი, ისეთი,
ოჯახს რომ სურდა სასიძოდ,
სიზმრად თუ მოგველანდება,
მას ბედი აღარ გვაღირსებს.“

დიდხანს მოსთქვამდა ვაებით
დალი, ავსილი სევდითა,
ტანჯვისგან სასომიხდილი,
ჩუმად ტიროდა ესიტა.

VIII

ჯერ დააცადა, რომ რისხვა
განელებოდათ მის მშობლებს
და ვიდრე ავი სულები
ბაშლამზე წასვლას შიშობდნენ.

რამდენიმე დღე არ ნახა
ესიტა და დაასვენა,
ბოლოს მივიდა ინალუკ
თავისი აზრის სათქმელად.

თან ეცოდება ის გულში,
თანაც საყვედურს უბარებს,
ძმა არის და ვერ იქნება
ის ამ საქმეში მდუმარე.

და გადაწყვიტა გულთბილად
მივიდეს და მოუსმინოს,
რომ ამით შეამსუბუქოს,
მისი ნაღველი უძირო.

მაგრამ ესიტა იცინის,
არ ჰგავს ქალს ფლიდს და უმეცარს,
საყვედურებით აავსო
მან უმცროსი ძმა უეცრად:

ესიტა:

,, ნეტავი, როგორ მიბედავ,
გაკიცხვას, ჭკუის სწავლებას?
როცა შენ თვითონ მარიამს
მალულად თავზე ევლები?!

ლამის მეძავად შემრაცხეთ,
რაიმეს თითქოს ვაშავებ ,
ბარემ ადექით, ამქვეყნად
ჩემი ხსენება წაშალეთ.“

ინალუკი:

,,შენ ენა ნუ წამომიგდე,
გიჯობს, ამოსდო ლაგამი
და მითხრა, ცილი დაგწამეს,
თუ სიმართლეა ნათქვამი?!

გატყობ, რომ მართლა აუშვი,
უჩუმრად ხვდები იმ ქართველს,
გამოტყდი, ბნელ ჩრდილიანში,
ზედმეტიც ხომ არ იკადრე?!“

ესიტა:

,,რას როშავ, ნეტავ თუ იცი?!
ყველამ დამღალეთ ,ოხ, როგორ!
ჩემი ძმა რომ ამას ამბობს,
სხვას რაღა უნდა მოვთხოვო?!

ძმა კი ხარ, მაგრამ გახსოვდეს,
რომ უმცროსი ხარ ასაკით,
ეტყობა თვითონ შესცოდე,
ამიტომ ამბობ გასაკვირს.

შენ არ ხარ ის ,,ღვთისმოსავი“,
ქისტი ტოლი რომ ვერ ნახა
და ქართველ გოგოს უღირსად
კუდში რომ დასდევს დღედაღამ?!

ბეჟიტაშვილის ოჯახი
სხვათაზე მეტი რითია?!
აქ ბევრი ცხოვრობს ქართველი,
ჩვენგან შექების ღირსია.

ან შალვას რა აქვს ნეტავი,
ვინმესგან არმოსაწონი,
ხან ასე სჭრის და ხან ისე
თქვენი სამართლის სასწორი.

თურმე ბალთაში ვინც ცხოვრობს,
ის ქართველები ,,ჩვენია“,
სხვასთან კი, შორით მოსულთან,
დამეგობრების გვრცხვენია.

ხომ დაქორწინდა ნინოზე
ბიძია სალიც წარსულში,
ახლა ხომ ყველა ამაყობს,
მათი შვილებით და ფუძით.

ხაჟისაც არ აუკრძალეს,
როცა ქმრად ნუგო ისურვა,
დიდი პატივით მიიღეს,
შუაკაცები მისული.

ქორწილიც გადაიხადეს
და დღეს ბუდე აქვთ ლამაზი,
აქამდე, თუ არ იშლიდით,
მე რატომ მკიცხავთ ამაში.

ინალუკი:

,,თვითონაც იცი, სიტყვები
ზედმეტია და უაზრო,
სოფლის უბედურ ქალივით
ამდენ სიბრიყვეს ნუ ამბობ.

მაგალითები, რაც მოგყავს,
არ გამოდგება ნიმუშად,
ყველამ, ვინც რწმენა გაყიდა,
ღმერთის წინაშე იმრუშა.

შენ საყვედურობ შენს ოჯახს
 და ნათესავებს წყენისთვის,
მაგრამ უყვარხარ სუყველას,
შენზე ზრუნავაა ეს , იცი.

ხომ იცი, მამა რწმენაში
ღვთისმოშიშია როგორი,
ღმერთს მარტო ალაჰს უწოდებს,
სხვა დანარჩენს კი - მოგონილს.

მესმის ,მკაცრია ძალიან,
საღვთო რჯული და წესები,
მაგრამ ადგომას გავალებს,
თუკი ცოდვაში ეცემი.

ამიტომ ჩვენიანები,
მუდამ ზრუნავენ ჩვენს სულზე,
რომ აგვარიდონ ჯოჯოხეთს
და უფლის ნება შესრულდეს.

აი, ეს არის მიზეზი,
რაც ამ არჩევანს გიზღუდავს,
თორემ ხალისით შეგრთავდით,
იმ ქართველს შენს გულს ვინც უნდა.

ესიტა:

,,ინალუკ, ძმაო, რად მზაკვრობ
და დაბნეული რად ჩანხარ?!
თვითონაც ქართველი გიყვარს,
ეგ გავიწყდება აშკარად.

თუმც მარიამი ასაკით
პატარაა და ნორჩია,
ტოლებში ყველას ჯობია
და შენც იმიტომ ირჩიე.

მე მოხარული ვიქნები,
თუ გამართლდება ეგ გრძნობა
და ვიდრე დაქორწინდები,
თუ არ მოგივა შეცდომა.

ოჯახიც სანაქებოა,
გვარიც - ღირსებით შემკული,
ვერაფერს ვერ დავუწუნებთ,
ბეჟიტაშვილებს მე მგონი.

მაგრამ ის სხვა რწმენისაა,
 ეს ხომ სუყველამ იცოდა
და რჯულით სხვადასხვაობას
ვერ გაექცევი თვითონაც.

აკრძალვა შენ არ გეხება?
თუ არად აგდებ სრულიად?
იქნებ სიკეთეს მოგიტანს,
ის, რაც სხვებისთვის ცუდია.

შენ ფიქრობ, ღვთის კანონები
შენთვის სხვა არის, ჩემთვის - სხვა?!
 თავს მეტად მაღლა აყენებ,
აი, რა იწვევს ჩემს რისხვას!

ინალუკი:

,,დაო, მე მტერი არა ვარ,
არც მკრეხელობა მწადია,
ვიცი, რომ გიყვარს ტყუილი,
მაგრამ დღეს არ აქვს აზრია.

გთხოვ, გამიმხილე სიმართლე,
მე ძმა ვარ შენი, გაიგე!
ჩვენ ხომ ვმეგობრობთ, არასდროს
არ დაგვიმალავს რაიმე.

მართლა შესცოდე?- მიამბე,
კითხვებით რომ არ დაგღალო,
უცხო ტომელმა ქართველმა,
რით დაგიბნელა სამყარო.

ბევრ ცუდს ჰყვებიან სოფელში,
დრო არის, თავი იმართლო
და თუ ტყუილი ჭორია,
მაშინ რად უნდა ვიდარდოთ?

ესიტა:

,,ინალუკ, ძმაო, ხომ იცი,
ეს არვის სტკივა ჩემსავით,
მე გულით მიყვარს ის კაცი,
აი, სიმართლე ეს არის.

დიდი ხანია, რაც ვიცნობ
და ბავშვობიდან ვმეგობრობ,
არცერთი სიტყვა, რაცა ვთქვი,
 სიცრუე შენ არ გეგონოს.

ერთმანეთს ვხვდებით სოფელში,
როცა აქ სტუმრად ჩამოდის,
მშვიდი და ღირსეულია,
თავს არ მაბეზრებს აროდის.

ღმერთს ვფიცავ, არსაკადრისი
ჩვენ არაფერი გვიქნია,
მე უმწიკვლო ვარ ბავშვივით
და რაც ვთქვი, განა ლიქნია.

ვლოცულობ, რომ დამიჯეროთ,
ინებონ წმინდა ძალებმა,
მზაკვრული ენით და ჭორით,
ცილი დამწამეს ქალებმა.

შალვა ცხენდაცხენ ჩამოჰყვა
წყალს და მეც იმ დროს მივედი,
ცოტა ხანს დავისაუბრეთ,
სხვა არა იყო იქ მეტი.

დაე, დამფერფლოს იმ ქვეყნად,
მე ალმა ჯოჯოხეთისა,
თუ ვსცოდე კაცთა წინაშე,
სასჯელი მქონდეს ღმერთისა.

მას აკრძალული აროდეს,
არ დაულახავს ზღვარია,
მაგრამ მან მთხოვა ცოლობა,
სურს გახდეს ჩემი ქმარია.

მე არ მინდოდა, რომ მისთვის
გული მეტკინა პასუხით,
არც კეკლუცობა ცბიერი
არ დამიწყია არცროდის.

მე მას უარი ვუთხარი
და ავუხსენი რატომაც,
ვთხოვე, რომ დავრჩეთ მეგობრად,
თუმც ის სხვა რამეს ნატრობდა.

შალვა დამწუხრდა ძალიან
და არ უხსნიდა დანა პირს,
მან არ მიიღო უარი,
თქვა, რომ არ დამთმობს არაფრით.

გადაწყვიტა, რომ ეახლოს
მამაჩემს და ჩემს სახლობას,
დაესაუბროს კაცურად
და გამოსთხოვოს თანხმობა.

ვუთხარი, რომ არ გამოვა,
მამას მკაცრი აქვს ბუნება,
ვცადე და ვერ მოვახერხე,
მე მისი გადარწმუნება.

ეს იყო, ამით დავშორდით,
ორივეს გული გვტკიოდა,
ამ დროს ქალებმა შეგვნიშნეს
და ჩირქი მოგვცხეს იოლად.

ინალუკი:

,,კარგი, ესიტა, გავიგე,
დამნაშავე ხარ, ახია!
მაგ შენი ქარაფშუტობით,
სუყველა შარში გაგვხვიე!

თავიდან უნდა გეფიქრა,
რას მოგიტანდა ეს გრძნობა,
საქმის აქამდე მიყვანა,
ეს იყო დიდი შეცდომა.

ახლა კი მართლა არ ვიცი,
რით დაგეხმარო ან რა ვქნა,
ვეცდები, რომ არ გაგტეხოს
ამ განცდებმა და ამ ლაქამ.

თუმც ოჯახში ვარ უმცროსი ,
მომანდე შენი ფიქრები,
როგორც ძმა-სისხლი და ხორცი,
მუდამ შენს გვერდით ვიქნები.

ჭორები უნდა გავფანტოთ,
არ დაიჯეროს კიდევ სხვამ,
რომ ეს საქვეყნო სირცხვილი
როგორმე ჩამოვირეცხოთ.

IX

ერთი დღის შემდეგ ესიტა
შინ მარტო დაფუსფუსებდა,
დაგავა სახლი და ეზო,
კარი გაიღო უცებ და

ხედავს შემოდის სიფრთხილით
ეზოში გოგი - შემკრთალი,
ცალ ხელში დოქი უჭირავს,
ვიღაცას ეძებს თან თვალით.

- დედამ რძე გთხოვა, ესიტა!
ამბობს და ტუჩზე თითს იდებს,
აინტერესებს, სხვა ვინმე,
არის თუ არა იქ კიდევ.

საიდუმლო აქვს, ეტყობა,
ქალს ჩუმად ესაუბრება,
ესიტა გაფითრებული
ხმას ვეღარ იღებს, მუნჯდება.

გოგიმ გაანდო, რომ მასთან,
გამოაგზავნა ის შალვამ,
წინადღეს ჩამოსულა და
ჭორებით სულ შეიშალა.

გოგი:

,, თუ კვლავ ხარ მისი ერთგული,
გთხოვს, რომ ჩახვიდე წყაროსთან,
იჩქარე, იქ გელოდება,
უნდა რომ მარტო მიხვიდე“.

მცირე ხანს არ უპასუხა,
მიაცილებდა კარისკენ,
მერე კი ცელქი ბიჭუნა
უკან მოიხმო თავისკენ.

ესიტა:

,, შალვას უთხარი, რომ მე იქ
არ დამელოდოს, არ მივალ,
ამ ბინძურ მითქმა-მოთქმაში
მე მიძღვის ბრალი ნამდვილად.

ტყუილუბრალოდ ნუ წვალობს,
სულ ამაოა ყოველი,
თანხმობა არ აქვთ ოჯახებს
და კარგს არაფერს მოველი.

თუ გვარს და სანათესაოს,
არ აქვს ერთობა მცირედიც,
ბედნიერ მეუღლეობას
ვერ მიაღწევენ წყვილები.

სჯობს, რომ შეირთოს ქართველი,
თავისი რწმენის და ტომის,
ის უალერსებს , გაათბობს,
დაავიწყდება ნანდობი”.

ბიჭუნა გამოაცილა,
ესიტამ ეზოს კარს იქით,
მერე შევიდა ოთახში,
მწარე ფიქრებით აღვსილი.

კიდევ კარგი, რომ მარტოა,
სუყველა სადღაც წავიდა,
იმის ყრუ გმინვას ვერავინ,
ვერ გაიგონებს სახლიდან.

ცოტა ხანს მდუმარედ დაჰყო,
მერე დაიწყო სიმღერა,
ტკბილ მელოდიას მიენდო,
გულს დარდი გადაიყარა.

ესიტას
მეორე სიმღერა:

,, მე შევარდენი - ნანატრი,
მელის წყაროსთან ეული,
გულს კი პირქუში ბედისგან,
ტკივილი მიწვავს წყეული.

შორიდან მეალერსება,
მას ჩემს გულში აქვს ადგილი,
სამდურავს ვუთვლით განგებას,
მთელი სამყარო დაგვტირის.

რად მინდა ის სიყვარული,
თუ მე სამოთხედ მეგულვის,
მაგრამ წამართმევს სამშობლოს
და ხიზნად მაქცევს ბედკრული.

მიმუხთლა ბედმა მზაკვარმა,
მძიმე სასჯელი მარგუნა ,
სიყვარულისთვის წამება,
ოცნებით თავის დაღუპვა.

დედი, ძვირფასო, გპირდებით,
მე არც ისეთი სუსტი ვარ,
მამამაც მინდა იცოდეს
და ნუ დამწყევლით ტყუილად.

არ გაწყენინებთ არასდროს,
არ ვუღალატებ ჩვენს ადათს,
ახალგაზრდობის ბრალია,
ხან თუ ვიქცევი ცეტადა.

X

ბუჩქებთან მიმალულია,
რომ მზერა არვინ შეასწროს,
შალვა წყაროსთან მისულა
და ელოდება იქ სატრფოს.

თუმცა ეჭვი აქვს, არ მოვა,
ვინც მისთვის ერთადერთია ,
ვის სიცოცხლესაც ტკივილი
გველივით შემოხვევია.

იმედს კი მაინც არ კარგავს
(ამ ფიქრებს მწარედ განიცდის),
რომ ისევ უყვარს ესიტას
და ერთგულია კვლავ მისი.

მოხევე შორი მთებიდან,
აქ არ მოსულა სალხინოდ,
ფიქრობს, როგორმე გაფანტოს,
ცილისწამება ხალხისა.

დეიდაც ნახა მცირე ხნით,
შეუფერებლად მოიქცა,
გოგი შიკრიკად აფრინა
და იმ წამს აქ გამოიქცა.

მყუდრო ადგილი ყმაწვილკაცს
მუდამ მოუხმობს თავისკენ
და გული შეყვარებული
მის მოლოდინში მალვით ძგერს.

,,იქ უნდა დავლოდებოდი,
აქ რას მოვრბოდი სულსწრაფად,
გოგი პასუხს ხომ მეტყოდა,“-
ფიქრში თავისთავს უწყრება.

ადგილს ვეღარსად პოულობს,
გული საგულეს არა აქვს,
წყაროზე ბევრი ჩამოდის,
მოხუცი და ახალგაზრდა,

მაგრამ ის ერთი არსად ჩანს,
ის , ვისაც ასე მოელის,
განგებას შესთხოვს, მოჰგვაროს,
აქ მისი გულის სწორფერი.

საღამოვდება , მზე ჩადის,
მთის იქით მიიწვერება,
სამალავს აქეთ თანდათან,
წამოიჩრდილეს კლდეებმა.

შალვა ჯერ ხალხს დაელოდა,
რომ წასულიყვნენ სახლებში,
წყაროზეც გადაიწმინდა,
მთელი დღის მღვრიე ნალექი.

შემდეგ კი, აძვრა კლდის ქიმზე
და ესიტას სახლს გახედა,
ეზოში ვიღაც დალანდა,
წყალი მიჰქონდა ხარებთან.

უცებ შეიცნო ესიტა
და გული სევდამ გასერა,
ჩაილუღლუღა თავისთვის:
,,მე,ბრიყვი, მეტის ღირსი ვარ!“

ბალახზე გაწვა, რომ სატრფოს
კარგად ადევნოს თვალყური,
გაქრეს, შეერთოს ცის ლაჟვარდს,
ნატრობს ყველაფრით დაღლილი,

რადგან უარყვეს მიჯნური,
სული სულს ვეღარ შეერთო,
თავდავიწყებულ სიყვარულს
ბედნიერება არ ერგო.

ბალახზე ჩამოისვენებს
და ყვავილს მოსწყვეტს მუხლებთან,
კარზე მომდგარი ღამისგან
ხედავს, რომ ისიც უხმება.

ეს ხომ იაა, ლურჯთვალა,
ნიშანი მათი ბედისა,
ხელს უსვამს ნაზი ალერსით,
სჩანს ლხენა არც მას ეღირსა.

და უნებურად სიმღერას
იწყებს სვე-განამწარები,
თითქოს სურს გადაივიწყოს,
ტანჯვით აღვსილი წამები.

შალვას
პირველი სიმღერა:

,,ნუთუ, შენც ჩემო ცისთვალა,
გრძნობ ჩემი გულის სიმძიმილს,
მაშ, ნეტავ ზეციურ მსაჯულს
რად მოსწონს ჩვენი ტკივილი?!

რადა ხარ თავჩაქინდრული,
გულს რა ვარამი გედება?!
იქნებ შენც სიყვარული გკლავს,
არ გაგიმართლა ეგება?!

ვარ გარიყული ბედისგან,
ამას ვსაუბრობ მე შენთან,
სულს კი ცრემლებით განბანილს,
ყრუ ტკივილები მიშანთავს.

მე გულუბრყვილო ოცნებით
რწმენა დავკარგე, ვიტანჯე
და დარჩა ჩემი მუდარა,
უსულო ქვათა წინაშე.

გთხოვ, მიპასუხე, იაო,
ნუთუ მათ არ ენანებათ,
უგულო ჯალათებივით,
სხვისი ცხოვრების დანგრევა.

ღმერთის სახელით და რწმენით,
 ეს სისასტიკე დაუშვეს,
რა არის კაცის ცხოვრება,
ბედნიერების გარეშე?!

დარიალს შავ ნაბადივით,
ნელნელა ბინდი ედება,
მწარე ფიქრებში წასული,
შალვა ქცეულა ვედრებად:

უნდა როგორმე ესიტა
რომ ამოიგდოს გულიდან,
რადგან მან გრძნობა უარყო,
მთელ სიცოცხლედ რომ უღირდა.

შევძლებ კი სხვის შეყვარებას
და სხვასთან ბედნიერებას?!
როცა ის ერთი მაღელვებს
და მასზე დარდი მერევა?

XI

რაკი მოხევე გამოჩნდა,
ბატალმა შვილზე იზრუნა,
ზურაბის ნახვა და მასთან
გასაუბრება ისურვა.

როგორც მეზობელს შეფერის,
მოიპატიჟა ჩაიზე,
თან ფრთხილობს, რომ უნებურად
არ აწყენინოს რაიმე.

ბეჟიტაშვილი ზურაბი,
მკვიდრია მათი სოფლისა,
სადაც ქისტი და ქართველი
ერთად ცხოვრობენ ოდითგან.

აქ, ამ სოფელში ლტოლვილად
ბევრჯერ მოსულან ოსებიც,
მაგრამ ხდებოდა შუღლი და
მალევე ერთურთს ხოცავდნენ.

და ასე ასწლეულები,
გამოიარა მთის ხალხმა,
ბევრჯერ კი სვე გაუმწარა,
თავს დატეხილმა გრიგალმა.

მას შემდეგ, რაც ამ სოფელზე
გზამ განვლო კავკასიისა,
ის კარიბჭეა ხეობის -
დრო არ აქვს მშვიდი ძილისა.

და ამიტომაც ბალთის მკვიდრთ
ბევრი რამ არ ეზღუდებათ,
აქვთ ერთმანეთში მოყვრობის
და ქორწინების უფლება.

ზურაბთან ერთად ჩაის სმა,
ბატალმა მიტომ ინება,
რომ მასთან მაჭანკლობაზე,
სიტყვა ჩაეგდო იქნება.

ბატალი:

ზურაბ, ხომ იცი, მე და შენ
ვმეგობრობთ ლამის აკვნიდან,
კამათი, უთანხმოება,
ვიცი, რომ არცერთს არ გვინდა.

ვაფასებ ჩვენს მეზობლობას,
პატივს გცემთ შენც და ეთერსაც,
მაგრამ ვერაფრით ვამართლებ,
ჩემს ქალიშვილთან თქვენს ქცევას.

მას თავის ქორწინებაზე
აქვს აუხდენი ოცნება,
რად გაუღვიძეთ ის აზრი,
რაც ვერასოდეს მოხდება?!

რატომ არ ჰკითხავთ თქვენს ძმისწულს ,
სურს იჯიუტოს სადამდე?
ხომ იცით, მისი სურვილი,
კარგს არ მოიტანს არაფერს.

ქალს ვერ გაგატანთ და იცით,
რაც არი ამის მიზეზი,
მოლა კურთხევას არ მისცემს,
დაგმობს მათ კავშირს ქისტეთი.

სხვა რჯულის კაცთან ცხოვრება
აკრძალულია კანონით,
რომელსაც მუსულმანები,
არ დაარღვევენ აროდის.

მოლას დალოცვის გარეშე,
ცოლ-ქმრობას ჰქვია მრუშობა,
შეურაცხყოფით, სირცხვილით,
მთავრდება ღმერთთან ურჩობა.

რომც იყოლიონ შვილები
ამ უკანონო ერთობით,
დაუძახებენ ნაბუშრებს,
არ მიიღებენ შენდობით.

აი, ეს არის მთავარი
და მათ ხელს უშლის ეს მხოლოდ,
რომ გახდნენ მეუღლეები
და ბედნიერად იცხოვრონ.

ზურაბი:

,,ბატალ, მე მესმის ეგ კარგად,
ჩვენ გვაქვს ცხოვრება ძმურია,
მაგრამ ვერც ქალ-ვაჟს გავკიცხავ,
ერთად ყოფნა რომ სწყურიათ.

მე სხვა აზრი მაქვს ამაზე,
აკრძალვებს თუმც შევეჩვიე,
ვერ ვაიძულებ ვერავის,
სიხარულს ტანჯვა ერჩიოს.

მესმის, რომ მუსულმანები,
ასეთ წყვილს არ დაინდობენ,
მერწმუნე, რომ ქართველებიც,
სწორედ ამგვარად ფიქრობენ.

მიუხედავად ამისა,
ოჯახი ვიცით ჩვენ ბევრი,
ვისაც ეგ ხვედრი ერგო და
კმაყოფილია დღეს ბედის.

თუ ფიქრობ ჩვენი მოყვრობა,
სასურველია არც ისე,
რასაც შენ იტყვი, ისა ვქნათ,
ოღონდაც მტრობა აგვცილდეს.

შალვა კი ჩემი ცოლისა
დისწულია და არ იწყენს,
ვეტყვით, რომ ტყუილუბრალოდ
სოფელში თავს ნუ შეირცხვენს.

ბატალი:

,,კი , არის ბევრი შემთხვევა,
შენ რაც თქვი, მეც გეთანხმები,
მაგრამ ეგ იმათი გზაა,
ვისაც რწმენა აქვს ნაკლები.

მაპატიე, რომ უტაქტოდ,
ვამბობ ჩემს სათქმელს მაგათზე,
ასეთ ცოლქმრობის შემთხვევას,
არც ვკიცხავ და არც ვამართლებ.

იცხოვროს ისე ,როგორც სურს,
ყველას აქვს ამის უფლება,
მაგრამ თუ ეს გამიბედა,
შვილს მოვკლავ დაუფიქრებლად.

თუ მან ღალატი არჩია,
გადააბიჯა ამ სიტყვას,
გაფრთხილებ, რომ არ ვაცოცხლებ,
ეს არის აღთქმა მამისა.

ზურაბი:

,, მამა ხარ, ნება შენია,
მე წუწუნს აღარ დავიწყებ,
მაგრამ რაც შენ თქვი, იმაში
ვერ დავინახე მე სიბრძნე.

რწმენა ტვირთია კაცისა,
 ყველას თავისი გზები აქვს,
იგი ყველასთვის წმინდაა,
აღსასრულებლად ძნელია.

გეტყვი, რომ ამ ყველაფერში ,
არ მიჭირს შენი გაგება,
თუმც უზენაეს მსაჯულთან
ყველა პირადად წარდგება.

მე თვითონ სამი შვილი მყავს,
მათ ბედში არ ჩავერევი,
მე მხოლოდ ერთი რამ მინდა,
რომ მყავდნენ ბედნიერები.

პატივს ვცემ ყველას ცხოვრებას
ქრისტესთან, გინდ მუჰამედთან,
ოღონდ ასცილდეს მათ ოჯახს
გასაჭირი და წვალება.

შენს აზრებს, შეხედულებებს
არ განვიკითხავ, არ განვსჯი,
არც იმას ვცდილობ, რაც მე ვთქვი,
რომ დაგარწმუნო ამაში.

უხუცესი ხარ ამ სოფლის,
გაქვს ჭკუა, გამოცდილება,
ყველა პატივს გცემს გარშემო
და გამკობს ძალმოსილება.

ჩემში კი სინანულს იწვევს,
რაც შენ მითხარი მე ახლა,
ეგ ქედმაღლობა სურვილთა,
მერჩივნა, სულ არ მენახა.

იქნება მარტო რწმენაში,
არ არის საქმე ამდენი
და შალვას იმით იწუნებ,
რომ იგი არის ქართველი.

ბატალი:

,, ვფიცავ გატეხილ პურის მადლს,
 ჩვენს წინ რომა დევს ამ წუთას,
რომ სხვა მიზეზი არა მაქვს,
რის გამოც სიძედ არ მსურდა.

გთხოვ , დამიჯერე, ასეა,
ქართველს სულს და გულს მივცემდი,
მე მხოლოდ ზეცა მაბრკოლებს -
ქრისტიანია ის რწმენით.

მომიმატებენ ბოროტნი,
ოჯახის ლანძღვით საწუხარს,
როგორ ვიცხოვრო სირცხვილში,
ან ხალხს რა ვუთხრა პასუხად?

რწმენა გაქვთ დიდი ქართველებს
და ძლიერ გჯერათ ღვთის სული,
ინგუშიც ღრმადმორწმუნეა,
ფანატიზმამდე მისული.

ზურაბი:

,,მაშ, ბატალ, რაკი გადაწყდა,
რომ შენ ამ საქმეს ვერ იზამ,
ჯობია, დაგემშვიდობო,
არ იკვეთება ჩვენი გზა.

ჩვენ დავაშორეთ ქალ-ვაჟი
და სატანჯველად გავწირეთ,
მაშ მშვიდად ვიყოთ დღეიდან,
რომ ხალხი ვერ დაგვამცირებს.

უფროს ვაჟს - მერაბს მე მივცემ,
ამ დავალებას ხვალიდან,
ეთერსაც ჩავრთავ, რომ შალვას-
ის ამოუგდონ თავიდან,

თუკი მათ ვერ დაარწმუნეს,
მე თვითონ ვნახავ პირადად,
ისეთ ხალხს ჩავრევ საქმეში,
სიტყვა რომ უღირთ ძვირადა.“

ბატალი:

,, გავიგე რომ შუამავლად,
მათ თურმე გოგი ჰყოლიათ.“

ზურაბი:

,,იგი დამჯერე ბავშვია,
აღარ გაბედავს, მგონია.“

ბატალი:

,, ჩაი ხელახლა მივირთვათ,
რაც ესხა, უკვე გაცივდა,
თორემ ნაწყენი დავრჩები,
სტუმარს ვერა გცემ პატივსა.“

ცოტა ხანს ისხდნენ ჩაიზე,
არ ჰქონდათ ფიქრი ადვილი,
სახლში წავიდა ზურაბი,
აჩქარებული, დაღლილი.

XII

შალვა ულმობელ ლოდინით
კლდეებს შლეგივით აწყდება ,
მისი ოცნების კალოზე
ბედის დაცინვა არ წყდება.

რაც დაიქადნა სატრფოსთან,
სიტყვა არ იყო შემცდარი,
ვისაც სურს მიზნის მიღწევა,
ის ყველაფრისთვის მზად არი.

ხელსაყრელ მომენტს უცადა,
რომ აეცდინა სხვა თვალი
და ერთხელ ,როცა გორს იქით
ხარს დაეძებდა ბატალი,

შალვაც იქ გაჩნდა ანაზდად,
მას მხოლოდ ერთი რამ სურდა,
რომ ესაუბრა იმაზე,
რაც გულზე აწვა მარწუხად.

ბატალმა ის შორიდანვე
შენიშნა მისკენ მავალი,
თითქოს შემთხვევით წააწყდა,
იმგვარად უთხრა სალამი.

ყმაწვილმა სალამს ზრდილობით,
მთაში წესია როგორაც,
უპასუხა და დაიწყო,
თავისი ამბის მოყოლა:

შალვა:

,,ვიცი, არა ვარ მართალი,
ამას რომ ვამბობ, სწორედ რომ,
მაგრამ რაღა არ ვეცადე,
თქვენი გული რომ მომეგო.

სხვა არის ჩემი შემთხვევა,
არ ძალმიძს არვის მონება,
ადათის დაცვის გულისთვის,
ვერ დავიღუპავ ცხოვრებას.

რისთვის ვუცადო სხვის სურვილს,
ან რაღად მქონდეს შავი დღე,
ისე ვარ გამწარებული,
რომ ყველა ცოდვას ჩავიდენ.“

ბატალი:

,,მე მესმის, ახალგაზრდა ხარ
და ბრმაა შენი სწრაფვები,
ვერ გაგამართლებ, ღირსებას
პატივს თუ არ სცემ, წახდები!

თან გინდა, რომ ინგუშებთან
გქონდეს სიკეთე, მოყვრობა,
თან კიდევ მათ წესს და ადათს
ასე აგდებით ეპყრობი.

უფროსთან იმის მოყოლა,
რისიც სჯობს გულში დამალვა,
უმცროსისათვის ნაკლია,
ამის არცოდნა არ ვარგა.

შენ თვითონ ცუდად იქცევი,
ხარ ყველაფერზე წამსვლელი
და ძლიერ უცნაურია,
ჩემგან პასუხად რას ელი?“

,,მოხუცო, შენ გაქვს უფლება,
რომ დამიწუნო მოქცევა,
მაგრამ ქისტეთის მხარეში
თუკი რამ ცუდი მოხდება,

შენი ვალია აღკვეთო,
მე კი სიკეთის მხარეს ვარ
და ამ სიკეთით ვაპირებ,
ჩაკეტილ კარის გაღებას.“

ბატალი:

,,ჩანს, რომ უხეშად ეცადე,
დარაზულ გულთა დალახვას,
ასე ჯიქური მიწოლით,
ყმაწვილო, შენ ფონს ვერ გახვალ!“

შალვა:

,, ბატალ, ულმობლად მექცევი,
 მაგ სიჯიუტით რა დაგრჩა?
 იქნებ გვეცადა კამათის,
 მშვიდობიანად გადაჭრა.

ვიცი, სხვას ვერ შევიყვარებ ,
არ მინდა შარი წყეული,
 ვცდილობ, როგორმე მოგილბო,
სიკეთისაკენ ეგ გული“.

ბატალი:

,,შენი სიტყვები ღიმილს მგვრის,
ვერ გაგახარებ შექებით,
ეგ არ მოხდება არასდროს,
სიძე რომ გახდე შენ ჩემი.

გაგონებაც კი არ მინდა
მე ამის! არ ვართ ბალღები!
იმედია, რომ გადმოგცა
ზურაბმა დანაბარები!“.

შალვა:

,, კი, მითხრა მან ყველაფერი
და გამომლანძღა რატომღაც,
მაგრამ მე ეს არ მაშინებს
და არ ვაპირებ დათმობას!

სიძე გავხდები თუ არა,
კამათი არ მაქვს ამაზე,
არ მინდა მოხდეს ცუდი რამ
და მერე ტვირთად დამაწვეს.

აქ შენი ალღო გადაწყვეტს,
კეთილ გზას მოგვცემ თუ ბოროტს,
დაე, სირცხვილი ვიგემო,
ცეცხლს მიმცეს თემმა, თუნდ ბოლოს,

ამ სიყვარულის გულისთვის,
ვიცი, რომ ტანჯვაც მერგება,
მაინც შევირთავ ესიტას,
არ დავთმობ ბედნიერებას!“

ბატალი:

,,ერთი უყურეთ, ძაღლის ლეკვს,
მუქარაც რომ გამიბედა:
ვეღარ გახვიდე ცოცხალი,
ამ ხეობიდან იქნება!

გაფრთხილებ, ჭკუით იყავი,
არ აუტეხო თავს შარი,
თუ ფეხი ჩადგი ცოდვაში,
ვეღარაფერი გიშველის.

სჯობს, თავი რომ დაგვანებო ,
არ ღირს აყოლა სურვილთა,
ჩვენც დავწყნარდებით და შენც თავს
არ დაიღუპავ ტყუილად!“

შალვა:

,, კარგი, მოხუცო, გავიგე,
შენი სათქმელი რაც არი,
არ დამრჩა სხვისი იმედი
და ჩემ გზას თვითონ მოვძებნი“.

ბატალი რისხვას მალავდა,
თან ფერი ედო ნაცრისა,
სევდიანი და ნაწყენი,
შალვა საჩქაროდ გასცილდა.

XIII

საბოლოოდ რომ დარწმუნდა,
ვერ მიიღებდა თანხმობას,
დაფიქრდა, აწონ-დაწონა,
გამოსავალი რა ჰქონდა

და გადაწყვიტა ეს შალვამ,
არ ეთათბირა კაცებთან,
ხელსაყრელი დრო ენახა
ესიტას მოსატაცებლად.

თან დაუმალა ეს ფიქრი,
სუყველას - შინაც, გარეთაც,
თავი იმგვარად ეჭირა,
თითქოს დარდს არ იკარებდა.

დაე, იფიქრონ სოფელში,
რომ შეურიგდა მწარე ბედს
და რომ უიღბლო სიყვარულს
მან მიუხურა კარები.

სამშობლოში რომ დაბრუნდა,
მეგობრებს უხმო მან წამში,
შეიარაღდნენ ყველანი
და კვლავ დაბრუნდნენ ბალთაში.

იქვე ჩასაფრდნენ , ტყის პირას
და დაელოდნენ ესიტას,
თან მის სახლს უთვალთვალებდნენ,
ავი გუმანით, ეჭვითა.

ოთხი დღე დაჰყვეს ლოდინში,
კარგადაც გადაიღალნენ,
და, აი, ისიც გამოჩნდა,
ვისთვისაც იქ დაიღამეს.

მიუყვებოდა ესიტა,
ბილიკს გორაკის იქითა,
აზრად არ ჰქონდა ქალიშვილს,
რა მოხდებოდა იმის თავს .

ცხვრის ფარა ძოვდა მთის ძირში,
მთელი დღის გადაქანცული,
ჩრდილში კი იწვა ქოფაკი,
ზარმაცად ძილში წასული.

საუბედუროდ თავისა,
ესიტა მიიჩქაროდა,
მზის გადასვლამდე ფიქრობდა,
ცხვრის გადარეკვას წყაროსთან.

უეცრად მას თავს დაესხნენ,
ჩასაფრებული ვაჟები
და გაიტაცეს ერთ წამში
მათ მხვერპლი თავის მხარეში.

მთაზე გადავლა არჩიეს,
მდევრისთვის კვალის არევა,
ხევში ერთ დღეში ჩავიდნენ,
გადაქცეულნი მძარცველად.

იმ ადგილას კი ქისტეთში,
სადაც ხელთ იგდეს ნადავლი,
ერთ ცალ ფეხსაცმელს წააწყდნენ,
როგორც მოწმობას ამ ამბის.

ხალხმა საღამოს შეიტყო,
თუ რა შეემთხვა ესიტას,
ზურაბს მიადგნენ ყველანი,
მთელი სოფელი შეშინდა.

უნდოდათ, წვრილად გაეგოთ,
სინამდვილეში რა მოხდა,
მაგრამ მიხვდნენ, რომ ამ ოჯახს
მომხდარში ბრალი არ ჰქონდა.

მაშინ ბატალი გამოტყდა
და ნათესავებს გაანდო,
როგორ სასტიკად ეჩხუბა ,
მოხევეს ესიტას გამო.

XIV

ბატალის სახლში გლოვაა,
დალი ტირის და თავს წყევლის,
მას აბრალებენ რაც მოხდა -
ოჯახის სახელს, შერცხვენილს.

უჭირს მას ამის მოთმენა
და იტანჯება ის სულით,
სიკვდილის მონატრულია,
 სასოწარკვეთად მისული.

წყევლის ესიტას გაჩენას,
რომ უღალატა თავის გზას
და მწარე სასჯელს უქადის ,
 რაკი სახლიდან გაიქცა.

ამ დროს კი ხმები დაირხა
ხევიდან ბალთის ბოლომდე,
რომ ცოლად გაჰყვა ესიტა
შალვას და ერთად ცხოვრობენ.

ეს ცნობა ისევ მოედო,
ოდნავ მინავლულ კაეშანს,
ისევ დაძაბა სოფელი,
თითქოს ცეცხლს ნავთი დაესხა.

ბატალმა კვლავ საყვედური
შემოუთვალა ზურაბსა,
რომ ჩირქი მოსცხეს ამ საქმით
სოფელს , გვარსა და ოჯახსა.

მან კი შეკრიბა სოფელში
უხუცესები თემისა
და თქვა, რომ შალვას ამტყუვნებს,
მისი მტერია დღეიდან.

უარს აცხადებს რომ ჰქონდეს
ნათესაური კავშირი,
რადგან მის გამო შერცხვენილს
თავს ლაფის დასხმა არ შვენის.

ის დისშვილია ეთერის,
მაგრამ დღეს გაქრა ეს ნდობა,
მათ გვართან - თერგაურებთან
გაწყვიტა ურთიერთობა.

უხუცესებმა იმსჯელეს
და დაადგინეს პასუხად,
რომ მართლაც არავითარი
ბრალი არ ჰქონდა აქ ზურაბს.

მერაბს მოუხმო თავისთან
(მას თვლიდა ძმად და ახლობლად),
რომ გაჰყოლოდა მეგზურად,
ამაზე სთხოვა თანხმობა

და გადაწყვიტა დილიდან,
იქ წასულიყვნენ მგზავრები,
სადაც ცხოვრობდა მათი და,
ძმების არაფრად ჩამგდები.

იგი ფიქრობდა, ესიტას,
იმაში დაარწმუნებდა,
რომ მას მოხევის ცოლობა
უქადდა უბედურებას.

იგი ფიქრობდა, თავის დას
რომ შეასმენდა ვედრებას,
სახლს ასწავლიდა მერაბი,
მას ჩუმად შეახვედრებდა,

ის ხომ ზურაბის შვილია,
ეჭვიც არა აქვს დენალბექს,
მერაბი დაეხმარება
და მოუგვარებს ყველაფერს.

იქ ენდობიან, იცნობენ
ნათესავები მისივე,
მაგრამ მერაბმა არ იცის
თუ გაუმართლებს ის იმედს.

აი, გამოჩნდა სოფელი,
მოხევეების სამკვიდრო,
მთის კალთას შეკიდებული,
მტრის და მოყვარის დამხვედრი.

უზარაზარი ხეობა
ხელისგულივით გაშლილა,
როგორც ლაჟვარდთა ბეჭედი -
მთები უდგანან გარს მშვიდად.

ყველგან ზღაპრული სურნელი
იფრქვევა ქარის მღერისას,
ტყეთა ხავერდით მოსილნი
მხრით შესდგომიან მთები ცას.

ისეთი სილამაზეა -
არ მიწიერი , ციური,
თითქოს სამყაროს შემოქმედს
აქ უდგას ტახტი ღვთიური.

მალე მთებს ბინდი დაფარავს,
ჩაიმწუხრება ცისკარი,
ამ დროს მოადგნენ სოფლის თავს
კაცები მალვით, სიჩქარით.

შენიშნეს , გორაკის თავზე
სოფლისგან მოშორებული,
პატარა ეკლესია დგას ,
დანგრევის პირას მისული.

არა ჰყავს მრევლი, ეტყობა
ბზარშემდგარ კედლებს მოწყენილს,
ხანდახან მოაკითხავენ,
გულჯავრიანი მლოცველნი...

აქ შეეფარნენ ის ორნი,
მოცდა ეწადათ დილამდე,
 მათ ღმერთზე არც უფიქრიათ,
თავშესაფარი ინატრეს.

შახადს წარმოთქვამს დენალბექ,
(ვინძლო ცა იყოს გამგონი),
დიდხანს აგრძელებს ის ლოცვებს,
მუსულმანური კანონით.

ხოლო მერაბი ჯვარცმასთან,
პირჯვარს მხურვალედ იწერდა,
სიცოცხლეს და წარმატებას,
ლოცვით შესთხოვდა ქრისტეს ხატს.

წაიხემსეს და ჩათვლიმეს,
რომ მოეკრიბათ ძალები,
დილიდან საქმე მოესწროთ
და წასულიყვნენ სახლებში.

გამთენიისას ორივე
სოფელს მიადგა ხელახლა,
დღის შუქზე მათი სამყოფი
რომ ვინმეს არ დაენახა.

მაინც სიფრთხილე ირჩიეს
(აქ მათ სტუმრად არ ელიან),
დაბლობის ბილიკს დაადგნენ,
სხვა გზით გადასვლა ძნელია.

ნაკადულამდე ჩავლენ და
იქ აქვთ უსაფრთხო ადგილი,
შეძლებენ ლოდს მოეფარონ,
ხიფათს ასცილდნენ ადვილად.

გეგმის მიხედვით, მერაბი,
ესიტას სახლში გაგზავნა ,
მას უნდა ეუწყებინა,
რომ ძმას წყაროსთან ნახავდა

და დენალბექმა, ასევე ,
სთხოვა მას ,არ ვარ სტუმრადო,
არავინ წამოიყვანოს,
სჯობს იქ მოვიდეს სულ მარტო.

მერაბი თერგაურების,
ნათესავია იციან,
არავის ეჭვს არ გაუჩენს,
იქ გამოჩენა მისია.

წყაროსთან დიდხანს მღელვარედ
დენალბექ მიმოდიოდა,
იქ რომ ხაფანგი არ ელის,
ძუ მგელს აუხსნი იოლად.

აი, მოვიდა და ძმასთან,
აღარც ცოცხალი, არც მკვდარი,
თითქოს დღეს უნდა შეეხსნა,
ბედკრულს კარები სამარის.

შემოეგება დენალბექ,
ღიმილით- ფარისევლურით,
ესიტას ბნელი ფიქრებით
ღრღნის კაეშანი ველური...

ესიტა:

,,ძმაო, ძვირფასო, მშვიდობა,
შენს მოსვლას უცხო მხარეში!
მე არ ველოდი შეხვედრას
აქ მრისხანების გარეშე...“

დენალბექი:

,,მშვიდობას მე ვერ მოგიტან,
თუ შენ განზრახვა გაქვს მრუდი,
თუ არ დაშორდი მაგ ქართველს
და მალე შინ არ დაბრუნდი.

აქ ბევრი მიეთ-მოეთი,
ვფიქრობ, არ არის სწორია,
სახლში მიგიყვან და მერე
ვილაპარაკოთ ჯობია.“

ესიტა:

,, მე გზა აღარ მაქვს შინისკენ,
უკვე ცოლი ვარ ამ კაცის...“

დენალბექი:

,,თავს რომ დაგეცეს ქვეყანა,
ქმრეულთა მთელი ჯალაფი,
დღესვე რომ ტყვია მესროლონ,
აქ არ დაგტოვებ არაფრით!

თავიც დაღუპე , ოჯახიც,
ამ გათხოვებით უაზროდ,
ყველა აბუჩად აგვიგდე,
ძმები რომ გყავდა თუ გახსოვს?!

გვარს თავზე ლაფი დაასხი,
ხალხში თავს ვერ ვყოფთ დღეს ჩვენა,
რად არ დაგვხოცე წინდაწინ,
სირცხვილით სიკვდილს გვერჩივნა.“

ესიტა:

,,ალაჰსა ვფიცავ, დენალბექ,
ვისიც მე ისევ ისე მწამს,
აქ მე ნებით არ მოვსულვარ
და არ დავიწყებ მტკიცებას,

აზრადაც არა მქონია,
ისე გავები მახეში
და შევეგუე მე ჩემს ხვედრს,
არც უფლის ნებას არ ვერჩი.

ძალით გამთოკეს მე იმ დღეს,
სულ სამნი იყვნენ, ვხედავდი
და ცხენზე ისე დამაკრეს,
რომ ვეღარ გავხდი ვერაფერს!

მდევარს რომ არ დავენახეთ,
მთებზე ვიხოხეთ წვალებით,
კლდეებზე ხრამებს ვეკიდეთ,
ძლივს რომ სწვდებოდა თვალები.

ახლა კი , ძმაო, არ ვჩივი,
არც ბედს არ ვეტყვი სამდურავს,
სხვისი ოჯახის წევრი ვარ,
ამას კამათი რად უნდა?!

ეს მერგო, რომ გავუწიო
ქმარს ღირსეული ცოლობა,
ეს არის ნება ალაჰის
და აღარ უნდა ცილობა.

ერთი რამე კი მაწუხებს,
დედაზე ვტირი დღედაღამ,
საბრალო, როგორ დავტანჯე,
ვერ მაპატიებს, მე ამას!“

დენალბექი:

,, კარგია, დედა თუ გახსოვს,
ის მაინც თუ გედარდება,
ჩვენ რომ ფეხებზე გკიდივართ,
არ უნდა ძნელი გაგება.

ან როგორ წარმოიდგინე,
ბედნიერება ამგვარი?
რომ მოიკვეთე სუყველა ,
დედა, სამშობლო და გვარი?!

სირცხვილის გზაზე შეგვყარე,
მაგ უსირცხვილო წადილით
და მიაფურთხე ყველაფერს,
რა წმინდაა და ნამდვილი.

ნუთუ გეყოფა სინდისი
და თავხედობა უღირსი,
ყველას ტანჯვისთვის გვიმეტებ,
ვიღაც ქართველის გულისთვის?!“

ესიტა:

,,ძმაო, თქვი, რა საჭიროა
ახლა ეგ მოთქმა - ვაება,
უკვე დასრულდა ეს საქმე
და ტყუილია წვალება.

აღსრულდა ნება ღმერთისა
და ამ გზას უნდა გავუყვე,
თუნდ იყოს შალვა ცოდვილი,
აღარ არსებობს სხვა უკვე.

ახლა სულ სხვა ვარ, დამთავრდა!
სულ სხვა ვიყავი ოდისმე,
მე უკვე თქვენთვის უცხო ვარ
და შეგუება მოგიწევთ“.

დენალბექი:

,,ნუთუ, ქვა გიდევს შენ მკერდში,
ქვის გულს- წინ ენა უსწრებდა,
დასრულდა!! ჩემი ხანჯალი
აგჩეხავს აქ ნაკუწებად.

ყველანი ცოცხლად დაგვმარხე,
მზეს როგორ უნდა ხვდებოდე?
უფლება არ გაქვს იცოცხლო
და ჩემს დად რომ ითვლებოდე“.

,, ღმერთო, შემინდე!“ - შესძახა,
ფიქრს მოასწრებდი, თვალს ვერა!
ხანჯალმა , გადმოქნეულმა,
ესიტას მკერდი დასერა.

XV

ბალთა კი უკვე დააფრთხო
უბედურებამ მომხდარმა,
მერაბმა ყველას უამბო,
ესიტა როგორ მოკლა ძმამ.

ეს ყველაფერი გაიგეს,
ინალუკმა და ბატალმაც,
დედა კი გადარეული
მოსთქვამს და ტანჯვით გათავდა.

ბატალი წელში მოხრილა,
პირქუშად დგანან კაცები,
მიწისფერი აქვს სუყველას,
ხმას აღარ იღებს არცერთი.

დედას სიმართლე არ უთხრეს,
არ იცის, მის თავს რაც არი,
ისედაც მოთქმას არა წყვეტს,
ისეც დარდი აქვს საკმარი.

მას მოატყუეს, ესიტა,
ოჯახს გულგრილად განუდგა,
ამას დარდობენ თითქოსდა,
ხოლო მთავარი არ უთქვამთ.

დალი ამტყუვნებს ესიტას,
მაგრამ მზად არის, შეუნდოს,
ოღონდაც სახლში დაბრუნდეს,
საკუთარ ოჯახს არ უმტროს.

ხალხშიც კი აღარ გამოდის,
ყველა დღეს ლოცვით აღამებს,
ლანდსა და მოჩვენებას ჰგავს ,
ფიქრებმა ისე დაღალეს.

შალვა უსასოდ მგლოვარე,
მომავალს ვეღარ იწამებს,
მას აღარ უნდა სიცოცხლე
ამ შეშლილ დედამიწაზე.

მარტო ის უნდა ყოველწამს,
ესიტას საფლავს ხედავდეს,
სჯერა, რომ მალე იქ წავა,
რომ დაასრულებს ერთ საქმეს.

მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი,
რომ მკვლელზე შური იძიოს,
მერე თვითონაც კაცურად,
ღირსეულ სიკვდილს ეწიოს.

მან დაიფიცა ჯვრის ძალა,
ცოლის ცხედარი რომ ნახა,
რომ არ დაინდობს ამის მქნელს
და ჯოჯოხეთშიც მონახავს.

მთელი სოფელი შეკრიბა,
მოკრძალებული ქელეხით,
შალვამ ესიტა დამარხა
დარდისგან განახელებმა.

კაცი გაგზავნეს ჯეირახს
და მოლას სთხოვეს ნუგეში,
ოთხი დღე ელოდებოდა
ხალხი მის მოსვლას სოფელში.

მოხევურ სოფლის გადაღმა,
სასაფლაოსგან ზევითა,
ჩანს ბორცვი სევდით მზირალი ,
ვით მოწმე ბოროტებისა.

გულს კი, ეულს და მგლოვარეს,
გლეჯს მტანჯველ ფიქრთა სიმძიმე,
ის ცას მგელივით შეჰყმუის,
როცა სუყველა იძინებს.

ერთი კვირაა შალვასთვის,
მთელი სამყარო დაბნელდა,
დილას წამოდგა შლეგივით,
სურს მკვლელის სისხლის აღება.

თოფი მოძებნა - მშველელად,
და ძმადნაფიცი- ხანჯალი,
დროა დასცადონ ტყვიებმა
ტკივილი - მისი აბჯარი.

როგორც კი შემომგლისფერდა,
ბილიკს დაადგა მერანი,
ჯერ ისევ თვლემდა სოფელი,
თვალს ვერ ჰკიდებდა ვერავინ.

ის ფიქრობს, მთათა წვერები,
გადაიაროს მალულად,
სოფელს შორი გზით მოუვლის,
ვინმემ რომ ნახოს, არ უნდა.

გზად ცივი გამოქვაბული
შეხვდება, იმედს ინახავს,
ღამეს გაათევს დაცული -
მტარვალი მტაცებლისაგან.

და მეგობრობას გაუწევს,
ვიწრო კლდიანი ხეობა,
რომ არ დაკარგოს სადმე გზა,
ჰქონდეს იმედი, მხნეობა.

აი, გავიდა ორი დღე,
მზემ გააწითლა ცისკარი,
უკვე არ არის ბალთა შორს,
უკვე ახლოა მიზანი.

ამ დროს ყვავილი შენიშნა
ქვაზე, ვით ელდა უცები,
ყელში მოაწვა ცრემლები
და აუთრთოლდა ტუჩები.

იას შეჰყურებს, ვით გულზე
სისხლმდინარ ღია იარებს,
დამხობილია მუხლებზე ,
ტირის კი არა, ღრიალებს.

მერე უწვება გვერდით და
ისეთ სინაზით ივსება,
თითქოს ცოლს ესაუბრება,
თითქოს მას ეალერსება.

თითს უსვამს ფოთოლს, თითქოსდა,
უნდა შთაბეროს მას სული.
ისე რომ არ დაზიანდეს,
დიდი სიფრთხილით და ზრუნვით.

შემდეგ კვლავ დგება მუხლებზე,
თვალს არ აცილებს მის ღეროს
და გულსაკლავად, ხმადაბლა
ცდილობს რაიმე იმღეროს.

შალვას
მეორე სიმღერა:

,,აი, კვლავ შეგხვდი, იაო,
დაღლილი ამ ხეტიალით,
ისევ ანათებ გარემოს
მაგ ლურჯი კაბის ციალით.

ყველას ატყვევებ ღიმილით
და ატკბობ შენი მზერითა,
ჩემთან კი არ გსურს შეხვედრა,
გული გატკინე მე რითა?!

იქნებ აღარ გსურს სიტყვები,
მუდარით სავსე, მკვნესარი,
იქნება მაშინ განგებამ,
ცუდ დროს შეგვყარა ჩვენ სამნი.

იქნებ გსურს მითხრა ხმამაღლა,
რომ ეს ღმერთისგან აღსრულდა,
მკაცრი და სამართლიანი
გვიცავს, გვაშორებს ავსულთა.

მაშ თუ ასეა, ლურჯთვალავ,
შვებას რატომ ვერ ვეღირსე,
რად მეფობს ბნელი ნათელზე,
ბოროტი მძლავრობს კეთილზე?!

ერთურთს ხოცავენ რწმენისთვის,
ნამდვილს ამარცხებს მირაჟი,
რა დააშავა ესიტამ,
უდროოდ რომ წევს მიწაში?!“

დუმს ია...არ აქვს პასუხი!
ამ გამოცანას მისტირის:
დიად სიყვარულს თან რად სდევს,
გარდაუვალი სიკვდილი.

ის ღამე იქ გაათენა,
იასთან მიწვა უღონოდ,
სიზმრად კი ცოლს ეხვეოდა,
თავდავიწყებით, უგონოდ.

***

ბალთის თავს ღრუბლის ქულები
ცხვრის ფარასავით ჰფენია,
მათი ჩრდილები მიწიდან,
ზაფხულის სიცხეს დევნიან.

ნისლებად შეიკვრებიან,
მზის ქობას წამოისხამენ,
ხან ერთდებიან დიდ გუნდად,
ხან თამაშობენ ცის თაღზე.

***

ნაცნობ კლდეებში ჩასაფრდა,
მოსისხლე აღარ ახანებს,
სურს დაასრულოს ეს საქმე
და გაეცალოს ამ მხარეს.

დაბლა ჩანს ნაკადულები,
ჩამომდინარი წყაროდან,
ამ დროს კი წყალზე მწყურვალი,
უმწყემსო ფარა ჩამოდგა.

მწყემსად ჩანს იმ სოფლის მკვიდრი,
მუნჯი ბიჭუნა - ქართველი,
დედა ახლახან მოუკვდა,
ვანოა მამის სახელი.

ფარა წაროსთან მირეკა,
ხშირად ჩამოჰყავს ის აქეთ,
შიმშილით შეწუხებული,
თვითონ გაიქცა ტყისაკენ.

წყაროზე სოფლის სამყოფი
წყალი ყოველთვის გუბდება,
აქ ბევრი ხალხი ჩამოდის,
ხან ცალკე, ხანაც ჯგუფებად

და სხვებთან ერთად ყოველთვის,
ბატალის ვაჟებს შეხვდებით,
მათ ხშირად მოჰყავთ წყაროზე,
წყლის დასალევად ცხენები.

კლდის ქიმებს მოფარებული,
მათ უთვალთვალებს დღეს შალვა,
ხელისგულივით ჩანს წყარო,
ბატალის ეზო, ტყე, შარა.

იცის მან ეს ადგილები,
ბავშვობა აქ გაატარა
და არის დარწმუნებული ,
რომ მტრის დღეები გათავდა.

ამ დროს გაწვიმდა და ყველა,
მიმოიფანტა იმ წამში,
ეფარებიან შენობებს,
რომ არ დასველდნენ წვიმაში.

კლდის თავზე ქვები ეწყო და
წვეთიც არ ჩამოდიოდა,
იქ შეძვრა შალვა მოქნილად,
თავსხმას გადარჩა იოლად.

რომ გამოვიდა, წყაროზე
არ ჩანდა ძე-ხორციელი,
ბუჩქზე კი ნამი ბრწყინავდა,
ვით მარგალიტის მძივები.

მაგრამ უეცრად...ო, ღმერთო!!
აი, წყალობა ზეცისა!
წყაროსკენ გზად მომავალი,
შალვამ მოსისხლე შენიშნა.

თან ცხენი მოჰყავს დენალბექს,
ფაფარზე ეალერსება,
გზად შემხვედრ თავის მეზობელს,
დაემშვიდობა მესერთან.

ნელნელა მოდის, თითქოს სურს
გახანგრძლივება ცხოვრების,
თან დაუდევრად აბიჯებს,
იტყვი - მოსწყინდა ყოველი.

აი, მოვიდა წყალზე და
ცხენს შუბლზე უსვამს ისევ ხელს,
უეცრად.... შალვას ხირიმმა
მეხის ხმასავით იჭექა!

მალე გავრცელდა სოფელში
უბედურების ამბავი,
დენალბექ მოკლეს წყაროსთან,
შურს იძიებდა ალბათ ის.

ტყე- ღრეში მის დასაჭერად,
მთელი სოფელი გავიდა,
მაგრამ ამაოდ ეძებეს,
უკვალოდ გაქრა ბალთიდან.

მთით გადავიდა შალვა შინ,
სიბნელემ გადაარჩინა,
იქნებ კი სხვა გზით წასვლა და
ხიფათთან შეყრა ერჩივნა.

სახლში არ უნდა მას მისვლა,
მისი ცხოვრება შხამია,
რაღაცას ეძებს უაზროდ,
თითქოს სიკვდილი სწადია.

ნელნელა უფსკრულს მიადგა -
ღრმა ფრიალოებს, ქედდახრილს,
ქვემოდან თერგი ღრიალებს
და მას თავისკენ ეძახის.

შალვა ფეხს ქვისკენ აცურებს,
ლოდები თეთრად ანათებს,
უეცრად ხედავს წყვდიადში,
ია დამჭკნარა ქარაფზე.

,,მორჩა, დამთავრდა, შენც მოკვდი!
ჩემი სიცოცხლის სამიზნევ,
ახლა კი დროა ნამდვილად,
მეც ესიტასთან წავიდე.“

მკვეთრად წამოდგა ...შეირხა,
გრძნობა წაერთვა მას წუთში,
ერთი კი წაიბორძიკა
და ჩაიკარგა უფსკრულში.

ეპილოგი

მთები ქედებად შეკრულან,
იერი დაჰკრავთ პირქუში,
ქაფქაფა ტალღას მდინარის,
სიცოცხლე მიაქვს ვით წუთი

და ბრწყინავს ასწლეულებში,
აქ დარიალის მშვენება,
ზოგჯერ კი ხდება, მას შავი,
ბინდის საფარი ედება.

თერგი კი ისევ ავია,
გამვლელი მრავალ წლებისა,
თუმცა კი ის რაინდია,
დამწყვეტი ბორკილებისა.

ლოდებს აწყდება ის დღესაც
და ახლაც არის მრისხანე,
მაგრამ ბალთასთან წყნარდება,
ბევრ საწყენ სიტყვას იხსენებს

და თითქოს თერგის კვალდაკვალ,
სულ ტირილის ხმა ისმისა,
თითქოს თან დასდევს სულ წყევლა,
მას მშობლიური მიწისა.

შურისძიება

(პოემა)*

ეს არის ნამდვილი ,,ინგუშური“ შურისძიება - პირქუში, მკაცრი, სამართლიანი და, ამავდროულად, კეთილშობილი(ეძღვნებაინგუშიხალხისგამორჩეულ შვილს, ინგუშეთის სახელმწიფოებრიობის პირველ ხელმძღვანელს - იდრის ზიაზიკოვს*). მარადიული ხსოვნა ინგუშეთის ყველა პატრიოტს!

,,და ცხოვრობს იდრის ზიაზიკოვი დიდხანს და ჯანმრთელად! დე, არ გაუჩნდეთ ინგუშებს მეორე ასეთი ვაჟი!“- ხშირად წარმოთქმული სადღეგრძელო ინგუშეთის არაკეთილმოსურნეების მიერ XX საუკუნის 20-იან წლებში

,,ძალაუფლება - ფერფლია,
სახელი - მარადიული!“

---

* პოემას საფუძვლად დაედო ისტორიული ფაქტი, რომელიც ინგუშებსა და ხევსურებს შორის 1920 წელს რეალურად მოხდა. ამ დროს ინგუშეთის ავტონომიურ ოლქს იდრის ბაისულთანის ძე ზიაზიკოვი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ შემთხვევამ გადაწყვიტა ინგუშეთის მგზნებარე პატრიოტისა და ეროვნული გმირის ტრაგიკული ბედი.

*იდრის ზიაზიკოვი - ინგუშეთის ავტონომიური ოლქის პირველი ხელმძღვანელი. მან 1929 წელს სსრკ-ს ხელისუფლებას შეაცვლევინა დადგენილება ვლადიკავკაზის სამხრეთ ოსეთისათვის გადაცემის თაობაზე და შეძლო ამ ქალაქისათვის ინგუშეთის დედაქალაქის სტატუსის შენარჩუნება. თუმცა სტალინმა 1933 წელს ეს ჩანაფიქრი მაინც განახორციელა. 1930 წელს ინგუშეთის მთავრობა ,,გაწმინდეს“ ,,პრინციპული“ და ,,შეუვალი“ კადრებისგან და იდრის ზიაზიკოვიც რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ქალაქს, მთის ძირში მიმალულს-
კვამლი ედება ბურუსად,
თერგი კი კვნესის და დრტვინავს,
სიმშვიდეს ეძებს სულ მუდამ.
დღე ნაღვლიანად იწყება,
ცა დაუფარავს მრუმე ნისლს,
კაცის თვალს თითქოს ნაღველს ჰგვრის
და შურისგებას მოელის.

***

კარგია ვლადიკავკაზი,
განთქმული თავის მშვენებით,
მაგრამ, ამაზე არ ვყვები,
სხვა რამ მაქვს დღეს საჩვენები.
ინგუშთა ხელისუფალნი,
საქმეს აქედან მართავენ,
მთავარ პროსპექტზე რუხ სახლში
უპყრიათ ყველა სადავე.
სწორედ აქ, ამ შენობაში,
დგას ფანჯარასთან იდრისი,
ხოლო კაბინეტს ბოლოში,
ამშვენებს ფოტო ილიჩის.
არ სიამოვნებს დღეს იდრისს,
რომ რაღაც ისე არ ხდება,
ჩინოვნიკებმა ტიფლისში
არ აღიარეს წაგება.
მათგან ითხოვდა : ,,აღკვეთეთ,
ნაძირალების თარეში“,
მიმართა ,როგორც მეგობრებს,
ზედმეტ სიტყვების გარეშე.

მაგრამ პასუხად მიიღო
თავისმართლება მარტოდენ,
არადა მათი ვალია,
რომ ხელისუფლად ვარგოდენ:
,, ხევსურებს ჩვენ ვერ მოვთოკავთ,
ველურებია მთლიანად,
მთავრობას არად აგდებენ,
ბრბო არის, ხალხი კი არა.“
აი, ეს უთხრეს პასუხად
და განზე გადგნენ წინასწარ,
როცა იდრისმა მთავრობას,
ჯანსაღი თხოვნით მიმართა.
რომ დაერეკა ტიფლისში,
საბაბი გაჩნდა იმისი,
იმდენად მოულოდნელად,
რომ გააოცა იდრისი.

I. მაცნე

დაღვრემილი და მწუხარე
მხედარი მიქრის აღმართზე,
კაეშნით შეპყრობილია,
ვერაფერს ხედავს ამ ღამეს.

ბნელი წყვდიადით მოცულნი,
მდუმარე ლოცვით სავსენი,
თითქოს სხვა ხიფათს უფრთხიან,
ჩამოჰყურებენ მას მთები.

ცის კაბადონზე ვარსკვლავებს,
აკრთობთ სიჩუმე მზაფრავი,
თითქოს სურთ გულში ჩაიკლან,
უბედურების ამბავი.

როგორც ისარი, გადუფრენს
ცხენი ციცაბოს ანაზდად,
მგზავრი იჩქარის მთის გავლით
ვლადიკავკაზში გადასვლას.

იქ ეგულება მთავრობა
საქმის გადაჭრის მსურველი,
ვინც მთიელების ყოფაზე
არის მოფიქრალ -მზრუნველი.

მათ მიაკითხავს დილიდან,
სამსახურში რომ გამოვლენ
და მოუყვება გასაჭირს -
თავის ხმას მათ გააგონებს.

როგორ დაესხნენ ხევსურნი
 სოფელს, გაძარცვეს თავხედად,
ბოროტმა ავაზაკებმა,
მოასწრეს უკან გაქცევაც.

თან გაიყოლეს ნახირი,
მდელოზე რომ ბალახობდა,
ის იქ სოფელმა დატოვა,
დილამდე ძოვდა ახოსთან.

სხვა დროსაც ბევრჯერ ყოფილა,
თავს დასცემიან ავსულნი,
მაგრამ შეიპყრეს სუყველა
და აგებინეს პასუხი.

ახლა კი ასე არ მოხდა,
მათ გაუმართლა იღბალმა,
პირუტყვი იმ დროს წაასხეს,
იქ არვინ იყო იმხანად.

საქმეზე იყვნენ გასულნი,
არ ჩანდნენ სოფლის კაცები,
თავდასხმა თუ მოხდებოდა,
არ მოელოდა არცერთი.

ალბათ ხარობენ წყეულნი,
ფიქრობენ შერჩათ ნადავლი,
მაგრამ მათ პასუხს მოსთხოვენ,
არ შეარჩენენ არაფრით.

თავს რომ დაგვესხა, იმ ხევსურს
სახელად თენგიზს ეტყვიან,
,,მიიღებ შენ გიაურო,
ამისთვის შუბლში ერთ ტყვიას.

გველივით შემოაპარე,
სოფელში ბანდა თავისი,
ვფიცავთ, მოგიწევს სასჯელი,
ეტყობა შენ ჯერ არ იცი.

შურს უსათუოდ ვიძიებთ,
არ გეყოლება ქომაგი,
თუმცა კი ყმუი, ვერ მგელობ,
ხარ გაიძვერა ქოფაკი.

აი, დღეს ჩავალ ბუროში*,
იქ გადაწყდება ყოველი,
სულ მალე ხაფანგს დაგიგებთ,
დანდობას ნუღარ მოელი.

ბევრ ბრიყვს ვუგრიხეთ კისერი,
ჩვენს მთებში ძრომა-მალვისას,
ბევრს დავუკარგეთ სურვილი,
ყაჩაღობის და პარვისა.''

მუდამ ჭირისგან მშფოთვარე,
აღსავსე შურისძიებით,
მიჰქრის მთიელი ბილიკზე,
აქვს დახმარების იმედი.

ქალაქს კი ჯერ ისევ სძინავს
და შვენის ღამის ვუალი,
არ ჩქარობს გამოღვიძებას,
გარჩევას მართალ-მტყუანის.

გზად მხოლოდ ერთი ჩიტუნა,
ბინდ-ბუნდში უსტვენს თავნება
და მაცნეს ანცი ბავშვივით,
სიმღერით ეხმიანება.

II . ქალაქში

ქალაქი ნისლში ფუსფუსებს,
საქმეზე ეშურებიან,
ზოგი ტრამვაის აწყდება,
ნამძინარევი ხმები აქვთ.

ვიღაც ცენტრისკენ ჩქარ-ჩქარა
მიდის, არ ამჩნევს არავის,
ზოგი კი, გამალებული,
სამოკლოდ პარკზე გადარბის.

სხვა მიჩანჩალებს ბაზარში,
რომ დაიკავოს ადგილი,
ზოგს კი ურემზე უწყვია
სავაჭრო და გასაყიდი.

იქვე თვალს მოჰკრავ ფაეტონს,
რომ ჩაგიქროლებს ვით ელვა,
ოღონდ არ დააგვიანოს -
რაც წინ შეხვდება, გათელავს.

ავტომობილიც მხეცივით
ღმუის, აყრუებს ეზოებს
და დაატარებს გაბღენძილ,
ბრიყვულად მზირალ პერსონებს.

მილები კვამლს ახრჩოლებენ,
ცა თითქოს გადამწვარია,
ფეხად დაჰყვება საქმე ხალხს -
სახელად პროლეტარიატს.

ზოგი იცინის, ბედნიერს
ჩანს ღამე ჰქონდა ვნებისა,
ზოგი კი ცხარე ცრემლებს ღვრის,
ჩანს მომდურავი ბედისა.

მაცნეს კი დაღლილს, დაღვრემილს
მზერა ჩაუქრეს დარდებმა,
იმედს არ ჰკარგავს, რომ მალე
მთების ალერსით დათვრება.

III. ხელისუფალთა ,,ბუნაგში”

მან დაიცადა ცოტა ხანს,
 ქალაქს მოადგა მალე მზე
და ფრთხილად დააკაკუნა
ხელისუფალთა კარებზე.

ზანტი ჭრიალით გაიხსნა
კარი და მაცნე შევიდა,
მას თვალწინ გადაეშალა,
ჩინოვნიკების მთელი გზა.

ზოგი ჩანს გაბრაზებული,
სხვა პირქუშია შორიდან,
ვიღაცა კიდეც უღიმის,
თითქოს აქ სტუმრად მოვიდა.

უფროსებია სუყველგან,
ტყავით მოსილა ნაწილი,
ზოგს ნახავთ ძველი ბეშმეტით,
ზოგს - ჩერქეზული გაზირით.

მაგრამ მაცნეს მათ ჩაცმისა,
ჩანს, ინტერესი სულ არ აქვს,
მისთვის მთავარი ის არის,
ეხმარებიან თუ არა.

შეაღებს მუხის მძიმე კარს,
აქ მას პირველად ხედავენ,
მოიბოდიშებს და ჰყვება
საკუთარ ამბავს მღელვარედ.

ჩანს, ძლიერ ბრაზობს მთიელი,
მოსული მწარე საჩივრით,
თითქოს სურს, ბრძოლით გათელოს
მტრის ქედმაღალი აჩრდილი.

მაგრამ ჩინოვნიკს ემჩნევა,
მისთვის მთავარი სარჩოა,
დუმს, აგდებულად, გულგრილად,
ჰგავს უგრძნობელი ბაშლოამს*.

---
*ბაშლოამი - მყინვარ ყაზბეგის ინგუშური სახელწოდება

,, არაფერია, რა ვუყოთ!
ეგებ არ მომცენ შენიშვნა,
ინგუშებია ყველანი,
იქნებ იდრისთან შემიშვან!“-

ეს გაიფიქრა მაცნემ და
ყური არ უგდო მის სახეს:
,,გთხოვთ, მოახსენეთ ეს იდრისს
და მასთან მეც დამიძახეთ!“

ამის გამგონე წამოდგა,
ის კაცი ანაჩქარები,
შევიდა თავის უფროსთან
და მიიხურა კარები.

ცოტა ხანში კი გამოჩნდა
და მაცნეც იქ მიიწვია,
რომ მოესმინა პირადად,
საქმე გაეგო მისია.

ჩანს იდრისს, ბაისოლტის ვაჟს,
ახარებს მისი დანახვა,
ისე გულთბილად მიიღო,
თითქოს ელოდა კარგახანს.

დაისაუბრეს საქმეზე
და გადაწყვიტეს ამგვარად,
დააბრუნებენ ნახირსაც
და იპოვიან მომპარავს.

გამოაცილა კარამდე,
იდრისმა მშვიდი ზრუნვითა
და ხელქვეითებს უბრძანა,
გამასპინძლება სტუმრისა.

თან შეუთვალა მთიელებს,
მოკითხვა , რჩევა ამგვარი:
არ აჰყვნენ შურისძიებას,
მაგრამ დაიცვან სახლ-კარი.

ხელისუფლება მათ ჭირში,
არ მიატოვებს არასდროს,
პირუტყვსაც დააბრუნებს და
ქურდებს მიაგებს სანაცვლოს.

IV. შეთანხმება

მაგიდას სამნი უსხედან-
 კაცები - მქონე სიბრძნისა,
განიხილავენ მიზეზებს,
რაც მთაში მოხდა, იმისა.

თავის კაცური ღირსებით,
ხალხში არიან საჩინო,
ძალაუფლების კიბეზე,
თუმც სხვადასხვა აქვთ მათ ჩინი.

მათ შორის არის ელმარზი*,
ვაჟკაცი ყველგან ნაქები,
სამოქალაქო ომებში,
აქვს მოხვეჭილი სახელი.

---

*ელმარზი - იგულისხმება ელმარზ ანდარკის ძე პარაგულგოვი, მე- 20 საუკუნის დასაწყისში ინგუშეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას სამოქალაქო ომისა და რევოლუციური მოვლენების აქტიური მონაწილე, ,,წითელი პარტიზანი“. სისხლიანი შურისძიების შედეგად იძულებული გახდა აბრეკი გამხდარიყო. ინგუშ ხალხში და თვით აბრეკთა შორის სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და სახელით.

უსმან შადიჟა - ნიაკანს*,
იქვე ნახავდით მათ გვერდით,
ასევე განთქმულ მეომარს
სიმამაცით და სიქველით.

,,ელმარზ, მე და შენ ერთმანეთს,
იმ დროდან ვიცნობთ, როცა მტერს
უბედურებით დევნილნი,
ვებრძოდი სულით - ხორცამდე,”-

ასე დაიწყო იდრისმა,
თავისი სიტყვის წარმოთქმა,
ის სათქმელს მტკიცედ, ხმადაბლა ,
პატივისცემით ამბობდა.

უფროსს უსმენდნენ კაცები
და თან მდუმარედ ელოდნენ,
რომ გაუმხელდა აქ მოსვლის
შეკრების მიზეზს მეგობრებს.

„მამაცები ხართ, ძლიერნი,
კეთილშობილი სისხლისა,
სამყარომ თქვენნაირები
ძალიან ცოტა იცისა.

და მაინც უბედურებამ,
მცდარ გზაზე გადაგიყვანათ,
კიდევ კარგი, რომ ბოლომდე
არ დაიღუპეთ იმხანად.

---

* უსმან შადიჟევი -მე- 20 საუკუნის დასაწყისში ინგუშეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას სამოქალაქო ომისა და რევოლუციური მოვლენების აქტიური მონაწილე, აბრეკი, იდრის ზიაზიკოვის თანამოაზრე და ელმარზ პარაგულგოვის მეგობარი.

ელმარზ, ზეციურ მსაჯულთან
შენ ხარ სუფთა და ნამდვილი!
ჩვენთვის ცნობილი აბრეკი,
მთავრობისთვის კი ბანდიტი.

სანამ მე მთავრობაში ვარ
ავის არ გქონდეს ფიქრები,
იცოდე, მუდამ დაგიცავ,
მუდამ შენ გვერდით ვიქნები“.

აბრეკი იდრისს უყურებს,
კმაყოფილია ამ თხრობით,
აშკარად მოსწონს ეს ხედვა
და ეს სურვილი დათმობის!

თან ელოდება ხელსაყრელ
დროს, თავის აზრის სათქმელად,
იმის, თუ რა ევალება,
რას გააკეთებს, რას ვერა!

,,იდრის, მე დაბნეული ვარ
და ვეჭვობ მეყოს მხნეობა,
არ ვიცი მართლა ასეა,
დღეს ჩემი მდგომარეობა?!

სამოქალაქო ომის* დროს,
ჩვენ ხომ ვიომეთ მხარდამხარ,
მერე კი გზები გაიყო,
ცხოვრება სხვას გვთხოვს ხანდახან!

---

* იგულისხმება მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში რევოლუციის შემდგომი სამოქალაქო ომი

შენ თითქმის ტახტზე ახვედი
და რატომ გამკვირვებოდა?
ტახტი ღირსეულს ეკუთვნის,
სხვაგვარად ვერც იქნებოდა.

ჩემგან კი რაც გამოვიდა,
ზენაარია გამგები,
სხვა არის ჩემი ცხოვრება
და ეს ნებაა განგების.

აბრეკი გავხდი, ბედი მცდის,
ვინაც მიმუხთლა, ვხოცავდი,
სულ შური უნდა ვიძიო,
სანამ ვიქნები ცოცხალი.

ასეა, ჩემი ხვედრია,
რაც სახლს და კერას დავშორდი,
ტყის ნადირივით სულ მალვა,
მოუსვენრობა და შფოთი.

სიმართლეს გეტყვი სისხლს ვიღებ,
როდესაც სხვა გზა არა მაქვს,
როდესაც ვხვდები ნამდვილად,
ბოროტის მოქმედ არაკაცს.

ამიტომაც ვარ მე მშვიდად
ყოველთვის ღმერთის წინაშე,
რომ მუდამ ვრჩები ვაჟკაცად,
სიბნელის მთრგუნავ სინათლედ“.

ფეხზე წამოდგა იდრისი,
ფანჯრისკენ ნელა წავიდა,
მერე მობრუნდა მკვეთრად და
კვლავ დაუბრუნდა მაგიდას:

,,სწორედ ამიტომ არა გსჯი,
როგორც ტოლს, გესაუბრები,
შურისძიებას არ გითვლი,
სასჯელის ღირსად სრულებით.

თუმცა გვერდს ვუვლი მე ამით
ჩემს მთავარ მოვალეობას,
არ მიმაჩნია ამისთვის,
შენი დაღუპვა მე სწორად.

კაცი ხარ! ეს კარგად ვიცი
და არ ღალატობ ღირსებას ,
გიჯობს, რომ დაგწვან კოცონზე,
თუკი საჭირო იქნება.

ჰოდა, მინდა რომ მოგანდო,
შენ ერთი საქმე პირადად,
დიდი იმედი მექნება,
რომ შეასრულებ პირნათლად.

მთიდან ახლახან დავბრუნდი,
მშვიდობა იყო ყოველმხრივ,
მაგრამ ამ წუთას გავიგე,
რომ გაუძარცვავთ სოფელი.

დრო შეარჩიეს ისეთი,
შეძლეს გაპარვა მალულად,
შუადღის ხანზე დაესხნენ,
მათ ხევსურები მზაკვრულად.

გარეკეს სოფლის პირუტყვი,
სხვაც გაიყოლეს ნაძარცვი ,
ასეთი თავგასულობა,
არის სათმენი სადამდი?!“.

აბრეკებს რისხვა მოაწვათ,
უსმანსაც გაჰკვირვებია:
,, - კი, მაგრამ ხალხი სად იყო?
იქ ხომ აული ბევრია?!“

,, უბედურებაც ეგ არის,
რომ არვინ იყო აულში,
საქმეზე იყო სუყველა,
ძროხაც უმწყემსოდ გავუშვით.

ვერ იფიქრებდა ვერავინ,
თუ გაბედავდნენ ასეთ რისკს,
რომ დღისით მოსულ ხევსურებს
არ დავხვდებოდით არცერთი.

გავბრიყვდით და დავიჯერეთ,
რომ მტერი თოფს არ გვიმიზნებს,
თითქოს დამყარდა მშვიდობა
და მოვადუნეთ სიფხიზლე.

ეს ხომ შეურაცხყოფაა,
განა ძარცვაა მარტოდენ,
ისე ვანანოთ თავდამსხმელს,
ჩვენგან დანდობას ნატრობდნენ“.

იდრისმა სტუმარს უმზირა
და წამით თითქოს შეყოვნდა,
მერე წამოდგა ნელნელა,
სახეზე ეჭვი არ ჰქონდა.

კაცებს ეტყობათ საომრად,
არიან უკვე წამსვლელნი,
ოღონდ კი შემოიკრიბონ,
გარშემო თანამზრახველნი.

,,ელმარზ, შენ უხელმძღვანელე,
ამ საქმეს, - ამბობს იდრისი,
საჩვენოდ შემოაბრუნე,
მაქვს რწმენა შენი სიმტკიცის.

ჩვენ მათზე შურს არ ვიძიებთ,
მაგრამ კი დავსჯით საკადრად,
უნდა წავართვათ ნაძარცვი,
 აბა, გაბედონ დამალვა.

შეკრიბე დღეს მეგობრები
და აუხსენი რაც ხდება,
რომ ახლა სწორედ ის დრო გაქვთ,
სიმართლე გექცეთ სახელად.

დაე, მათ ხალხს დაუმტკიცონ,
ვინ გმირია, ვინ ლაჩარი!
 საქმეში გამოავლინონ,
კაცის ღირსება რაც არი.

ახლა კი მხოლოდ სიავეს,
უბედურებას თესავენ,
სულ მცირე კამათის დროსაც,
უბრალოდ კლავენ ერთმანეთს.

სჯობს, მოვუფრთხილდეთ სიცოცხლეს,
საკუთარსაც და სხვისასაც,
დე, ყველამ ნახოს აქ კაცი,
თავისას როგორ იცავსა.

რაც დასჭირდებათ, მე მივცემ,
მთავრობისგანაც დავიცავ
და პასუხს ვაგებ იმაზე,
წნეხი არ ჰქონდეთ არვისგან.

დაგეხმარებით ყოველმხრივ
ოფიციოზის გარეშე,
დე, მთაში ახალგაზრდებმა
აღკვეთონ ძარცვა-თარეში.

ასეთი არის ეს ტვირთი:
აბა, გასწიეთ არხოტში,
რაც ჩქარა ივლით, აჯობებს,
დრო აღარა გაქვთ სამყოფი.

V. აბრეკები

მთელი ხეობა ხმაურობს,
ცხენოსნებს ბუღი გადასდის,
აულებს იქით მიჰქრიან
ქისტი ვაჟები- მამაცი.

ისინი ერთად შეჰყარა,
უბედურების ამბავმა,
უნდათ, რომ შური იძიონ,
მტერი დასაჯონ ამაღამ.

სიტყვებით დაშოშმინება
მათი დღეს აღარ გამოვა,
თავს გრძნობენ დამცირებულად,
ვინც ახლა მიდის საომრად.

გვერდით კი ასა ღმუილით,
ტალღების ჩქეფით მოჰყვება,
თითქოს სურს თავის დახრჩობა,
ვიდრე სირცხვილის მოთმენა.

ჯერ კი გაჩერდნენ ყველანი
მდინარის პირას, ჩეროსთან,
რომ სიჩქარეში მიმავლებს,
გზად არვინ ჩამორჩენოდათ.

პოლიციაც და აბრეკიც -
აქ არის ყველა ჯიგიტი,
აწყდებათ მოსართავები
ცხენებს წყურვილით ჯირითის.

,,აი, დღე დადგა , მოძმენო,
გვაქვს ასპარეზი იმისა,
ვაჩვენოთ, რომ ვართ კაცები,
არ ვართ კურდღელები ჩირგვისა.

ვინც ცხოვრობს, როგორც დიაცი,
კაცობა არ აქვს ნამუსად,
დაე, დასაჯოს განგებამ,
მტვრად იქცეს, ამ კლდის ნამუსრად...

ვინც დღეს ჩვენს გვერდში არა დგას,
ძმას ნუ გვიწოდებს ხვალ ისა ,
სჯობს, მოიხვიოს თავშალი,
შორს იყოს ჩვენი თვალისაგან.“

სახეანთებულ მხედრებში
ტოვსის ხმამ დაიგრიალა:
,,ღირსების დამცველ კაი ყმას
შენ გაუმარჯვე, დიალა!*“

მოლა ტოვსის ხმას იმავ წამს
ხმა მოჰყვა , როგორც ცის ელვა:
,,ღმერთო, გვიშველე, გვამყოფე -
შენი წყალობის ღირსებად!“

---

*დიალა - ინგუშ. ღმერთი

ლოცვა წარმოთქვა ,პირველმა
ცისკენ აღაპყრო ხელები,
მერე კი ცხენს შემოახტა
და გზას გაუყვა ჭენებით.

ელმარზის ხმამაც იჭექა,
ჯიგიტებს წასვლა უბრძანა,
გაისმა მისი ძახილი,
როგორც მტრის თავზე მუქარა.

გამწკრივდნენ გზაზე მხედრები,
თითქოს აქ ჯარი მოვიდა
და ხევსურეთის საზღვარი,
ბუნდოვნად მოჩანს შორიდან.

წინ ელიმარზი დამდგარა,
შემდეგ ტოვსი* და უსმანი*,
ბურუჟ -ნიაკან ისკია *,
მეგობრებს მხარს რომ უმშვენებს.

მათ სულეიმი* მოჰყვება,
სხვებს ტოლს არ უდებს წამითაც,
თითქოს ცხენი და მხედარი,
გაშმაგებულან ბრაზისგან.

---

*ტოვსი-მოლა შადიევი - ავტორიტეტული და გავლენიანი ინგუში მეცნიერი და ღვთისმეტყველი, მოლა, მე-20 საუკუნის დასაწყისში ინგუშეთში საბჭოთა წყობილების დამყარების დროს რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე.

*უსმან შადიჟევი

*ისკი ბურუჟევი.

*სულეიმ ესმურზიევი

აქ ბევრი არის ცნობილი -
სახელოვანი ინგუში,
არიან ახალგაზრდებიც,
ზრახვა აქვთ მამაცი გულში.

ისმის ყვირილი, ძახილი,
ხეობას დასცეს თავზარი,
შიშისგან მთათა ქედები
და თითქოს მიწაც ზანზარებს.

მთაზე მიჰქრიან ცხენები,
სავსენი ველურ გზნებითა,
სალი კლდეების გადაღმა,
ჩანს მხარე ხევსურეთისა.

VI. შემოწმება

ხევსურთა მხარეს გასვლამდე,
ვიწრო ნაპრალთან კლდეკარზე,
წუთით შეჩერდნენ მხედრები,
გაესაუბრნენ ერთმანეთს.

ზოგს ეჭვის ჭია შეუჩნდა,
ზოგს შიში შემოჰპარვია,
შურისძიებით აღვსილნი,
ზოგნი უკვე შორს არიან.

„მსურს, ჯიგიტებო, მოგმართოთ,
სიტყვაზე მსურს, დამეწამოთ,
პირობას ვერაფერზე ვდებ,
ვერც ჩემზე და ვერც თქვენს გამო.

შემწედ მოვუხმობ დღეს უფალს,
დაე, აღსრულდეს ღვთის ნება,
თქვენზე ვამყარებ იმედებს,
თქვენი მხნეობა მჭირდება!

თუ ვინმეს არ გსურთ წამოსვლა,
ან ეჭვითა ხართ მჭმუნვარი,
შეგიძლიათ რომ გაბრუნდეთ,
არ შეგაკავებთ არავინ.

ამ მთის იქით კი არხოტი
გველის საყრელად ჯავრისა!
გამომყვეს - ვინაც კაცია!
ვინც არა - ნახოს თავის გზა!“

შმაგმა და გაცხარებულმა,
გზა მისცა გულის საწუხარს,
,,უკან არასდროს დავიხევთ!“-
ყველამ იჭექა პასუხად.

ელმარზმა კმაყოფილებით,
მოლას გახედა ქვეშიდან,
ტოვსმა კი თვალი ჩაუკრა,
აღსავსემ მგზნებარებითა.

ყველამ ილოცა წასვლის წინ,
რაზმი დაადგა დილით გზას
და დაიფიცეს ღმერთის წინ,
არ მოერიდონ სიკვდილსაც.

VII. არხოტში

შფოთვით და ლოცვით ტეხავენ
ღამეებს არხოტივნები,
ელიან შურისძიებას,
აკრთობთ ხმაური მცირედიც.

ტყეში გავიდნენ კაცები,
სუყველა გახიზნულია,
თავს აფარებენ უღრანებს,
აქვთ წინათგრძნობა ცუდია.

აქა-იქ ჩანან სოფელში,
მოხუცები და ქალები,
უბედურების ლოდინში
შიშით სავსე აქვთ თვალები.

შიშს რომ მოუცავს ქურდები,
აბრეკებს ეს არ აშფოთებს,
მხნეობა მომატებიათ,
სურთ, მტვრად აქციონ არხოტი.

აულებს გასწვრივ გორებზე
ალი გამოჩნდა ცეცხლისა,
ეს ელიმარზის ხრიკია,
შესაშინებლად მტრებისა.

და ხევსურებმა იციან
რომ ეს სტუმრობა როდია,
განრისხებული ღილღველნი
არხოტში სამტროდ მოდიან.

ქისტებს აფრთხილებს უფროსი
ხელი არ ახლონ არავის,
თუ მათთან ბრალი არ უძღვის
და დამნაშავე არ არის!

სწრაფად მოძებნონ თენგიზი
და ათქმევინონ სახელი
ყველასი, ვინც მას ქისტეთში
თან ჰყავდა თანამზრახველი.

პირუტყვი (ვიდრე ეს საქმე
ცუდ შედეგამდე მივიდა),
სჯობს დააბრუნონ უკლებლივ,
რაც გამორეკეს იქიდან.

ისიც იკითხონ, რამდენი
ერგებათ გამოსასყიდი,
ამბობენ, ვერ ვაპატიებთ,
მაგრამ ყველაფერს დავითვლით.

ძმები - იარაღასხმული,
ელმარზს ეხვია გარშემო
და ხევისბერის სახლის წინ,
ჩამოქვეითდა საჩქაროდ.

უსმან შადიჟა- ნიაკანს,
ბურუჟევ ისკხის - ელვის მსგავსს,
ფეხდაფეხ მოჰყვა ტოვსი და
ყველა ჩამოხტა ცხენიდან.

ალუდაურის მკაცრ სახეს
პირქუში ადგას ღრუბელი,
არ სიამოვნებს მტრის მზერა
და არც მოსული სტუმრები.

მაგრამ რას იზამს, ის დინჯად
თავშეკავებით საუბრობს,
რომ მტერი დაუნდობელი,
არ განარისხოს მან უფრო.

ცდილობს, რომ გამოასწოროს
საქმე და არ დაახანოს,
რომ გაცხარებულ კამათში
სისხლი არავინ დაღვაროს.

ხოლო, ღილღველებს ეტყობათ,
რომ სითამამე გაუდით,
ისე შედიან სახლებში,
როგორც პატრონი აულის.

,, მოხუცო, ჩვენ შენს ჭაღარას,
შეურაცხყოფას არ ვკადრებთ,
თქვი, სად არიან კაცები?
დაე, მოვიდნენ აქ მალე!!

უხუცესი ხარ, იმედავ
და წინამძღოლი ხეობის,
გთხოვთ, რომ ეს საქმე გადაჭრა,
შენი სიბრძნით და მხნეობით!

გვითხარი, რატომ გვირღვევენ,
სიმშვიდეს ჩვენ ხევსურები?!
არ გვასვენებენ, გვძარცვავენ,
დაძრწიან, როგორც ტურები.

ნუთუ არ გახსოვთ აქ ჩვენი
შურისძიება სასტიკი,
სჯობს, დაგვიბრუნოთ ნაძარცვი
და არ დავღვაროთ კვლავ სისხლი.

თენგიზს კი მაინც ვიპოვით
და არ ასცდება სასჯელი,
დანდობას ნუღარ მოელის,
სჯობს დღე დასწყევლოს გაჩენის.

სამარცხვინოა ეგ ქცევა,
დროზე აქ მოსვლას ვურჩევდი,
წასულა, როგორც კურდღელი
და იმალება ბუჩქებში.

შარვალი როგორ აცვია,
ფიქრობს კი, ღირსი თუ არი?!
პირუტყვს მთლიანად გავრეკავთ,
არც კი გაბედოთ, უარი!“-

ნერწყვი გაუშრა ღელვისგან,
მწუხარედ უსმენს იმედა,
ამ განსაცდელის სანაცვლოდ,
საფლავში წოლას ირჩევდა.

,,ელმარზ, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს,
მძიმეა, შენი სიტყვები,
აქ ტკბილი განცხრომისათვის,
რომ არ მოსულხართ, კი ვხვდები.

ამიტომ, თავის მართლების,
სურვილი მე არ მქონია,
სუყველა შენი ბრალდება,
ვაღიარებ, რომ სწორია.

ახალგაზრდა ხომ აღარ ვარ,
წელში მომხარეს მე წლებმა,
ხევსურს ლაჩარს რომ უწოდებ,
ეს ტვირთი მიასკეცდება.

წმინდა ჯვარია მოწამე,
ჩვენ ეს არ გვსურდა არაოდეს,
დე, გავქრე სააქაოდან,
თუ ამას შიშით ვამბობდე.

ჯერ არ მომხდარა არასდროს,
ამ მთებში ხევსურთ დაცინვა,
სირცხვილს ვუტოვებთ ჩვენს შვილებს,
ცრემლიც ამიტომ დამცვივდა.

არ განვსჯი თენგიზს და მის ხალხს,
ეკუთვნით თუმც სამდურავი,
თქვენც მოგიწოდებთ, ღილღველნო,
ნუ შეურაცხყოფთ ნურავის.

სჯობს, მტრებად ნუ დავშორდებით ,
გამოვიჩინოთ დანდობა,
ჩვენ შეგილახეთ ღირსება
და გთხოვთ ამისთვის შენდობას.

შენ თქვი, რომ ჩვენი პირუტყვი
უნდა გარეკოთ მთლიანად,
შმაგ გულისწყრომის აყოლამ
სხვა დროსაც გაგვატიალა.

მთელი არხოტი გაწყდება,
ყველა დავრჩებით მშივრები,
თუ ასეთ რამეს აპირებთ,
დაე, მე მოვკვდე პირველი.

თქვენ რომ აქ ახლა თენგიზმა
შემოგიტყუათ მსჯავრისთვის,
ამპარტავნებით არ მოსდის,
 გთხოვთ დამიჯერეთ, რაც ვიცი.

ბევრი გვყავს გაჭირვებული,
ობლები, ავადმყოფები
და პირველ რიგში, იცოდეთ,
იმათ დაღუპავთ სოფელში.

ელმარზ, მე შენ გთხოვ ,დაფიქრდით
და გადაწყვიტეთ ქისტებმა,
ასეთი შურისძიება,
სამართლიანი იქნება?!

მუდამ ასეა, ღილღველი,
სიბრძნეს, ღირსებას ყურს უგდებს,
თქვენც მოიქეცით კაცურად
და დამიჯერეთ უხუცესს.

ღმერთის ნებაა ყოველი,
მოლაც ხომ ამბობს იგივეს,
ვინც ძლიერია სიკეთით,
ბრძოლას ყოველთვის ის იგებს.

VIII. თენგიზი

ამ დროს იმ ქოხთან , რომლის წინ
ისხდნენ მოხუცი კაცები,
შემოიყვანეს ქისტებმა,
ნაცემი ახალგაზრდები...

ისინი მოპარულ ნახირს,
ძლივს რომ მოჩანდა აქედან,
მთელი დღე ყარაულობდნენ,
ძველ სოფლის ნასახლარებთან.

თენგიზს კი დიდხანს ეძებდნენ,
სოფელი შემოიარეს
და გაფითრებულს შიშისგან
ერთ საქათმეში მიაგნეს.

გამოსვლას ვეღარ ბედავდა
სირცხვილისა და შიშისგან,
შურს იძიებდნენ ღილღველნი,
ჩანს, ფიქრი ჰკლავდა იმისა:

,,მე ნებით არ ჩაგბარდებით,
სჯობს, დავასრულო სიცოცხლე,
დავიფიცე და მე ამ ფიცს
აღარ გადავალ, იცოდეთ!

დიდი ხანია, მათ ვიცნობ ,
მწარეა რისხვა ქისტების,
რა წამსაც ხელთ ჩამიგდებენ,
იმავ წამს მკვდარი ვიქნები.

დე, იზეიმოს ელმარზმა,
დღეს მას განგება იფარავს,
ვინ იცის, სადმე კვლავ შევხვდეთ,
ფერი იცვალოს იღბალმა.“

ეს იყო უხუცესებთან,
თენგიზის დანაბარები,
ელმარზმა მას შეუთვალა,
ზიზღით აევსო თვალები:

,,შენ კაცი არ ხარ დღეიდან,
ქალის ლეჩაქი გრგებია,
არც იმ ხევსურთა ჯიშის ხარ,
ვაჟკაცურად რომ კვდებიან.

ქათამზე შურს არ ვიძიებთ,
როგორც არ უნდა ღელავდე,
ჩვენი ღირსება მეტი ღირს,
ვერ დავეცემით შენამდე!

IX. სასჯელი

ტოვსი-მოლასთან თათბირი
გამართმა მაშინ ელმარზმა,
მას სამარცხვინო მოქცევა
არასდროს ჰქონდა წესადა

და განუცხადა ხევსურებს
მან განაჩენი ასეთი:
ყველას, ვინც არის სოფელში-
ბრმები და უპოვარები,

ობლები, ავადმყოფები
ან მარტოხელა ქალები,
მათ თითო ძროხას ვუტოვებთ,
თავს გაიტანენ წვალებით.

სხვას კი გავრეკავთ უკლებლივ,
აქ არ დარჩება არცერთი,
ამით კამათი შეწყდება
და აღსრულდება სასჯელი.

აბრეკის სიტყვამ ძლიერმა
მთათა სიმაგრე ძირს დასცა,
არც საყვედური თქმულა და
არც ჩქამი- მათკენ მზირალთა.

ჩამოირეცხეს სირცხვილი,
ამოისუნთქეს შვებითა,
ღილღოს დაბრუნდნენ ვაჟები
ღირსად შემკულნი ქებითა.

მიიღეს მადლიერება
ნათესავების, მთავრობის,
რომ აიცილეს თავიდან
შუღლი, სისხლისღვრა და ომი.

ეპილოგი

მზე შუადღისკენ იხრება,
კმაყოფილია იდრისი,
მუნჯივით უმზერს კედლიდან
პორტრეტი ბელად ილიჩის.

უცებ აფხიზლებს კაკუნი
და თანაშემწე შემოდის,
ჩანს, რომ შეიტყო სიახლე,
ჩქარობს გაუმხელს შეფს როდის.

დღეს თბილისიდან დარეკეს
და არის გასაკვირვები,
ქართველებს რაღაც არ მოსწონთ,
არ ჩანან კმაყოფილები.

პასუხს არ ჩქარობს იდრისი,
თუმცა ჩქარობენ მის ნახვას,
თითქოს ის გულში, თავისთვის
რაღაცა დიადს ინახავს.

ტელეფონს უახლოვდება
დინჯ მოქმედებას ჩვეული,
დიდხანს ჩაჰყურებს იატაკს,
თითქოს წყენას გრძნობს სხეულით.

იღებს ყურმილს და პასუხობს,
მშვიდია, როგორც სალი კლდე,
კეთილშობილი განწყობით
სუყველას სათქმელს გაიგებს.

უსმენს და მოკითხვის შემდეგ,
ამაოდ ელის იქ ნუგეშს,
ჩანს, ქართველები მომხდარში,
ისევ ბრალს სდებენ ინგუშებს.

ის დაავიწყდათ ამას წინ,
იდრისი სთხოვდა პირადად,
ჩარეულიყვნენ საქმეში,
გადაეწყვიტათ მშვიდადა.

როს თაღლითურად დაესხნენ,
მათ ხევსურები ყაჩაღი,
გატეხეს აღთქმა ძმობისა,
მოიქცნენ, როგორც ლაჩარი.

მშვიდობიანი ღილღველნი
მათ უსულგულოდ გაწირეს
და რწმენა მეგობრობისა
ერთ წამში ფერფლად აქციეს.

,,აბრეკებია ეგენი,
-ამბობს იდრისი პასუხად,
ჩვენ მათზე ძალაუფლება
არ გაგვაჩნია და ვწუხვარ!“

***

აღსრულდა შურისძიება,
ვით გაკვეთილი მძარცველთა
და აღმოიფხვრა მთის ხალხში,
სიავის მარცვალს რაც თესდა.

ისტორია კი თავდასხის,
როცა იდრისმა თავის ხალხს
მთელი მთავრობის წინაშე
უერთგულა და დაიცვა,

აქამდე ახსოვს ინგუშეთს,
ვით მაგალითი სხვებისთვის,
როგორ უყვარდეთ სამშობლო,
იმათ , ვინც სავარძლებში ზის.

ძალაუფლება ფერფლია,
სახელი - მარადიული,
უნდა ეცადო, მიწაზე
დატოვო კვალი ღვთიური!

სარჩევი

ხევსურის ტყვე 5
მუხო და ახალა 96
ბინდით მოცული დარიალი 105
შურისძიება 184